ლელა კაკაშვილი
ბექა კვაჭაძე
გიორგი უგულავა
ირაკლი ფერაძე
ნიკოლოზ გურგენიძე



# ისტორია 10

ნაწილი II

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.

სულაკაურის
გამომცემლობა

ისტორია 10
მასწავლებლის წიგნი – ნაწილი II

ავტორი **ლელა კაკაშვილი**
საავტორო ჯგუფი: **ბექა კვაჭაძე, გიორგი უგულავა, ირაკლი ფერაძე, ნიკოლოზ გურგენიძე**

რედაქტორი **ნინო გოგალაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

პირველი გამოცემა, 2022
© სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა"
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-118-9

History 10
Teacher's Book – Part II

© Sulakauri Publishing, 2022
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

## სარჩევი

სტრუქტურა ..... 5
საშუალო საფეხურის სტანდარტი ..... 13
თემის მკვიდრი წარმოდგენები..... 33
ცნებები ..... 38
მოსწავლის შეფასების სისტემები..... 41
სწავლა – სწავლების სტრატეგიები ..... 52
თემატური მატრიცები..... 65
ავტორის კომენტარები..... 90

## სტრუქტურა

სახელმძღვანელოს მთავარი ფუნქციაა, სრულად მოერგოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოებას ამ მიზნების დანერგვაში. თავისი არსით იგი უფრო მეტად წარმოადგენს რესურსს, რომელიც მასწავლებელმა თავისი შეხედულების, მიზნების, გამოწვევებისა და პროფესიული კომპეტენციების შესაბამისად შეიძლება მრავალგვარად გამოიყენოს, ვიდრე მყარ დოკუმენტს, რომელიც მასწავლებელს სამუშაო პროცესში ლავირების საშუალებას არ აძლევს. ამ მხრივ, სახელმძღვანელო პასუხობს ორ ძირითად გამოწვევას, რომლის წინაშეც სასკოლო მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოება დგას: ერთი მხრივ, ის სიღრმისეულად ამუშავებს შესასწავლ საკითხს, წარმოადგენს მას სხვადასხვა პერსპექტივიდან; აქცენტს აკეთებს მიზეზშედეგობრივ საკითხებზე, რათა მოსწავლეს თითოეულ ისტორიულ მოვლენაზე, პროცესსა და თემაზე მსჯელობის დროს ჰქონდეს პასუხი კითხვებზე, თუ რატომ და როგორ მოხდა ეს მოვლენა; შემოაქვს საშუალო საფეხურისთვის შესაფერისი კვლევითი, მსჯელობითი და ანალიტიკური დისკურსი და ქრონოლოგიურ ისტორიულ პერსპექტივასთან ერთად, მოვლენებს თემატური ისტორიული პერსპექტივიდანაც ამუშავებს.

მისი მიზანია, რომ მუშაობის პროცესში სრულად და სიღრმისეულად მოიცვას დასამუშავებელი საკითხები ისე, რომ მინიმალურად გაჩნდეს დამატებითი რესურსების გამოყენების საჭიროება. ამ მხრივ, ის ამომწურავი რესურსია არამხოლოდ მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც, რადგან მიზნად ისახავს, რომ მან სრული, მრავალმხრივი, ამომწურავი და სიღრმისეული დამუშავება შესთავაზოს მასწავლებელს გაკვეთილის მომზადების პროცესში ისე, რომ მინიმალურად შექმნას სხვა, დამატებითი რესურსის გამოყენების აუცილებლობა.

მეორე მხრივ, მისი სტრუქტურული მოქნილობა, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ, სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება, რომ კარგად მოარგოს იგი თითოეული სკოლის, მასწავლებლის თუ კლასის რეალობასა და გამოწვევებს, რათა თავიდან აცილებულ იქნეს დროითი დეფიციტის ფონზე მასალის ვერ – ან სიღრმისეულად ვერდამუშავების რისკები. იგი დასამუშავებელი საკითხის შესახებ სთავაზობს რამდენიმეშრიან ინფორმაციას, რომელიც საკითხს ამუშავებს აუცილებელ-საბაზისო, ჩაღრმავებულ და კვლევით-სამეცნიერო დონეზე, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასკოლო კურიკულუმის მიზნებისა და პრიორიტეტების, მისი პირადი პროფესიული კომპეტენციებისა და ხედვების და კლასის საჭიროებებისა და გამოწვევების მიხედვით, განსაზღვროს თითოეული შესასწავლი საკითხის შესაბამის დონესა და სიღრმეზე დამუშავება. სახელმძღვანელო ქმნის შესაძლებლობას (და არა აუცილებლობას), ხოლო მასწავლებელი მოსწავლის საჭიროებების მიხედვით ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მიხედვით ირჩევს, თუ რა მასშტაბით და რა სიღრმეზე შეიძლება დამუშავდეს თითოეული საკითხი.

ჯამში, სახელმძღვანელოს დამუშავების შედეგი უნდა იყოს სიღრმისეული, საშუალო საფეხურის საჭიროებებზე მორგებული, თვისობრივად ახალი ტიპის ცოდნის მიღება, რომელიც მოსწავლეს ხელს შეუწყობს კარგად, სხვადასხვა პერსპექტივიდან გაიაზროს ისტორიული პროცესი და აღიქვას იგი ცოცხალ, დინამიკურ და აქტუალურ პროცესად, რომელიც არ კარგავს კავშირს თანამედროვეობასთან და ისტორიულ პროცესს წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებად ჯაჭვად, რომელიც ორგანულად აკავშირებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას, მათ შორის თანამედროვეობას. ამ კუთხით, მისი შედეგი უნდა იყოს საბაზო საფეხურზე უკვე მიღებული ცოდნის ახალი პერსპექტივიდან გააქტიურება, მისი გამჭოლი, ცნებების

თვალთახედვით დამუშავება და მათ მიმართ კვლევითი, ანალიტიკური და შემოქმედებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ცალკე უნდა გამოიყოს ის ფაქტორი, რომ, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიური და სტრუქტურული ნაწილი სრულად შეესაბამება და ითვალისწინებს უახლესი ევროპული და ამერიკული სახელმძღვანელოების გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, მასში გათვალისწინებულია ქართული და დასავლური უახლესი კვლევების შედეგები. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამეცნიერო და კვლევითი დისკურსის შემოტანაზე სწავლების პროცესში.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სხვადასხვა ისტორიული პრობლემატიკის თანამედროვე კონტექსტში განხილვაზე, რათა მოსწავლემ სამყაროს ისტორიული განვითარების უწყვეტობა და ამ დარგის აქტუალურობა აღიქვას, ამავე დროს მივიდეს იმ წარმოდგენამდე, რომ თანამედროვეობისთვის აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა, მაგალითად, შეუზღუდავი ძალაუფლების რისკები, ბუნებრივი კატაკლიზმების მიერ გამოწვეული კრიზისები და ტექნოლოგიების გავლენა საზოგადოების პროგრესზე უპირველეს ყოვლისა სწორედ ისტორიულ კონტექსტში უნდა იქნას აღქმული და შესწავლილი.

სახელმძღვანელო შედგება სამი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულისგან – **მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი და მოსწავლის რვეული.**

თავის მხრივ, მოსწავლის წიგნი აერთიანებს ერთ თემას – 3. გვიანანტიკური ხანა და შუა საუკუნეები. თითოეული თემა დაყოფილია თავებად (სულ 5 თავი). თავებად დაყოფის პრინციპი ითვალისწინებს ერთი თავის ფარგლებში ერთი, მთლიანი ისტორიული პერიოდისა და ქვეპერიოდის მოქცევას, რათა მასში დამუშავებული მასალა დამოუკიდებელ, სტრუქტურულ და შინაარსობრივ ერთეულს ქმნიდეს.

თავის მხრივ, თითოეული თავი შედგება პარაგრაფებისგან. ერთ თავში სულ მცირე სამი, ყველაზე მეტი, შვიდი პარაგრაფი შეიძლება იყოს (მთლიანობაში 33 პარაგრაფია).

თითოეული თავი ცალკე, დამოუკიდებელი სტრუქტურული და შინაარსობრივი ერთეულია. თავს ყოველთვის ხსნის კომპლექსური დავალება, რათა მოსწავლე პირველ ეტაპზევე გაეცნოს შესასრულებელ დავალებას და შემდგომში სასწავლო პროცესი ამ დავალებაზე ორიენტირებულად, მისი მოთხოვნებისა თუ სპეციფიკის გათვალისწინებით წარიმართოს (ამაში მას მოსწავლის რვეულში მოცემული მრავალფეროვანი მასალა და აქტივობებიც დაეხმარება).

ჯამში, ხუთი თავის ფარგლებში ამდენივე კომპლექსური დავალებაა მოცემული, რაც მასწავლებელს, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს, რომ მთელი სწავლება კომპლექსური დავალებების შესრულება-განხორციელების პროცესში წარმართოს და თითოეული დასამუშავებელი საკითხი თუ პარაგრაფი ამ პროცესს მოარგოს. მეორე მხრივ კი მას საშუალება აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი ერთი ან რამდენიმე დავალება, ხოლო სასკოლო მასალის დანარჩენი ნაწილი დამოუკიდებლად დაამუშაოს. სახელმძღვანელოს სტრუქტურა მას ორივენაირად მოქმედების საშუალებას აძლევს.

თითოეული თავი იხსნება შესავალი ნაწილით, რომელიც ზემოხსენებული კომპლექსური დავალების გარდა მოკლე ანოტაციის სტილში დაწერილი ეპოქის მცირე მიმოხილვით, ე.წ. თავის წარდგენითა და ყველაზე მნიშვნელოვანი და საკვანძო თარიღების ჩამონათვალით იწყება. იქვეა განსაზღვრული ცნებები, რომლებიც კომპლექსური დავალების მეშვეობით მუშავდება. ჩვეულებრივ, თითოეულ თავში ორი ცნებაა გამოყოფილი.

ცალკე აღსანიშნავია, რომ თითოეულ თავს თან ახლავს ვიდეოფილმები, როგორც რესურსი, რომლებიც ქართულად გახმოვანებულია და მოსწავლეს აძლევს საშუალებას, შტრიხკოდის გააქტიურებით, „სმარტფონის" საშუალებით

დამატებითი ინფორმაცია მიიღოს თავის ფარგლებში დამუშავებული ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეა გამოყოფილი ე.წ. თავის დახურვა – მისი შემაჯამებელი ნაწილი, რომელიც თითოეული თავის ბოლოს არის განთავსებული. იგი თავში განხილულ მასალას ანალიტიკური აქტივობების მეშვეობით კიდევ ერთხელ ახსენებს და ამუშავებინებს და იქვე, თემატურ სექციებში, მოსწავლეს სთავაზობს დამატებით საკითხავ მხატვრულ, თუ არამხატვრულ ლიტერატურას, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს, სერიალებს ა.შ. ამ გზით მოსწავლეს ვთავაზობთ, ლიტერატურისა და პოპკულტურის მეშვეობით მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ თავისივე ინიციატივით დამატებითი ინფორმაცია მიიღოს და, ამავე დროს, ხაზს ვუსვამთ ისტორიის აქტუალურობას და მის ბმას თანამედროვე სამყაროსთან.

თითოეული პარაგრაფი სამი ძირითადი კომპონენტის – ცნების, ქრონოლოგიური ისტორიული საკითხისა და თემატური ისტორიული საკითხის ერთობლიობას წარმოადგენს. სამივე (ცნება, ქრონოლოგიური საკითხი და თემატური საკითხი) იმგვარად არის შერჩეული, რომ ერთმანეთთან ორგანული დაკავშირების გზით ერთი შინაარსობრივი და ინფორმაციული მთლიანობა შექმნას და მოსწავლეს დაეხმაროს, საკითხი მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან დაამუშაოს. სახელმძღვანელოს მიხედვით საკითხის კარგად დამუშავება ნიშნავს მისი ცნებების, ასევე ჩამაღრმავებელი თემატური (მაგ. სოციალური ისტორიის საკითხები) პერსპექტივიდან შესწავლას, რათა მოსწავლემ საშუალო საფეხურზე ამომწურავი, მრავალპროფილური ცოდნა მიიღოს და ჩამოუყალიბდეს საკითხის ანალიტიკური აღქმა, დაფუძნებული ცოდნის აგების კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე.

უშუალოდ პარაგრაფი იწყება საკვანძო შეკითხვით (რომლის დამუშავებაც საგაკვეთილო პროცესის მთავარი ლაიტმოტივი უნდა იყოს) და ცნებებით. გამოყოფილია ორი ცნება, რომელსაც პარაგრაფი ამუშავებს. ცნებები იმგვარად არის დაჯგუფებული, რომ მოსწავლეს თითოეული ისტორიული ეპოქის ფარგლებში შეეძლოს, ეს ეპოქა ექვსივე ძირითადი ცნების (დრო, სივრცე, წყარო, ძალაუფლება, საზოგადოება, ისტორიული მოვლენა/პროცესი) პერსპექტივიდან დაამუშაოს. ის ცნებები, რომლებიც კომპლექსურ დავალებაშია გამოტანილი, აქცენტირებულად და სიღრმისეულად მუშავდება. თუკი, მაგალითად, კომპლექსური დავალების ფარგლებში მუშავდება ძალაუფლება და საზოგადოება, მოსწავლე კონკრეტული თემის ფარგლებში ექვსივე ცნებას დაამუშავებს, თუმცა ძალაუფლებას და საზოგადოებას პარაგრაფებში უფრო ხშირად შეხვდება.

პარაგრაფს დასაწყისშივე ახლავს ცალკე გამოყოფილი მოკლე ანოტაცია, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება, ნათლად წარმოიდგინოს დასამუშავებელი საკითხი, გაიგოს მისი მნიშვნელობა და წინარე ცოდნის გააქტიურება-გახსენების გზით ჩამოუყალიბდეს თანმიმდევრული ცოდნა. ანოტაციის ნაწილი წინაპირობას ქმნის ახალი მასალის დასამუშავებლად.

პარაგრაფს იქვე, შესავალ ნაწილშივე მოჰყვება შესაბამისი ეპოქის მნიშვნელოვანი ფიგურის მიერ ან კონკრეტული პერიოდის აღმწერი გამონათქვამი, ციტატა რომელიც, ერთი მხრივ, ამრავალფეროვნებს მასალას, ახდენს მის აქტუალიზაციას და აცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ისტორიულ პერსონას, მეორე მხრივ, კი ის მოკლე, კომპაქტური გზავნილის სახით განასახიერებს მთელი პარაგრაფის ძირითად იდეას და ორგანულად უკავშირდება დასამუშავებელ მასალას.

თითოეულ პარაგრაფში გამოყოფილია ძირითადი და დამხმარე ტექსტი (ცალკე სტრუქტურული ერთეულების ე.წ. ჩანართი, „ეს საინტერესოა“-ს სახით) და მასალა დიფერენცირებული სახით არის მიწოდებული. ძირითადი ტექს-

ტი დამხმარე ტექსტის გარეშეც ქმნის ერთიან, მთლიან და ლოგიკურად გამართულ ნარატივს, თუმცა ჩანართების მეშვეობით მასალა სიღრმისეულად მუშავდება და მოსწავლეს დამატებითი ინფორმაცია მიეწოდება ძირითად ტექსტში გააქტიურებული საკითხების შესახებ. ამგვარი ჩანართებით თავიდან არიდებულია ტექსტის გადატვირთვა, მათ შორის, ტერმინებით, თარიღებითა და სხვა სპეციფიკური მასალით, ამავე დროს, მოსწავლეს საშუალება აქვს, ამომწურავი და უფრო სიღრმისეული ცოდნა მიიღოს.

რუბრიკას – „ეს საინტერესოა" – უფრო მეტად დამატებითი ინფორმაციის ხასიათი აქვს, რომელიც, სხვადასხვა საინტერესო და დასამახსოვრებელი დეტალების შეთავაზებით, მოსწავლისთვის დასამუშავებელი ინფორმაციის გაცოცხლებას და აქტუალიზაციას ისახავს მიზნად.

თითოეულ პარაგრაფს დამატებით ერთვის მოსწავლის რვეულში განთავსებული დანართი სოციალური ისტორიის თემებით, რომლებიც ორგანულად უკავშირდება ძირითად დასამუშავებელ საკითხებს და ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, სიღრმისეულად გაიგოს პარაგრაფის მასალა, განსხვავებული პერსპექტივით აღიქვას საკითხი და, ამავე დროს, ისტორია დაინახოს არამხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის პერსპექტივიდან, არამედ გაეცნოს ყოველდღიურ ყოფას და მრავალფეროვან, ყოფაცხოვრებისეულ დეტალებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ისტორიულ ნარატივზე საბაზო საფეხურზე აქცენტი ნაკლებად კეთდება და ეს საშუალებს გვაძლევს, საშუალო საფეხურზე სწავლება ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ და ახლებური პერსპექტივით მივაწოდოთ მოსწავლეებს.

აქტივობები ჩაშლილია ტექსტის ძირითად ნაწილში, რაც გვეხმარება, რომ საკითხები უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში დამუშავდეს.

ბუნებრივია, აქტივობები შედგენილია საკითხის შინაარსიდან გამომდინარე. მაგრამ თითოეული აქტივობა, იქნება ეს დისკუსია, მსჯელობა, რუკაზე მუშაობა, კოგნიტური დიაგრამის შევსება თუ წყაროს დამუშავება, რამდენიმე მიზანს ემსახურება: მოსწავლემ გაიაზროს სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია და გაუადვილდეს მიღებული ცოდნის დეკლარაციულიდან პირობისეულ ცოდნად ქცევა. ბუნებრივია, ამგვარი შედეგი ნაბიჯ-ნაბიჯ, ნაცნობიდან უცნობისაკენ სვლის პრინციპით მიიღწევა და სახელმძღვანელოს აქტივობებიც, ისევე როგორც მთლიანი ტექსტები, ამ პრინციპებს ემყარება.

რაც შეეხება მოსწავლის რვეულსა და მასწავლებლის წიგნს, ისინი დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ, თუმცა არა – სახელმძღვანელოს უბრალო დანამატს. პირიქით, ჩვენი კონცეფციის მიხედვით, თითოეული მათგანი მთელის ნაწილია და ყველას თავისი შესაბამისი ფუნქცია და დატვირთვა აქვს.

მოსწავლის რვეული მიჰყვება მასწავლებლის წიგნში განთავსებულ კომპლექსურ დავალებებს და მის აქტივობებს. წერითი დავალებები, დიაგრამები, წყაროს ანალიზი და სოციალური ისტორიის შემცველი დანართები მოსწავლეს ეხმარება, იოლად შეასრულოს კომპლექსური დავალება სხვადასხვა აქტივობის დამუშავების გზით. ამავე დროს, დამატებით, წერილობით მუშაობს მოსწავლის წიგნში გაბნეულ შესაბამის დავალებებზე. მათზე კლასში მუშაობა საგაკვეთილო პროცესს უფრო დატვირთულად და საინტერესოდ აქცევს, ხოლო საშინაო დავალებებად მათი შესრულების შემთხვევაში ის დამატებით დამხმარე ინსტრუმენტად გადაიქცევა მოსწავლეებისათვის ახალი მასალის ათვისების პროცესში. რვეულის ბოლოს სასარგებლო ბმულებიცაა მოცემული, რომლებიც მოსწავლეებს სახელმძღვანელოში შესასწავლი ეპოქის შესაბამის დამატებით ინტერნეტრესურსებს მიაწვდის.

მასწავლებლის წიგნი გამიზნულია როგორც დამხმარე რესურსი პედაგოგებისათვის, რათა მათ უკეთ შეძლონ მესამე თაობის ეროვნული

სასწავლო გეგმისა და წლიური პროგრამების მიხედვით სწავლა-სწავლების პრინციპების დანერგვა. მასწავლებლის წიგნში ჩადებულია ამ მიზნების გასაცნობად საჭირო აუცილებელი დოკუმენტები: საშუალო საფეხურის სტანდარტში, შინაარსობრივად დალაგებული საკითხების ჩამონათვალთან ერთად, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თითოეული თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. მას მოსდევს თემატური მკვიდრი წარმოდგენები. თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა, მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე. შესაბამისად, მასწავლებლისთვისაც იოლი იქნება მისაღწევი ორიენტირების გამოკვეთა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. მას მოსდევს საგნობრივი სამიზნე ცნებები და მოსწავლის შეფასების სისტემები. როგორც განმსაზღვრელი, ასევე SOLO ტაქსონომიაზე დამყარებული განმავითარებელი შეფასება. კონკრეტულ ისტორიულ საკითხზე დაფუძნებული ყველა დონის შეფასების ნიმუშით წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, ვფიქრობთ, პედაგოგთათვის უფრო გასაგებსა და აღქმადს გახდის SOLO ტაქსონომიის პრინციპებსა და დანიშნულებას.

საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად ჩატარებისათვის პედაგოგებს ვთავაზობთ სწავლა-სწავლების სტრატეგიებსა და გარკვეული აქტივობების შეფასების რუბრიკებს, რაც მათ გაუადვილებთ სასწავლო პროცესსაც და სწავლა-სწავლების პრინციპების საკლასო ოთახში დანერგვასა და გატარებას.

წარმოდგენილი მატრიცები სწავლების პროცესში მასწავლებლის ეფექტურ დამხმარე რესურსად წარმოგვიდგება და ის ერთი მთლიანობის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) ორგანული ნაწილია. ჩვენ მიერ ყველა თავისათვის შედგენილი კომპლექსური დავალებებით სურვილის შემთხვევაში მასწავლებელი შეძლებს, მათი მეშვეობით დაფაროს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა. ჩვენი კონცეფციის თანახმად, კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს ძირითად რესურსს წარმოადგენს სახელმძღვანელო და სხვა დანარჩენი რესურსები, სახელმძღვანელოში მოცემული საკითხებით დაინტერესების შემთხვევაში, უფრო მეტის გასაგებად მოტანილი რესურსია, ვიდრე წიგნის ალტერნატიული ვერსია. შესაბამისად, მასწავლებლისათვის ამ რესურსების ამა თუ იმ მიზეზთა გამო ვერგამოყენება კომპლექსურის ვერგანხორციელებისა და საკითხის ვერგადაცემის მიზეზი არ გახდება. უფრო მეტიც, მკაფიოდაა ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით დასამუშავებელი ნაბიჯების თანმიმდევრულობა და ის კითხვებიც, რომლებიც ამ ნაბიჯების განხორციელების დროს უნდა დაისვას და ეს სახელმძღვანელოში არსებული კითხვებისა და აქტივობების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს; რაც ამ სამი კომპონენტის მთლიანობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

მასწავლებლის წიგნის მომდევნო ნაწილში შეხვდებით ავტორის რეკომენდაციებს პედაგოგებისადმი. ეს თავი პედაგოგებს სახელმძღვანელოს კონცეფციის აღქმასა და გააზრებაში დაეხმარება და უფრო ეფექტურს გახდის მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს.

# X კლასის „ისტორიის“ მოსწავლის წიგნის II ნაწილი 1 თემისა და 33 საკითხისგან შედგება. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რუბრიკები:

შეაბიჯე ისტორიაში: უყურე ვიდეოს და გაიგე მეტი რომის იმპერიის კრიზისის შესახებ. ვებგვერდის ბმული იხ. წიგნის ბოლო გვერდზე.

**ქართულ ენაზე გახმოვანებული ვიდეო-მასალა**, რომელიც სმარტფონის საშუალებით **QR კოდით** აქტიურდება ან შესაძლებელია მისი ღია წყაროში ნახვა მითითებულ ბმულზე.

„არა წესი, არამედ მოქმედება ქმნიდა იმპერატორს, სისტემა ჩამოიშალა“

*ჰაინც ბელენი, გერმანელი ისტორიკოსი, რომის კრიზისის შესახებ III საუკუნეში*

**ციტატა** – ცნობილი ისტორიული პიროვნების ან ისტორიკოსის გამონათქვამი ეპოქის ან კონკრეტული ისტორიული მოვლენის შესახებ




**დროის ხაზი** – ეპოქისა და კონკრეტული პერიოდის საკვანძო მოვლენებისა და თარიღების ჩამონათვალი, რომელიც დროით ხაზზე ვიზუალურად იოლად აღქმადი სახითაა წარმოდგენილი.

**მეგალომანია**
საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებისა და განდიდების გადაჭარბებული სურვილი.

ტექსტის პარალელურად არეზე წარმოდგენილია **ლექსიკონი**, რომელიც მოსწავლისთვის უცნობ სიტყვებსა თუ ცნებებს განმარტავს.



**იოანე დამასკელი**
დაახლ. 675/676-749

ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. დაიბადა არაბი ქრისტიანის ოჯახში და მოღვაწეობდა იერუსალიმში, საბას მონასტერში

**მოკლე ბიოგრაფია** – ტექსტის პარალელურად წარმოდგენილი მოკლე ცნობები შესაბამისი ეპოქის მოღვაწეზე.

**ეს საინტერესოა**

### რას ნიშნავს მეტსახელი კარაკალა

კარაკალა მეტსახელი იყო და ლათინურად ასე უწოდებდნენ გალურ, ქუდიან ტუნიკას. კარაკალა სწორედ მსგავს ტუნიკას ატარებდა ბავშვობიდანვე და მუდამ ასე იყო შემოსილი. სწორედ ამიტომ შერჩა მას მეტსახელი კარაკალა.

**ეს საინტერესოა** – დამატებითი ინფორმაცია ტექსტში წარმოდგენილ საინტერესო საკითხზე

**დავალება**

**5** იმსჯელე

ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, რა საშუალებებს ეყრდნობოდა დიოკლეტიანე?

**6** იმსჯელე

როგორ დაასრულა დიოკლეტიანემ რომში შიდა ბრძოლები ძალაუფლებისთვის?

**დავალება** – ეხმარება მასალის გაგებას, მის ანალიტიკურ აღქმას და დამუშავებას, ხელს უწყობს კრიტიკული, ანალიტიკური და შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებას. აქვს მასალის შეჯერების ფუნქცია.




**დიაგრამები**, რომლებზეც სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია სტრუქტურიზებული სახითაა მოცემული.

**წყარო 7**

### კონსტანცის ეპისკოპოს გებჰარტი. 990 წ.

„...მან შეკრიბა თავისი ყმები და ამოარჩია მათგან საუკეთესოები. გამოაცხადა, რომ ამიერიდან ისინი იქნებოდნენ მზარეულები და მეწისქვილეები, სურსათის მომწოდებლები და მებოსტნეები, მკერავები, მეტყავეები და სხვადასხვა ხელობის მცოდნე ოსტატები. უნდა ისწავლონ ის ხელობა, რაც სასარგებლო იქნება როგორც მათთვის, ისე მათი ბატონისათვის. მათ შემდეგ შთამომავლები დაეუფლებიან ამ ცოდნას და დანარჩენი სამსახურიდან გათავისუფლებულნი იქნებიან.“

**წყარო** – მოსწავლეს აწვდის დაუმუშავებელ ინფორმაციას პირველწყაროს სახით. ეხმარება მასალის მიმართ მისი პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მისი მიზანია, მოსწავლეს ხელი შეუწყოს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და ისტორიული მოვლენების განსხვავებულ ინტერპრეტაციაში.

**ჩანართი** ჰელიოგაბალი

ჰელიოგაბალი არაბული წარმოშობისა იყო, სირიის ქალაქ ედესადან. ის ბავშობიდანვე მზის ღმერთ ელაგაბალის ქურუმი იყო და როდესაც სრულიად ახალგაზრდა ასაკში იულია მესამ იგი იმპერატორად აქცია, მან რომში შავი ქვა, სავარაუდოდ, მეტეორის ნაშთი ჩამოიტანა და ღმერთად გამოაცხადა.

**ჩანართი** – დამატებითი ინფორმაციის სახით მოცემულია ინფორმაცია, რომელიც ეხმარება ტექსტის სიღრმისეულად გაგებას. ძირითად ტექსტში მოცემული ამბავი სწორედ ჩანართშია ჩაღრმავებული.

**რა იქნებოდა, რომ**

- ისტორიას ბევრი გარდამტეხი მოვლენა ახსოვს, რომელთაც საზოგადოებისა და ისტორიის შემდგომი განვითარება ძირეულად შეცვალეს.

  გაიხსენე განვლილ თავში შესწავლილი მასალა. მიღებული ცოდნისა და შენი სააზროვნო უნარების გამოყენებით შექმენი თხზულება. რა იქნებოდა, დიოკლეტიანეს ქრისტიანთა დევნის ნაცვლად ახალი რელიგია იმპერიის წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად გამოეყენებინა.
- თხზულების შექმნის დროს გაითვალისწინე:

ა. რა სახის პრობლემები იდგა რომის იმპერიის წინაშე III საუკუნეში;

ბ. რამდენად ძლიერი იყო ქრისტიანთა პოზიციები იმპერიის შიგნით რომაულ საზოგადოებაში;

გ. როგორ შევცვლიდა ქრისტიანობა რომაულ საზოგადოებას;

დ. იმპერიის წინაშე არსებული რომელი პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებოდა ქრისტიანობა იმპერატორს.

**სავარჯიშო**, რომელიც აჯერებს მთელ თავს, ეხმიანება მის თითოეულ პარაგრაფს, ხელს უწყობს შემეცნებითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას, ხელს უწყობს აბსტრაქტულ აზროვნებას.

## დანართი

**დანართი: ქალი ისლამში**

ყურანი ამბობს: „კაცები არიან ქალთა საქმეების გამკარგველნი“ თუმცა, ყურანი ასევე აცხადებს, რომ მამაკაცები და ქალები, როგორც მორწმუნეები, თანასწორნი არიან. შარიათმა მუსლიმ ქალებს მიანიჭა კონკრეტული კანონიერი უფლებები ქორწინებასთან, ოჯახთან და ქონებასთან დაკავშირებით. ამგვარად, შუა საუკუნეებში მუსლიმ ქალებს მეტი ეკონომიკური და ქონებრივი უფლება ჰქონდათ, ვიდრე ევროპელ ქალებს. მიუხედავად ამისა, კაცებს დიდი ზეგავლენა ჰქონდათ ქალებზე, რადგან მუსლიმური საზოგადოებაც პატრიარქალური იყო, შესაბამისად ძალაუფლების წყარო მამაკაცი იყო.

**დანართი** მოსწავლის წიგნის ცალკეული პარაგრაფებისა და თავების ბოლოს მოგვითხრობს სოციალური ისტორიის სხვადასხვა ასპექტებზე (კვება, ტანისამოსი, არქიტექტურა და ა.შ.) რომლებიც, ერთი მხრივ, ძირითად ტექსტში მოცემული ინფორმაციის სიღრმისეულად გაგებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, კი თავისი ეპოქის ყოფა-ცხოვრებას აღწერს.

# საშუალო საფეხურის სტანდარტი

## შესავალი

სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. მის საფუძველზე უნდა მომზადდეს ორი კურსი: (1) პირველი მათგანი – **„ისტორია“** გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების/პროცესების შესწავლას და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას; (2) მეორე კურსის – **„საქართველოს ისტორია“** ფარგლებში კი აქცენტი კეთდება ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევაზე/სიღრმისეულ გააზრებაზე.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ეროვნულ სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლები თავად ირჩევენ.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

**საფეხურის შედეგები**

საბაზო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ისტ. საშ.1:**

**„ისტ.“** – მიუთითებს საგანს ისტორია;

**„საშ.“** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსი** | **შედეგები** | **სამიზნე ცნებები** |
| **ისტ.საშ.1.** | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:**<br>ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერ-ებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება; | **ისტორიული წყარო** (ისტ.საშ.1,2,4,5)<br><br>**დრო (ისტორიული პერიოდი)** (ისტ.საშ. 1,2,3,4,5,6)<br><br>**სივრცე (გარემო, ტერიტორია)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)<br><br>**საზოგადოება** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)<br><br>**ძალაუფლება** (ისტ.საშ.3,4,5,6,7,8)<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** (ისტ.საშ.3,4,5,6) |
| **ისტ.საშ.2** | ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიური ერთეულებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალე-ბადობის ფენომენის გასააზრებლად; | |
| **ისტ.საშ.3** | ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიუ-რი დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურუ-ლი და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედრო-ვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად; | |
| **ისტ.საშ.4** | ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/პიროვნების მოღ-ვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასე-ბა მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად. | |
| **ისტ.საშ.5** | ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქ-ისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზ-რებლად. | |
| **ისტ.საშ.6** | ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზ-რება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინცი-პების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასთან და პატრიოტიზმ-თან. | |

## სავალდებულო თემები:

„ისტორიისა“ და „საქართველოს ისტორიის“ კურსის სწავლა-სწავლება წარიმართება პარალელურად. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს, თუ რომელი სავალდებულო თემები უნდა ისწავლებოდეს ურთიერთდაკავშირებულად.

| ისტორია | საქართველოს ისტორია |
|---|---|
| **X კლასი** | **X კლასი** |
| 1. პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი | საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში |
| 2. ანტიკური ხანა | საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ.წ. III საუკუნემდე) |
| 3. გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები | საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების ეპოქაში (1014 წლამდე) |
| **XI კლასი** | **XI კლასი** |
| 4. შუა საუკუნეები | განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში |
| 5. გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო | საქართველო XV-XVIII საუკუნეებში |
| 6. „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ | საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში |
| **XII კლასი** | **XII კლასი** |
| 7. „ხანმოკლე XX საუკუნე“ | საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა<br>საქართველო საბჭოთა კავშირში |
| 8. მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე | საქართველო და თანამედროვე მსოფლიო |

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლებმა უნდა დაიცვან თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა.

**ეროვნული სასწავლო გეგმა თემების გასაშლელად საჭირო საკითხებს სავალდებულო სახით არ განსაზღვრავს. ამდენად, მასწავლებლის წიგნში წარმოგიდგენთ სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელ ცხრილებს საშუალო საფეხურისათვის.**

**თითოეულ ცხრილში მოცემულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც წარმოაჩენს, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.**

## მსოფლიო ისტორია

## X კლასი

| თემა: პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო –** მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით პრეისტორიული და ძველაღმოსავლური პერიოდის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან და ძველაღმოსავლურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიური პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც პრეისტორიულ და ძველაღმოსავლურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ძველაღმოსავლურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიული/ბრინჯაოს ხანის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება ძველაღმოსავლური პერიოდის საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● პრეისტორიასთან/ბრინჯაოს ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

# საქართველოს ისტორია

## X კლასი

| თემა: საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში |
|---|
| თემა გულისხმობს ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/ სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (არქეოლოგიური პერიოდიზაცია; ისტორიული პერიოდიზაცია); მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მაგალითად, „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“, შუამდინარეთი, მახლობელი აღმოსავლეთი და სხვა) მნიშვნელობის დახასიათება;<br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვისა და ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურულ სხვას“ – თან დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის/არქეოლოგიური პერიოდის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;<br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა ქვის და ბრინჯაოს ხანის მაგალითების გამოყენებით;<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ქვის და ბრინჯაოს ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენების/პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, როდიდან ჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე „კომპლექსური საზოგადოება“</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით). |

| თემა: ანტიკური ხანა (ახ.წ. III საუკუნემდე) |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით ანტიკური ხანის ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, არქეოლოგიურ პერიოდიზაციასთან; ისტორიულ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ანტიკურ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ ხანასთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● ანტიკური ხანისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ანტიკურ პერიოდში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკური ხანის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება ანტიკურ ხანის საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ანტიკურ ხანასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო ანტიკურ ხანაში |
| --- |
| თემა გულისხმობს ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

## თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის ისტორიულ მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (*მაგალითად, კოლხეთი, იბერია, პონტო, არმენია*) დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურულ სხვა“-სთან დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა ანტიკური ხანის მაგალითზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების კვლევა (მაგალითად, რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები საქართველოს ტერიტორიაზე?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა: გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე) |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● გვიანანტიკურ ხანასთან და ადრეულ შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

| თემა: საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე) |
|---|
| თემა გულისხმობს გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; ისტორიული პერიოდიზაცია); მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გვიანანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, დარიალის კარი, დარუბანდის კარი) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გვიანანტიკური და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რომელი სოციალურ-პოლიტიკური სივრცეების ნაწილს წარმოადგენდა საქართველო გვიანანტიკურ ხანასა და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

| თემა: შუა საუკუნეები |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა, ნუმიზმატიკური მასალა*) დაყრდნობით შუა საუკუნეების ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც შუა საუკუნეებში ცვალებადობის/დროის ფენომენის სპეციფიკურად აღქმას განაპირობებდა;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● შუა საუკუნეებისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● შუა საუკუნეებში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება შუა საუკუნეების საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● შუა საუკუნეებთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

## XI კლასი

| თემა: განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში |
|---|
| თემა გულისხმობს განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** |
| **წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*); |
| **დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში; |
| **სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, სამცხე-საათაბაგო, კლდეკარის საერისთავო) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება; |
| **საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• შუა საუკუნეების პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით; |
| **ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით; |
| **ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, როდიდან ყალიბდება ფეოდალური ურთიერთობები საქართველოში; რა თავისებურებები ჰქონდა მას?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

| თემა: გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** |

**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები*) დაყრდნობით გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან (მაგალითად, ისტორიულ პერიოდიზაციასთან, რელიგიურ პერიოდიზაციასთან);
- მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;
- ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებას განაპირობებდა;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;
- გვიან შუა საუკუნეებისა და ადრეულ ახალი დროისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;
- გვიან შუა საუკუნეებსა და ადრეულ ახალ დროში გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა"-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება გვიანი შუა საუკუნეებისა და ადრეული ახალი დროის საქართველოს, მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გვიან შუა საუკუნეებთან და ადრეულ ახალ დროსთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან.

| თემა: საქართველო XV-XVIII საუკუნეებში |
| --- |
| თემა გულისხმობს „ხანგრძლივი შუა საუკუნეების“ პერიოდის (XIV-XVIII საუკუნეები) საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*არქეოლოგიური მონაცემები, წერილობითი წყაროები, ეპიგრაფიკული მასალა*) დაყრდნობით XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიისთვის საკვანძო პრობლემების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; პრობლემების გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, საბარათიანო, სამოქალაქო) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• XV-VIII საუკუნეების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა XV-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• XV-VIII საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (მაგალითად, რატომ გაჩნდა საქართველოში სათავადოები? რატომ დაიშალა საქართველო სამეფო-სამეფოებად?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

| თემა: „ხანგრძლივი XIX საუკუნე“ |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● XIX საუკუნისთვის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● XIX საუკუნეში (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) გეოგრაფიული ცოდნის განვითარებაზე მსჯელობა;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება XIX საუკუნის (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XIX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანგრძლივი XIX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

**თემა: საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში**

თემა გულისხმობს 1801-1917 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1801-1917 წლების საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების (მაგალითად, თბილისის გუბერნია, გორის მაზრა) გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1801-1917 პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1801-1917 პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (მაგალითად, რა შედეგები მოუტანა საქართველოს მიხეილ ვორონცოვის რეფორმებმა); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

## XII კლასი

| თემა: „ხანმოკლე XX საუკუნე“ |
|---|
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები, აუდიო-ფოტო-ფონო მასალა*) დაყრდნობით XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XX საუკუნეში (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) ცვალებადობის/დროის ფენომენის ახლებურად გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● XIX საუკუნისთვის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც XX საუკუნეში (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) სივრცის ფენომენის ახლებურად გააზრებაზე ახდენდა გავლენას;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება XX საუკუნის (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) საქართველოსა და ევროპის ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● XX საუკუნესთან (იგულისხმება „ხანმოკლე XX საუკუნე“) დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებთან. |

## XII კლასი

| თემა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა |
|---|
| თემა გულისხმობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების პერიოდის საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვისადმი“ დამოკიდებულება*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ეპოქის დანახვა მისი თანამედროვეების თვალით;

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) კვლევა 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (მაგალითად, რატომ არ მიიღეს საქართველო ერთა ლიგაში?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| თემა: მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე |
| --- |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br><br>**წყარო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე (*მაგალითად, წერილობითი წყაროები, აუდიო-ფოტო-ფონო-მასალები*) დაყრდნობით „ცივი ომის" შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესე-ბის გაანალიზება;<br><br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის" შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების/პროცესების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან;<br>● მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის სქემების დაკავშირება საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის სისტემასთან;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც „ცივი ომის" შემდგომ პერიოდში ცვალებადობის/დროის ფენომენის გააზრებაზე ახდენს გავლენას;<br><br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის" შემდგომ პერიოდთან დაკავშირებულ მოვლენებზე/პროცესებზე მსჯელობისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება;<br>● „ცივი ომის" შემდგომი პერიოდისთვის საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების (მათ შორის კავკასიის) მნიშვნელობის დახასიათება;<br>● ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც „ცივი ომის" შემდგომ პერიოდში სივრცის ფენომენის გააზრე-ბაზე ახდენს გავლენას;<br><br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის" შემდგომი პერიოდის საზოგადოების თავისებურებების (*იდენტობის საშუალებები, „კულ-ტურული სხვა"-ს ფენომენი, სოციალური ფენები, ყოველდღიურობა*) გამოკვეთა და სხვა ისტორიული პერიოდების საზოგადოებებთან შედარება;<br><br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (*სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურე-ბი, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება*) გაანალიზება „ცივი ომის" შემდგომ პერიოდის საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით;<br><br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● „ცივი ომის" შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პრო-ცესების გაანალიზება (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*); მათი დაკავშირება/შედარება შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტო-რიის საკითხებთან. |

## თემა: საქართველო საბჭოთა კავშირში

თემა გულისხმობს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების/სულისკვეთების/თავისებურებების წარმოჩენას.

### თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები

**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);

**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;

**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;

**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საბჭოთა პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული პერიოდის დანახვა მისი თანამედროვის თვალით';

**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის მაგალითზე;

**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/ პროცესების კვლევა (<u>მაგალითად, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის დაშლას?</u>); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით.

| **თემა: საქართველო და თანამედროვე მსოფლიო** |
| --- |
| თემა გულისხმობს 1990 – იანი წლების და შემდგომ პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული საკვანძო მოვლენებისა და პროცესების კვლევას. საკვლევ საკითხებზე დაყრდნობით ეპოქის მახასიათებლების წარმოჩენას. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები**<br>**წყარო / ინტერპრეტაცია** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● სხვადასხვა ტიპის წყაროებზე დაყრდნობით 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევა (*კომპლექსური ამოცანის დასახვა, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად, საკუთარი კვლევის შედეგების დაკავშირება ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან*);<br>**დრო** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების დაკავშირება პერიოდიზაციის სხვადასხვა სისტემასთან; მათი გაანალიზება წინარე და შემდგომი პერიოდის მოვლენებთან კავშირში;<br>**სივრცე** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების კვლევისას მართებული გეოგრაფიული ცნებების გამოყენება; საკვანძო მნიშვნელობის ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცეების დახასიათება;<br>**საზოგადოება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის საზოგადოების მახასიათებლებისა (*მსოფლმხედველობა, იდენტობის საშუალებები, „კულტურული სხვა“*) და ყოველდღიური ცხოვრების (*მეურნეობის ფორმები, კომუნიკაციის საშუალებები, დასახლების ტიპები, ტრადიციები და სხვა*) კვლევა; ისტორიული პერიოდის დანახვა მისი თანამედროვის თვალით’;<br>**ძალაუფლება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● ძალაუფლების ფენომენთან დაკავშირებული საკითხების (სიმბოლოები, სახელისუფლებო სტრუქტურები, ძალაუფლების დანაწილება, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფორმები, ძალაუფლების ფენომენისადმი დამოკიდებულება) კვლევა 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის მაგალითზე დაყრდნობით;<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1990 – იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების კვლევა (*საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით*).<br>**ისტორიული მოვლენა / პროცესი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>● 1990-იანი წლების შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენების/პროცესების კვლევა (მაგალითად, რა გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს გლობალიზაცია?); საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების ტიპოლოგიურად დაჯგუფება; სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზება; მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა; საკვლევი თემის ისტორიული მნიშვნელობის გააზრება; მისი ინტერპრეტირება მოვლენის თანამედროვის თვალით. |

# თემის მკვიდრი წარმოდგენები

თემატური მკვიდრი წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან.

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების** ფუნქციაა, მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე.

გთავაზობთ X კლასში შესასწავლი თემების მკვიდრ წარმოდგენებს:

**საშუალო საფეხური**

**თემა 1. ქვისა და ბრინჯაოს ხანა**

| სამიზნე ცნება: | მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ: |
|---|---|
| **დრო** | • პრეისტორიას/ქვის ხანას ისტორიკოსები ადამიანის გაჩენიდან დამწერლობისა და სახელმწიფოს შექმნამდე პერიოდს უწოდებენ.<br>• ქვის ხანაში საზოგადოების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა კლიმატური პირობები, ამიტომ არქეოლოგიური პერიოდიზაცია ითვალისწინებს გეოლოგიურ პერიოდების მონაცვლეობას.<br>• მეცნიერებს შორის განსხვავებული მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის გაჩნდა პირველი ცივილიზაცია/კომპლექსური საზოგადოება და რა არსობრივი მახასიათებლები ჰქონდა მას;<br>• ქვის და ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს ინტენსიური კავშირები ჰქონდა მახლობელ აღმოსავლეთთან, შესაბამისად, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია ახლოს მიუყვება მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის/არქეოლოგიური პერიოდიზაციის სქემებს;<br>• ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან ვხვდებით ისტორიის პერიოდიზაციის პირველ მცდელობებს (შეიქმნა დროის აღრიცხვის პირველი სისტემები (კალენდარი, წელთაღრიცხვა). |
| **სივრცე** | • ქვის ხანაში ყველაზე მეტად დაწინაურებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის, ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორია. „ნეოლითური რევოლუციის“ მიღწევები ევრაზიის სხვა მხარეებში სწორედ აქედან ვრცელდებოდა;<br>• საქართველოსა და ამიერკავკასიის ტერიტორია ემეზობლებოდა უშუალოდ ემიჯნებოდა არქეოლოგების მიერ „ნაყოფიერ ნახევარმთვარედ“ სახელდებულ სივრცეს;<br>• ძველაღმოსავლურ პერიოდში “კომპლექსური საზოგადოება“ რამდენიმე ადგილას განვითარდა (შუამდინარეთი, ეგვიპტე, ხმელთაშუაზღვისპირეთი, სირია-პალესტინა, აღმოსავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ირანი, პენჯაბი, ხუანხეს ხეობა)<br>• ძვ.წ. IV-I ათასწლეულებში შუამდინარეთისა, ანატოლიის და ეგვიპტისა და ირანის ტერიტორიაზე არსებული ცივილიზაციებს ჰქონდათ კომუნიკაცია, ინდოეთისა და ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ ცივილიზაციებთან მათ ამ ეტაპზე ურთიერთობები არ ჰქონდათ;<br>• საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის ყველაზე ინტენსიური ურთიერთობა ხეთებთან, მითანელებთან, ასურელებთან და ურარტელებთან ჰქონდათ;<br>• ძველაღმოსავლური პერიოდიდან არ შემორჩა რუკები, თუმცა სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები კარგად იყვნენ ინფორმირებული როგორც მეზობელ, ისე შორეულ სივრცეებზე.<br>• ძველაღმოსავლურ პერიოდიდან არ შემორჩა რუკები და მოგზაურების ჩანაწერები, რაც გვაფიქრებინებს, რომ გეოგრაფიული ცოდნა ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი, თუმცა, ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები (მაგალითად, ვაჭრები, დიპლომატები) კარგად იყვნენ ინფორმირებული არა მხოლოდ მეზობელი, არამედ ძალიან შორეული სივრცეების შესახებ; |

| | |
|---|---|
| **სივრცე** | • ძველი აღმოსავლეთის მეომარი სახელმწიფოების გეოგრაფიული ცოდნა რეგიონზე და მის მიღმა, ივსებოდა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით, ასევე მეზობელსა და შორეულ, ნაკლებად ცნობილი ქვეყნების/ხალხების წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო კამპანიებით;<br>• ქვის და ბრინჯაოს ხანაში ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხებს ყველაზე მეტად ინტენსიური კავშირები ჰქონდათ მცირე აზიასა და ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრებ ხალხებთან. კავკასიის მოსახლეობის განვითარებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა, ასევე, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ევრაზიის სტეპებში მიმდინარე პროცესები. |
| **წყარო** | • ქვის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების შესახებ ინფორმაცია არქეოლოგიური მონაცემების საშუალებით მოგვეპოვება. გვიანბრინჯაოს ხანის პერიოდიდან კი არქეოლოგიურ მონაცემებთან საინტერესო ცნობებს ვიღებთ ლურსმული ფირფიტებიდან და ეპიგრაფიკული ძეგლებიდან;<br>• ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანის საზოგადოების კომპლექსურად აღსაწერად არქეოლოგები გამოყოფენ არქეოლოგიური კულტურებს;<br>• მეცნიერები ხშირად დავობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რის საფუძველზე უნდა გამოიყოს არქეოლოგიური კულტურა და რა ისტორიულ პროცესებს უკავშირდება მისი წარმოქმნა, განვითარება, დაკნინება/დაცემა;<br>• ლურსმული ფირფიტები და ეპიგრაფიკული ძეგლები სხვადასხვა ტიპის ტექსტებს გადმოგვცემენ (საკანონმდებლო ძეგლები, რელიგიური ტექსტები, სამეფო მატიანეები, ლიტერატურული ძეგლები, წერილები და სხვა), მათ მეცნიერები სხვადასხვა ინტენსივობით იყენებენ ძველაღმოსავლური საზოგადოების შესასწავლად. |
| **საზოგადოება** | • ქვის ხანაში გვაროვნული თემი საზოგადოებრივი ორგანიზების ერთადერთი ფორმა იყო;<br>• მაგია პირველყოფილი ადამიანის უმთავრეს მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენდა, თუმცა მეცნიერებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პირველყოფილი რელიგიების არსსა და კლასიფიკაციის პრინციპებთან დაკავშირებით;<br>• ძველაღმოსავლურ პერიოდში საზოგადოების მთავარ უჯრედს თემი წარმოადგენდა, ხოლო მეურნეობის წარმოების ფორმა -უმთავრესად კოლექტიურია;<br>• ძველაღმოსავლური საზოგადოება თავისუფალთა და არათავისუფალთა სოციალურ ჯგუფებს შეიცავდა, სადაც თავისუფლების ყველა ტიპის შეზღუდვა მონობად აღიქმებოდა;<br>• ძველაღმოსავლური კომპლექსური საზოგადოება კანონებით იმართებოდა, რომლის პირველი კოდიფიკაციაც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება.<br>• ძველაღმოსავლური საზოგადოების რელიგია მრავალფეროვანია – წარმოდგენილი უმთავრესად პოლითეისტური (ანთროპომორფული/არაანთროპოფორფული) პანთეონით, ან დუალისტური რწმენით და თვით მონოთეიზმის ფორმითაც. |
| **ძალაუფლება** | • პირველყოფილ საზოგადოებაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა არ ატარებდა ინსტიტუციურ ხასიათს;<br>• ძველ აღმოსავლეთში დინასტიების, ქალაქების, ტერიტორიული იმპერიების ბრძოლა ძალაუფლებისთვის მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიასა და კულტმსახურებას; აქ საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული;<br>• სამეფო ძალაუფლების სიმბოლოებს მონუმენტური ძეგლები და ტაძრები წარმოადგენდა, რომელიც ტიპურია ძველაღმოსავლური სამყაროსთვის;<br>• ძველაღმოსავლური პერიოდისთვის დამახასიათებელია მკვეთრად ცენტრალიზებული ხელისუფლება და ძალაუფლების ერთი პირის ხელში კონცენტრაცია იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო მმართველობა წარმოდგენილია როგორც ქალაქ-სახელმწიფოების, ასევე ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და ტერიტორიული იმპერიების სახით. |

| | |
|---|---|
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | ● კაცობრიობის ისტორიაში პირველი სახელმწიფოები დიდი მდინარეების გასწვრივ ჩამოყალიბდა.<br>● ძველაღმოსავლურ პერიოდში არსებობდა დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების გამართული სისტემა, რომელიც ძვ.წ. IV-III-II-I ათასწლეულებში სხვადასხვა ინტენსივობით ფუნქციონირებდა;<br>● ძველ აღმოსავლეთში სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა გადაჯაჭვული იყო მფარველ ღვთაებებთან და კულტმსახურებასთან;<br>● ძველაღმოსავლურ პერიოდი სახელმწიფოს რამდენიმე ტიპს იცნობს – ქალაქ- სახელმწიფოებს, ცენტრალიზებულ მონარქიასა და სახმელეთო იმპერიას, რომელმაც შუა და ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციური სივრცის ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება შეძლო;<br>● ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებს მომთაბარე ხალხების შემოსევები დიდ საფრთხეს უქმნიდა.<br>● საქართველოს ტერიტორია ძველაღმოსავლური სამყაროს ჩრდილოეთ პერიფერიას წარმოადგენდა, ამიტომ ქართულენოვანი გაერთიანებების საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის შესახებ მინიმალური ინფორმაცია შემორჩა. |

**საშუალო საფეხური**

**თემა 2. ქვისა და ბრინჯაოს ხანა**

| სამიზნე ცნება: | მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ: |
|---|---|
| **დრო** | ● ანტიკური ეპოქა ასოცირდება ხმელთაშუაზღვისპირა ხალხების, განსაკუთრებით ბერძნული ელემენტის მიერ ჰეგემონობის მოპოვებასთან;<br>● ანტიკური ეპოქა ელინურ, ელინისტურ და რომაულ პერიოდებს მოიცავს. ეს დაყოფა გვიანდელია და სამეცნიერო ინტერპრეტაციის შედეგია.<br>● მეცნიერთა შორის ხშირია დისკუსია, თუ რომელი მახასიათებლებით უნდა განისაზღვრებოდეს ანტიკური ეპოქის დაწყება ან დასრულება;<br>● ელინური(ბერძნული) ისტორიის პერიოდიზაცია დაკავშირებულია ბერძენთა სამოსახლო სივრცეების, ცხოვრების წესის, კულტურული აღქმების და ძალაუფლების დომინანტური ფორმის ცვლილებასთან.<br>● რომის ისტორიის პერიოდიზაციას ძალაუფლების ფორმის ცვლილებით ვახდენთ და მეფეთა მმართველობის, რესპუბლიკის და იმპერიული მმართველობის პერიოდები გამოიყოფა.<br>● ანტიკურ ხანაში ბერძნულ-რომაული სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამო ტიპური პერიოდიზაციის პრინციპები აქტუალურია ამ ეპოქის საქართველოსთვისაც.<br>● ბერძნებს და რომაელებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ, ამ მხრივ რომმა მეტად გაითვალისწინა წინამორბედი ცივილიზაციის (ეგვიპტე) გამოცდილება. |
| **სივრცე** | ● ანტიკური სივრცის ცენტრს ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზები წარმოადგენდა.<br>● ბერძნულმა კოლონიზაციამ, ალექსანდრეს ლაშქრობამ და რომაულმა დაპყრობებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ანტიკური გეოგრაფიულ-პოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებაზე.<br>● გეოგრაფიულ-კლიმატურმა ფაქტორებმა დიდწილად განსაზღვრა ბერძენთა და რომაელთა ცხოვრების წესი და პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობის ტიპი.<br>● კავკასია ანტიკური სივრცის განაპირას მდებარეობდა და ამ სივრცის ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენდა. ეს დასტურდება, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებით, ასევე ისტორიოგრაფიული, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული წყაროებით და მითოლოგიური ამბებით.<br>● რომაულ-პართიული და რომაულ-სასანიანური დაპირისპირების პერიოდში კავკასია ორი უდიდესი იმპერიის ინტერესების კონფლიქტის სფეროს წარმოადგენს.<br>● ანტიკური პერიოდის სხვადასხვა მონაკვეთში ბერძენ-რომაელთა დომინანტურობით აღნიშნული სივრცის პოლიტიკური და კულტურული ცენტრები იცვლება.<br>● ანტიკურობაში ჩამოყალიბდა გეოგრაფია, როგორც მეცნიერება. ანტიკური გეოგრაფები თავისი ეპოქის სამყაროს საკმაოდ კარგად იცნობდნენ. მათი ინტერესების სფეროში კავკასიაც ხვდებოდა. |

| | |
|---|---|
| **წყარო** | ● ისტორიოგრაფია, როგორც წარსულის ანალიტიკურად შემსწავლელი მეცნიერება ძველ საბერძნეთში შეიქმნა და განვითარდა. ეს განპირობებული იყო ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის დამახასიათებელი სამყაროს ანალიტიკურად შეცნობის სურვილით.<br>● ანტიკურობის შესახებ ძირითადად ისტორიოგრაფიული, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური წყაროები მოგვითხრობენ. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მითოლოგია, ლინგვისტიკა და მხატვრული ლიტერატურა. ანტიკური წყაროების ანალიზის და ინტერპრეტაციის საკითხი მეცნიერთა შორის დისკუსიის საგანია.<br>● ანტიკური ეპოქის საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქცია დიდწილად სწორედ ბერძნულ-რომაული წყაროების დახმარებით ხდება.<br>● ანტიკური წყაროების სანდოობის ხარისხი განსხვავებულია. სანდოობის ხარისხს განაპირობებს წყაროს ტიპი, წერილობითი წყაროს შემთხვევაში ავტორის ინფორმირებულობა, მისი წვდომა პირველ წყაროსთან, მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პოზიცია და ჟანრული თავისებურებები.<br>● ისტორიული მოვლენების, ეთნოსების თუ მსოფლმხედველობის შეფასებაში ანტიკურ პერიოდში შექმნილი ბერძნულ-რომაული კონსტრუქტები (მაგ.: ბარბაროსი, ვანდალიზმი...) თანამედროვეობაშიც გამოიყენება. |
| **საზოგადოება** | ● მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში დომინანტური ზღვის და ქალაქის კულტურაა.<br>● პოლიტიკური მოწყობის ფორმების მრავალფეროვნების, გეოგრაფიული განფენილობის და პოლისური ურთიერთდაპირისპირებულების მიუხედავად, ბერძნულ სამყაროს მკვეთრად გამოხატული იდენტობის საშუალებები ჰქონდა, რომლებიც ელინურ კულტურულ თვითმყოფადობას ქმნიდა.<br>● ანტიკური ეპოქისთვის სახასიათოა დასავლურ-აღმოსავლური კულტურულ-ღირებულებითი დაპირისპირების კონტექსტში განვითარება. აღმოსავლეთი, რომელიც ერთიანდებოდა სპარსეთის იმპერიაში, ელინთათვის კულტურულ „სხვად“ მიიჩნეოდა.<br>● ანტიკურ პერიოდში მოხერხდა ძველაღმოსავლური სივრცის უმეტესობის ელინური გავლენის ქვეშ მოქცევა;<br>● ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ დიამეტრულად შეცვალა როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები, ასევე დასაბამი მისცა ელინიზმს თავისი მკვეთრად გამოხატული იდენტობის საშუალებებით, რომელიც გლობალისტურ პრინციპებს ეფუძნებოდა.<br>● ანტიკური საზოგადოება მონათმფლობელური საზოგადოებაა, რომლის ეკონომიკური და საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის მონურ შრომას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.<br>● რესპუბლიკის პერიოდის რომაული საზოგადოება სოციალური და საზოგადოებრივი კლასების დაპირისპირების პირობებში ვითარდებოდა.<br>● რესპუბლიკური პერიოდის რომაული საზოგადოება ნაკლებად გახსნილი იყო კულტურული მრავალფეროვნებისადმი. იმპერიული მმართველობის პერიოდში რომაული საზოგადოება გახსნილი, მულტიკულტურული და მულტი-ეთნიკური ხდება.<br>● ანტიკური პერიოდის ხმელთაშუაზღვისპირეთისთვის ბერძნულ-რომაული პანთეონია დომინანტური, თუმცა ამ პერიოდშივე ხდება დუალისტური და მონოთეისტური რელიგიების აღზევება.<br>● ანტიკური პერიოდის კოლხეთი და იბერიის საზოგადოება აღმოსავლური და დასავლური, ირანული და ბერძნულ-რომაული სამყაროების პოლიტიკურ-კულტურული გადაკვეთის მიჯნაზე ვითარდება. |

| | |
|---|---|
| **ძალაუფლება** | ● ანტიკური სამყაროსთვის დამახასიათებელია ძალაუფლების ძირითადი ფორმების კონცეპტუალური გააზრება და სახელმწიფოს პოლიტიკური განვითარების ფორმებზე ღია და ფართო დისკუსია.<br>● პოლიტიკური ფორმების მრავალფეროვნება და განსხვავებული პოლიტიკური იდეებისა და სტრუქტურების დაპირისპირება ბერძნული პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია;<br>● კლასიკური ეპოქის ბერძნული და რესპუბლიკური პერიოდის რომაული სახელმწიფოს მოწყობის იდეალი ძალაუფლების დანაწილების პრინციპზე იდგა, აღმოსავლური იმპერიები კი ერთპიროვნული ძალაუფლების კონტექსტში ვითარდებოდნენ.<br>● დემოკრატია, როგორც მმართველობის ფორმა, ანტიკურობის პროდუქტია.<br>● თანამედროვე სამყარო ძალაუფლების ფორმებისა და პოლიტიკური მოწყობის კუთხით დიდწილად ანტიკურ საფუძველზე დგას.<br>● როგორც ბერძნული, ისევე რომაული პოლიტიკური კულტურა თავისი განვითარების გვიანდელ ეტაპზე ბევრ რამეს იღებს ძალაუფლების აღმოსავლური ფორმებიდან. |
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | ● ანტიკურ პერიოდში ბერძნულმა კოლონიზაციამ მოიცვა როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთს, ისე შავი ზღვის აუზი.<br>● ანტიკურ ხანაში აღმოსავლური და დასავლური/ხმელთაშუაზღვისპირული სახელმწიფოები უპირისპირდებოდა ერთმანეთს;<br>● ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობამ ელინური და აღმოსავლური კულტურების შერწყმას (ელინიზმს) დაუდო საფუძველი;<br>● ანტიკურ ხანაში რომმა სამხედრო უპირატესობის ხარჯზე ევროპის, აზიის და აფრიკის ტერიტორიებზე განფენა მოახერხა, თუმცა აღმოსავლეთით მის გაფართოებას სასანიანური სპარსეთი შეეცადა.<br>● ანტიკურ ისტორიაში გარდამტეხი ისტორიული მოვლენა-პროცესების მიხედვით იცვლება ძველი სამყაროს პოლიტიკური და კულტურული ცენტრები, გეოგრაფიული სივრცე და სოციალურ-ეკონომიკური გარემო, იქმნება ახალი სახელმწიფოები და იმპერიები.<br>● ანტიკური ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების გამომწვევ მიზეზებზე, მათ შედეგებსა და ინტერპრეტაციაზე დისკუსია თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისა და დისკუსიების ორგანული ნაწილია.<br>● ანტიკური ეპოქის საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები მჭიდრო კავშირშია გლობალურ ისტორიულ მოვლენა-პროცესებთან. შეუძლებელია ანტიკური ეპოქის საქართველოს ისტორიის გლობალური კონტექსტის გარეშე აღქმა. |

# ცნებები

## ამონარიდი გზამკვლევიდან

ა) **საგნობრივი სამიზნე ცნებები** – ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი (შედეგები/სამიზნე ცნებები) დაუფლება, შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. ქვემოთ ჩამოთვლილია სამიზნე ცნებები ისტორიისთვის თითოეული ცნების გვერდით ფრჩხილებში წერია, თუ რომელ შედეგებს უკავშირდება:

**ისტორიული წყარო** (ისტ.საშ.1,2,4,5)
**დრო (ისტორიული პერიოდი)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**სივრცე (გარემო, ტერიტორია)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**საზოგადოება** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
**ძალაუფლება** (ისტ.საშ.3,4,5,6,7,8)
**ისტორიული მოვლენა / პროცესი** (ისტ.საშ.3,4,5,6)

გრძელვადიან მიზნებს (შედეგებსა და სამიზნე ცნებებს) აზუსტებს და უფრო მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული (ა) ქვეცნებები, (ბ) მკვიდრი წარმოდგენები, და (გ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები. ა) ქვეცნებები გამომდინარეობს სამიზნე ცნებიდან. მათი საშუალებით სასკოლო კურიკულუმში განისაზღვრება კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები.

| სამიზნე ცნება | ქვეცნება | საკითხი |
|---|---|---|
| **ისტორიული წყარო** | არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტი | *კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლი/არტეფაქტი* |
| | ეპიგრაფიკული მასალა | *კონკრეტული ეპიგრაფიკული ძეგლი* |
| | ნარატიული წყაროები | *კონკრეტული ნარატიული წყარო (ქართული, უცხოური)* |
| | დოკუმენტები | *კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტი* |
| | ლიტერატურული ნაწარმოებები | *კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები როგორც ისტორიული წყარო)* |
| | მემუარები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა | *კონკრეტული პიროვნების მემუარები და წერილები* |
| | აუდიო-ფოტო-ფონო მასალები | *აუდიო-ფოტო-ფონო მასალები კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით* |
| **დრო** (ისტორიული პერიოდი) | დროის აღრიცხვის სისტემა | *დროის აღრიცხვის კონკრეტული სისტემა* (კალენდარი, პერიოდიზაციისა და წელთაღრიცხვის სისტემა) |
| | ისტორიული ეპოქა, არქეოლოგიური პერიოდი | *კონკრეტული ეპოქა/ ისტორიული პერიოდი* |
| | რომელიმე პიროვნების სახელთან გაიგივებული ეპოქა | *(მაგალითად, თამარ მეფის ეპოქა, დედოფალ ვიქტორიას ეპოქა)* |
| | რომელიმე მასშტაბურ ისტორიულ მოვლენასთან გაიგივებული ეპოქა | *(მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა).* |

| | | |
|---|---|---|
| **სივრცე (გარემო, ტერიტორია)** | ისტორიულ-კულტურული სივრცე | *კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე (მაგალითად, მეზოამერიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთი).* |
| | ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია | კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული *(მაგალითად, სამხრეთ შუამდინარეთი, ატიკა, ლაკონია)* |
| | ძველად არსებული სახელმწიფოს/ იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული/ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)* | ძველად არსებული სახელმწიფოს/იმპერიის კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეული/ ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)* |
| | საკულტო ქალაქები/ადგილები | კონკრეტული საკულტო ქალაქები/ადგილები *(მაგალითად, ძველი მცხეთა, დელფოსი, „წმინდა მიწა“).* |
| **საზოგადოება** | ყოველდღიურობა (ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება) | *ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფა.* |
| | რელიგია | *კონკრეტული რელიგია (როგორც მსოფლმხედველობა)* |
| | იდეა/იდეოლოგია | *კონკრეტული იდეა/ იდეოლოგია* |
| **ძალაუფლება** | მმართველობის ფორმა | *კონკრეტული მმართველობითი სტრუქტურა* |
| | საზოგადოებრივი ორგანიზაცია | *კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების ისტორია* |
| | მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეფორმა | *მმართველობის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული კონკრეტული რეფორმა* |
| **ისტორიული მოვლენა/პროცესი** | ისტორიული პიროვნება | *კონკრეტული ისტორიული პიროვნების მოღვაწეობა* |
| | რეფორმა | *კონკრეტული რეფორმა* |
| | აჯანყება | *კონკრეტული აჯანყება* |
| | რევოლუცია | *კონკრეტული რევოლუცია* |
| | დიპლომატიური მოლაპარაკება/ ზავი/ხელშეკრულება | *კონკრეტული ზავი/დიპლომატიური მოლაპარაკება/ხელშეკრულება* |
| | ბრძოლა/ომი | *კონკრეტული ბრძოლა/ომი* |

| სამიზნე ცნება | სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები |
|---|---|
| **ისტორიული წყარო** | • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;<br>• წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;<br>• ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.<br>• წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. |
| **დრო** (ისტორიული პერიოდი) | • ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>• კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>• სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ. |
| **სივრცე** (გარემო, ტერიტორია) | • გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br>• კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br>• კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ. |
| **საზოგადოება** | • ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>• საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>• პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>• საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ. |
| **ძალაუფლება** | • ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>• ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>• ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>• ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>• დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი. |
| **ისტორიული მოვლენა/ პროცესი** | • ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>• ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზებისა და შედეგების შესახებ;<br>• ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>• ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით. |

## მოსწავლის შეფასების სისტემები

სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული მოსწავლის შეფასება. სწავლება და შეფასება ერთი მედლის ორი მხარეა და არ წარმოადგენს ერთმანეთისგან იზოლირებულ ორ კომპონენტს. მოსწავლე შეიძლება შეფასდეს უშუალოდ სასწავლო პროცესში, სპეციალურად დანიშნული გამოკითხვებისა და საკონტროლო წერების გარეშე.

**ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:**
**განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

| | განმავითარებელი | განმსაზღვრელი |
|---|---|---|
| **მიზნები** | სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;<br>მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. | მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. |
| **ამოცანები** | ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება;<br>წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა;<br>მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება;<br>მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება;<br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. | ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება;<br>ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება;<br><br>ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება. |
| **წარმატების კრიტერიუმი** | განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით. | მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით |
| **შემფასებელი და შეფასების ფორმები** | **მასწავლებელი**: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.<br>**მოსწავლეები**: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით. | მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით). |

**განმსაზღვრელი შეფასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ორი მოდელი გამოიყენება.**

**მოდელი 1** – ნიშანი იწერება მიმდინარე საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტებში, ხოლო სემესტრული ქულა გამოითვლება ამ სამი კომპონენტის საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

**მოდელი 2** – ნიშანი იწერება მხოლოდ შემაჯამებელ დავალებებში. მათ რაოდენობას თავად სკოლა განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. სკოლას უფლება აქვს სხვადასხვა კლასში, სხვადასხვა საგანში განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა მოდელი გამოიყენოს. ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა ნიუანსები უნდა შეფასდეს ნიშნით სწავლა-სწავლების პროცესში.

| ზოგადი კრიტერიუმი (ზოგადი) | შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტული) | ქულა | კომენტარი |
|---|---|---|---|
| მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში | მოსწავლემ მართებულად გაიგო კომპლექსური დავალების პირობა. | | |
| მოსწავლე ამჟღავნებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას; პროცედურული ცოდნის გამოყენებით განაზოგადებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. | საგნობრივი საკითხი/საკითხები : | | |
| მოსწავლეს შეუძლია განაზოგადოს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის სახით ჩამოყალიბებული მოსაზრებები. | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 1. | | |
| | კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმი 2. | | |

**შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება**

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. *სოლო ტაქსონომია* (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია – ინგლ. SOLO – Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით. ეს დონეებია:

| |
|---|
| **SOLO 1: პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს. |
| **SOLO 2: უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. |
| **SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ. |
| **SOLO 4: მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. |
| **SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. |

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.

წარმოგიდგენთ კომპლექსური დავალების კონკრეტული ნიმუშის მიხედვით შექმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.

ქვემოთ მოცემული შეფასების რუბრიკა შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც მოსწავლის მიღწევების აღსაწერად სამიზნე ცნებებთან მიმართებით, ისე განმავითარებელი კომენტარისთვის.

ეს არის მასწავლებლის სამუშაო ფურცელი, რომლის საფუძველზეც ის ჩამოაყალიბებს კომენ-

ტარს სამიზნე ცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების ფარგლებში. ეს კომენტარები მასწავლებელმა სხვადასხვა სამიზნე ცნებასთან მიმართებით სწავლა-სწავლების პროცესში პერმანენტულად უნდა აკეთოს.

**განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აღწერილობა:**

ცხრილის პირველ ჰორიზონტალურ, სატიტულო უჯრაში მოცემული ინფორმაცია ხაზს უსვამს იმას, რომ:

- ამ ფორმით ფასდება **ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად**;
- მოსწავლეები ფასდებიან **გრძელვადიან მიზნებთან** ანუ **საგნობრივ სამიზნე ცნებებთან** მიმართებით;
- საგნობრივ ცნებაზე მუშაობა ხდება **კონკრეტულ (და არა ზოგად) საგნობრივ საკითხზე** დაყრდნობით;
- საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლის ცოდნის შემოწმება ხდება **კომპლექსური დავალების საშუალებით**.

ცისფერ (რუხ) ჰორიზონტალურ სვეტში მოცემულია სამიზნე ცნებები (აქ მოიაზრება იმდენი ვერტიკალური სვეტი, რამდენი სამიზნე ცნებაცაა კონკრეტულ საგანში), ხოლო ცისფერ (რუხ) ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ამ სამიზნე ცნებების გააზრების დონეები (SOLO ტაქსონომიის მიხედვით). ცისფერ სვეტში მოცემულია ზოგადი აღწერილობა, ხოლო ცნებისა და დონის კვეთაზე ეს აღწერილობები დაკონკრეტდება ქვემოთ მოცემული მაგალითების შესაბამისად.

მოსწავლის სახელი, გვარი ______________________________________________

საგანი და სამიზნე ცნება ______________________________________________

საკითხი ______________________________________________

| **სამიზნე ცნება კრიტერიუმი** | **სამიზნე ცნება 1** | | **სამიზნე ცნება 2** | | **სამიზნე ცნება 3** | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/ სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | აღწერილობა | | | | | კომენტარი |
| **მიმართებითი დონე** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **უნისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |
| **პრე-სტრუქტურული დონე** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი | აღწერილობა | კომენტარი |

**როგორ უნდა გაკეთდეს კომენტარი განმავითარებელი შეფასებისთვის?**

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ მოსწავლეს ვასწავლით თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით მივეცით შემდეგი კომპლექსური დავალება:

გაეცანით ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ უცნობი ავტორის ცნობებს „ქართლის ცხოვრებიდან“, სადაც მოვლენები თამარ მეფის სასარგებლოდაა აღწერილი. წარმოიდგინეთ, რომ ხართ თამარის ეპოქაში მცხოვრები მემატიანე, რომელიც კეთილგანწყობილია მეფის მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანის მიმართ და მხარს უჭერს „ისნის კარვის“ დაარსებას. შექმენით მოკლე „მატიანე“, სადაც ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას თამარ მეფის უცნობი მემატიანისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩენთ.

*ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:*

1. რა ფაქტორები განაპირობებს ეპოქის თანამედროვე ისტორიკოსის ტენდენციურობას?
2. რა ნიუანსებში განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ თქვენი და თქვენი მოწინააღმდეგე ისტორიკოსის – მაგ. ბასილი ეზოსმოძღვრის მოსაზრებები ერთმანეთისგან; რა არის განსხვავებული ინტერპრეტაციის არსებობის მიზეზი;
3. კიდევ რა წყაროები არსებობს თამარ მეფის ეპოქის შესახებ; რამდენად სანდოა ისინი.

კომპლექსური დავალება მიმართულია სამიზნე ცნება „წყაროს“ გააზრებაზე და შესაბამისად, მისი კრიტერიუმები (ქუდის ქვეშ „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე“) უკავშირდება სამიზნე ცნება „წყაროს“ მკვიდრ წარმოდგენებს:

- ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;
- წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;
- ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის;
- წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.

რა თქმა უნდა, ამ დავალებას სხვადასხვა მოსწავლე სხვადასხვა ხარისხით შეასრულებს. შესაბამისად, ჩვენი მხრიდანაც მათი მიღწევების შეფასება და განმავითარებელი კომენტარი განსხვავებული უნდა იყოს. ქვემოთ შეფასებულია 5 მოსწავლის კომპლექსური დავალება თამარ მეფის შესახებ, რომელთაგან პირველი პრესტრუქტურულ დონეს მიემართება, მეორე – უნისტრუქტურულს, მესამე – მულტისტრუქტურულს, მეოთხე – მიმართებითს, მეხუთე – აბსტრაქტულს. თითოეული მოსწავლის შემთხვევაში შევსებულია ორი გრაფა: ერთი ასახავს, რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე (აღწერილობა) და მეორე ასახავს, თუ რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (კომენტარი).

**პირველი მოსწავლის ნაშრომი – პრესტრუქტურული დონე**

მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების არსი და მასთან დაკავშირებული შეკითხვები, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი პრესტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **პრე-სტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ არ შეასრულა დავალება, ვერ მიხვდა თამარ მეფესთან დაკავშირებით დავალების პირობას (შეექმნა ოპოზიციური მატიანე) | გაიხსენე, რა გსმენია თამარ მეფის შესახებ. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია, ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br><br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე ამბავს ორი ადამიანი სხვადასხვაგვარად ჰყვება და განსხვავებულ პოზიციებს გამოხატავს.<br><br>შეეცადე, დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

**მეორე მოსწავლის ნაშრომი – უნისტრუქტურული დონე**

მოსწავლემ დავალების არსი გაიგო, მაგრამ მასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მხოლოდ საკვანძო სიტყვებთან მიმართებით რეაგირებს, შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი უნისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება) |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „მატიანეს“ მსგავსი ერთაბზაციანი თხზულება, თუმცა, ეს ტექსტი შეიცავს მხოლოდ ზედაპირულ შეფასებით სიტყვებს (კერძოდ, აღნიშნავს, რომ „თამარი არც ისე კეთილია, როგორც სხვებს ჰგონია იმიტომ, რომ ის მოწინააღმდეგეებს სასტიკად მოექცა; ან თამარის მომხრე ისტორიკოსები იტყუებიან და მისი ცუდი საქმეების შესახებ არ წერენ). ჩანს, რომ მოსწავლემ არაფერი იცის თამარის ეპოქასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ. | შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, მაგრამ ჩანს, რომ არ გაქვს წაკითხული სასწავლო მასალა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო და დააკონკრეტო, რაში არ ეთანხმები თამარის მემატიანეს. |

**მესამე მოსწავლის ნაშრომი – მულტისტრუქტურული დონე**

მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან/მთავარ იდეასთან დაკავშირებით მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანმიმდევრული სახე. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მულტისტრუქტურული დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს" სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ. | მოსწავლემ ზუსტად გაიგო დავალების არსი და დაუკავშირა მას პარაგრაფში წარმოდგენილი მასალა (კერძოდ, აღნიშნა, რომ თამარი ცუდად მოიქცა იმიტომ, რომ დაიკავა დემნა ბატონიშვილის კუთვნილი ტახტი, უსამართლოდ შეიპყრო ყუთლუ არსლანი). თუმცა, ის ყურადღებას არ ამახვილებს დავალების მთავარ იდეაზე, არ ამხელს თამარის მომხრე ისტორიკოსის ტენდენციურობას.<br><br>დავალების ფორმაც დასახვეწია, კერძოდ, მოსწავლე გადმოგვცემს არა ამბავს, როგორც ეს „მატიანეს" შეშვენის, არამედ ცალკეულ წინადადებებს საკითხთან მიმართებით. | შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო, რაში არ ეთანხმები თამარის ისტორიკოსს და ხაზგასმით აღნიშნო, რატომ ფიქრობ, რომ ხალხმა მისი მონათხრობი არ უნდა დაიჯეროს.<br><br>გაითვალისწინე ისიც, რომ „მატიანეში" ისტორია საინტერესო ამბის სახით უნდა გადმოიცეს, რათა ის მსმენელებისთვის უფრო გასაგები იყოს. |

მეოთხე მოსწავლის ნაშრომი – მიმართებითი დონე

მოსწავლე მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოსცემს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ისტორიებს. ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს სამიზნე ცნების არსობრივ მახასიათებლებზე. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი მიმართებითი დონის გრაფაში აღმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს“ სვეტში.

| **სამიზნე ცნება** | **წყარო** | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი დასტრუქტურებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. | მოსწავლე საინტერესოდ და შემოქმედებითად გადმოსცემს თამარ მეფის შესახებ ინფორმაციას. მის თხზულებაში გამოკვეთილია ფაქტორები, რომლებიც თამარის ისტორიკოსის ტენდენციურობას განაპირობებს (კერძოდ, ამბობს, რომ ისტორიკოსი მეფესთანაა დაახლოებული, ის მალავს რიგ ფაქტებს, მაგალითად, გიორგი მესამის რეპრესიებს, რომლებიც წინ უძღოდა თამარის გამეფებას).<br><br>თუმცა, დავალებაში დაშვებულია შეცდომები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს ბოლომდე კარგად არ აქვს გააზრებული ეპოქა, რომელშიც თამარ მეფე ცხოვრობდა (მაგალითად, ახსენებს თავადებს, ამბობს რომ თამარი XI საუკუნეში გამეფდა). | შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენს თხზულებაში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>რა ფაქტორები განაპირობებს ეპოქის თანამედროვე ისტორიკოსის ტენდენციურობას?<br>რა ნიუანსებში განსხვავდება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ თქვენი და თქვენი მოწინააღმდეგე ისტორიკოსის მოსაზრებები ერთმანეთისგან; რა არის განსხვავებული ინტერპრეტაციის გაჩენის მიზეზი?<br><br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი კრიტერიუმზე – კიდევ რა წყაროები არსებობს თამარ მეფის ეპოქის შესახებ; რამდენად სანდოა ისინი.<br><br>იქნებ გეცადა, დაგესახელებინა თამარის ეპოქის ამსახველი სხვა წყაროები, რომლებიც უფრო შენი ნაამბობის სასარგებლოდ მეტყველებენ.<br><br>ყურადღება გაამახვილე, ასევე ფაქტობრივ შეცდომებზე (მაგ. თავადები და სათავადოები ჯერ კიდევ არ არსებობდა იმ ეპოქაში).<br>გაიხსენე ასევე, რომელი მეფეების მმართველობა უძღოდა წინ თამარის მეფობას. |

მეხუთე მოსწავლის ნაშრომი – აბსტრაქტული დონე

მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას პირად გამოცდილებას და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი აბსტრაქტული დონის გრაფაში ალმოჩნდება სამიზნე ცნება „წყაროს" სვეტში.

| სამიზნე ცნება | წყარო | |
|---|---|---|
| კრიტერიუმი | აღწერილობა<br>**რა გააკეთა მოსწავლემ და რა დასკვნა გავაკეთე ამის საფუძველზე** | კომენტარი<br>**რა რჩევა მივეცი მოსწავლეს (განმავითარებელი შეფასება)** |
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, შექმნა „მატიანე", რომელშიც თამარის მეფობის ამსახველი ისტორია გადმოსცა განსხვავებული ინტერპრეტაციით (მაგ.: ყუთლუ-არსლანის დასის წევრების გამოსვლის მოტივად დაასახელა ის, რომ აღარ სურდათ გამეორებულიყო მეფის მხრიდან ის სისასტიკე, რასაც გიორგი მესამის მეფობის დროს ჰქონდა ადგილი). თამარ მეფის ისტორიკოსის ტენდენციურობა ახსნა მისი სიახლოვით სამეფო კართან (მაგ. გამოიგონა ის ფაქტი, რომ თამარის მემატიანეა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი).<br><br>თხზულებიდან ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას თამარის ეპოქასთან დაკავშირებით და გააზრებული აქვს ისინი სამიზნე ცნების კონტექსტში; კერძოდ: ამჟღავნებს მე-12 საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ცოდნას (სამიზნე ცნება „სივრცე"), ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის ცოდნას, მაგ,: ადეკვატურად ახსენებს ტერმინებს: „მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი", „უგვაროთა აღზევება", „საერისთავოები" (სამიზნე ცნება „ძალაუფლება"), ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს თამარის მეფობისა და მისი წინარე პერიოდის ისტორიულ მოვლენებს შორის (სამიზნე ცნება „ისტორიული მოვლენა/პროცესი").<br><br>მოსწავლემ ეპოქის სულისკვეთების უკეთ წარმოსაჩენად გამოიყენა არქაული სიტყვები. | შენ მშვენივრად გაართვი დავალებას. შენი ნაშრომიდან ჩანს, რომ სიღრმისეულად გაიაზრე:<br>„ქართლის ცხოვრების", როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა;<br>ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები თამარის ეპოქაში;<br>შესაბამისი ეპოქის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკისთვის აქტუალური საკითხები;<br>ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მიზეზები და შედეგები.<br><br>გთხოვ გაიხსენო ისტორიიდან, შენი პირადი ცხოვრებიდან მაგალითები, რომლებიც „მატიანეში" გამოკვეთილ ნიუანსებს უკავშირდება:<br>ვინმეს, ან რაიმეს ხომ არ გაგონებს თამარის ისტორიკოსის ტენდენციურობა;<br>რომელ ისტორიულ მოვლენას გაგონებს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა;<br>რით განსხვავდება თამარის ეპოქა და მისთვის დამახასიათებელი ისტორიული მოვლენები სხვა ისტორიული ეპოქებისგან. |

**ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის**

გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხ-ას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- წყაროს გარჩევა;
- ვიდეომასალისა და ფილმების გარჩევა;
- მუზეუმში სტუმრობა;
- ექსკურსია;
- გამოკითხვა/კვლევის ჩატარება;
- როლური თამაში – პიესის დადგმა, რაიმეს ინსცენირება;
- ლიტერატურული შინაარსის შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (პირველ პირში დღიურის, ჩანახატის დაწერა);

## სწავლა – სწავლების სტრატეგიები

საგანმანათლებლო ლიტერატურაში სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციაა მიღებული. ძირითადად, გამოიყოფა მეთოდების ორი ჯგუფი:

- მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას;
- მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია ზოგადი/ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.
- აღნიშნული დაყოფა ერთგვარად პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც მეთოდთა უმრავლესობა საგნობრივთან ერთად მოსწავლეებს ზოგადი კომპეტენციის განვითარებაშიც ეხმარება.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააანალიზოს და გააცნობიეროს თითოეული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობები კონკრეტულ საგანთან, ასაკობრივ ჯგუფთან, გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში და მხოლოდ შემდეგ გააკეთოს სათანადო არჩევანი. ცნება „მეთოდი“ გულისხმობს მიზნის მისაღწევ გზას, ხერხს. სწავლების მეთოდი წარმოადგენს მასწავლებლის მიზანმიმართულ ქმედებას მოსწავლეებში სათანადო კომპეტენციის განსავითარებლად. სწავლების მეთოდის შერჩევისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ გაკვეთილის სასწავლო მიზნებისა და სავარაუდო შედეგების განსაზღვრა, რამდენადაც სწორედ შედეგზეა დამოკიდებული სწავლების მეთოდები. ამდენად, კონკრეტული მეთოდის შერჩევისას გასათვალისწინებელია შერჩეული მეთოდის შესაბამისობა აქტივობასთან, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებასთან, აგრეთვე მნიშვნელოვანია აქტივობისათვის საჭირო რესურსის ხელმისაწვდომობა, აქტივობისათვის განსაზღვრული დროის შესაბამისობა და სხვ.

საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკაში ხდება აქტივობისა და მეთოდის გაიგივება. აქტივობას დაესმის კითხვა: „რას აკეთებს მასწავლებელი?“ მაგალითად, მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს, ხოლო ის, რასაც დაესმის კითხვა: „როგორ აკეთებს მასწავლებელი?“ (ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ახორციელებს ამ აქტივობას?) – მეთოდია.

იმისათვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს სწავლების მეთოდები, იგი უნდა ფლობდეს სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, რომელთა შორისაც გამოყოფენ: **1. კოგნიტურ სტრატეგიებს.** მათი საშუალებით მოსწავლე იძენს/მოიპოვებს ცოდნას, გადაამუშავებს, აანალიზებს, კრიტიკულად შეაფასებს, გამოიყენებს სხვა სიტუაციაში; **2. მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს** (მეტაკოგნიცია – აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ). ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლების პროცესში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, უვითარებს მოსწავლეს გააანალიზოს და გამოიტანოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება; **3. სოციალური სტრატეგია**, რომელიც სოციალურ ინტერაქციას ეფუძნება და სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირებისათვის უპირატესობას თანამშრომლობით სწავლებას ანიჭებს (მაგალითად, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ურთიერთსწავლება და სხვ.); **4. რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია** (მულტიმედიური, ქსელური სასწავლო საშუალებები, მაგალითად, ინტერნეტი, ბიბლიოთეკა და სხვ.).

1. კოგნიტური დიაგრამები

გრაფიკული სქემების გამოყენება წარმოდგენის არალინგვისტურ ფორმებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია. გრაფიკული სქემა, როგორც წესი, წარმოსახვის ორივე ფორმას გულისხმობს – ლინგვისტურს და არალინგვისტურს. ლინგვისტურია სიტყვები და ფრაზები. არალინგვისტურია სხვადასხვა ტიპის სიმბოლოები და ისრები, რომლებიც სიმბოლოებს შორის ურთიერთობებს გამოხატავენ.

კოგნიტური დიაგრამებით, ანუ გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ.

**კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:**

- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

**როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:**

- გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს;
- გამოიყენება როგორც საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს;
- გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.

მეთოდები, რომლებიც მსგავსებასა და განსხვავებას უკავშირდება, შეიძლება სწავლის ქვაკუთხედად იქნეს მიჩნეული. ამ სახის დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები ავლენენ მათ მიერ შეძენილი ცოდნის გააზრებისა და განსხვავებულ კონტექსტში გამოყენების უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებით ეფექტურია მსგავსებისა და განსხვავების მეთოდის გამოყენება, როდესაც მოსწავლეები მასწავლებლის მინიშნებების გარეშე, ერთობლივი მუშაობის (ჯგუფური) პირობებში აკეთებენ სათანადო დასკვნებს, ეს კი ხელს უწყობს ახალი, ზოგჯერ ურთიერთგანსხვავებული იდეების სტიმულირებას. ცოდნის გააზრებისა და გამოყენების ეფექტურობას საგრძნობლად ზრდის მოსწავლეთა მიერ გრაფიკული სქემებისა და დიაგრამების გამოყენება, რაც ხელს უწყობს საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენის სტიმულაციას. ეფექტური შედარებისათვის საყურადღებოა მოსწავლეთა მიერ შესადარებელი ობიექტების, ფაქტების, მოვლენების მნიშვნელოვანი მახასიათებლების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც შემდეგ უკვე მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის საფუძვლად იქცევა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შედარებისათვის გამოიყენოს ნათლად სტრუქტურირებული სავარჯიშოები (რას და რომელი მახასიათებლების მიხედვით ადარებენ), რაც საყურადღებოა მოსწავლეთა მხრიდან ძალისხმევის გარკვეული ტიპის დასკვნებზე მიმართვის თვალსაზრისით. ამ ტიპის დავალებები მიმართულია მოსწავლეთა მიერ

ერთსა და იმავე მახასიათებლებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების ამოცნობაზე. შედარებისა და მსგავსება-განსხვავების მიზნით გამოიყენება:

**ვენის დიაგრამა**



ვენის დიაგრამა გამოიყენება ორი საგნის ან მოვლენის, განსახილველი საკითხების, ფაქტების, სხვადასხვა ხელოვანის შემოქმედების, ხელოვნების ერთი დარგის, ჟანრისა თუ სხვ. ნიმუშების და ა.შ. როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნების დასაფიქსირებლად: წრეების გადაკვეთის მონაკვეთში ჩაიწერება საერთო, მარჯვენა და მარცხენა მონაკვეთებში კი – განსხვავებული ნიშნები.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა მოსწავლეს უადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებასა და აღქმას, განუვითარებს დაკვირვებულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს.

ვენის დიაგრამაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფების სავარჯიშოში.

## შედარების მატრიცა

ეს გრაფიკული სქემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შესადარებელია ორზე მეტი საგანი ან მოვლენა, ნაწარმოები და ა.შ., რაც ითვალისწინებს უფრო დეტალურ მიდგომას შესადარებელი ობიექტებისადმი და გარდა შედარება-განსხვავებისა, აღინიშნება თითოეული ობიექტის მახასიათებლებიც.

**დიაგრამა 2**
**შედარების მატრიცა**
**მატრიცა**

| მახასიათებლები | შესადარებელი თემები | | | |
|---|---|---|---|---|
| | # 1 | 2 | 3 | |
| 1 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 2 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 3 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |
| 4 | | | | მსგავსებები |
| | | | | განსხვავებები |

**T-დიაგრამა**

| **მომხრე** | **მოწინააღმდეგე** |
|---|---|
| | |

სქემა გამოიყენება განსახილველი საკითხების (ფაქტების, მოვლენების, მხატვრული მიმართულებების, ეპოქების, ხელოვანთა შემოქმედების, ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.) შესადარებლად, დასაპირისპირებლად, ანუ მხოლოდ განმასხვავებელი ნიშნების აღსანიშნად. შესაბამისად, სქემის თითოეულ გრაფაში ჩაიწერება ფაქტების, მოვლენების და ა.შ. განსხვავებული ნიშნები. სქემაზე მუშაობა მოსწავლეს გაუადვილებს განსახილველი საკითხის უკეთ გააზრებას, მის არსში წვდომას, განუვითარებს დაკვირვების, დასკვნების გაკეთების, კრიტიკული აზროვნებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარებს. სქემაზე მუშაობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილში და ჯგუფურად.

**ორმხრივ ჩანაწერთა დღიური**

ამ სქემაზე მუშაობა გამოიყენება მოსწავლის კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარებისათვის. მოცემული სქემის პირველ გრაფაში („ციტატა“) მოსწავლეებს შევთავაზებთ, ჩაწეროს ციტატა სახელმძღვანელოდან (შესაძლებელია ამ მიზნით სხვა სახის ინფორმაციის გამოყენებაც), რომელთან დაკავშირებითაც საკუთარ მოსაზრებებს ჩაწერს სქემის მეორე ნაწილში („კომენტარი“)

| ციტატა | კომენტარი |
|---|---|
| | |

**„ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე“**

ახალი თემის დაწყებისას მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს მოცემული სქემის პირველ გრაფაში. თემის დასრულებისას კი, ძირითადად, შემაჯამებელ გაკვეთილზე, ავსებენ მეორე და მესამე გრაფებს. მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია ჩანაწერების ანალიზი, რაც ნათლად მეტყველებს მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის ათვისების ხარისხზე, აგრეთვე შემეცნებით ინტერესებზე, რომელიც მესამე გრაფაში შესრულებულ ჩანაწერში.

| რა ვიცი | რა ვისწავლე | რა მინდა ვიცოდე |
|---|---|---|
| | | |

**„3, 2, 1“**

მოცემულ სქემაზე მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც შეძენილი ცოდნის გამოვლენის, საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემის, ისე თვითშეფასების უნარების გამოვლენისათვის.

მოცემულ სქემაზე მუშაობა თემატური ციკლის დასკვნითი გაკვეთილისათვის არის მიზანშეწონილი. სასურველია, მოსწავლეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, რომ თითოეულ გრაფაში მხოლოდ თემებისა თუ საკითხების ჩამოთვლა არ არის საკმარისი. მათ უნდა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალაზე კონცენტრირების, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

| | |
|---|---|
| ჩაწერე 3 თემა/საკითხი, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესდი. | |
| 2 თემა/საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც გაგიჩნდა მეტი ინფორმაციის მიღების ინტერესი. | |
| 1 თემა/საკითხი, რომელზეც იმსჯელებდი ამხანაგებთან ერთად | |

**ასოციაციური რუკა (ე.წ. „აბლაბუდა“)**

ასოციაციური რუკა გამოიყენება მოსწავლეთა ყურადღების მაქსიმალური მობილიზებისა და კონცენტრაციის, აზროვნების გააქტიურების, შეძენილი ცოდნის გამოვლენა-განმტკიცების, შეჯამების მიზნით. დაფის ან ფურცლის ცენტრში იწერება საკვანძო სიტყვა/ ფრაზა, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს კონკრეტულ ტერმინს, ეპოქას, მოვლენას, პიროვნებას და ა.შ. აღნიშნული საკვანძო სიტყვის ირგვლივ მოსწავლეები წერენ სიტყვებს, ფრაზებს, რომლებსაც ამ სიტყვასთან/ ფრაზასთან დაკავშირებით გაიხსენებენ. ამის შემდეგ აზრობრივად აკავშირებენ ამ სიტყვებს, ფრაზებს როგორც ერთმანეთთან, ისე საყრდენ სიტყვასთან და გამოსახავენ ხაზებით. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილში და ჯგუფური მუშაობისას.



გარდა ამ კოგნიტური სქემებისა გთავაზობთ კიდევ რამდენიმე გრაფიკულ სქემას, რომელიც შეესაბამება ინფორმაციის დალაგების კონკრეტულ პარადიგმებს.

- **აღწერითი პარადიგმები.** აღწერითი პარადიგმა შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ადამიანების, ადგილების, საგნებისა და მოვლენების შესახებ ფაქტების წარმოსადგენად. არ არის აუცილებელი, რომ აღწერით პარადიგმაში მოქცეული ინფორმაცია რამე თანმიმდევრობის მიხედვით იყოს დალაგებული.




- **დროითი თანმიმდევრობის პარადიგმები.** დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა მოვლენების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას გულისხმობს. ასეთი სქემების შევსება დაეხმარება მოსწავლეებს ქრონოლოგიის დადგენასა და დანახვაში.






საათი – მოვლენათა თანმიმდევრობა

**პროცესის/მიზეზშედეგობრიობის პარადიგმები.** პროცესის/მიზეზშედეგობრიობის პარადიგმა გულისხმობს ინფორმაციის დალაგებას ა. კაუზატიურ ქსელში, რომელსაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ან ბ. მოქმედებების ერთობლიობაში, რომელიც ლოგიკურად სრულდება კონკრეტული პროდუქტით.

ა.




ბ.

**მოვლენა 1** ეს მოხდა იმიტომ, რომ:

**შედეგი**




**ეპიზოდის პარადიგმები.** ეპიზოდის პარადიგმა საშუალებას იძლევა, გარკვეულ სისტემაში მოვიყვანოთ ისეთი კონკრეტული ინფორმაცია, როგორებიცაა: ა. მოვლენის დრო და ადგილი, ბ. კონკრეტული ადამიანები, გ. მოვლენის ხანგრძლივობა, დ. მოვლენათა კონკრეტული თანმიმდევრობა, ე. კონკრეტული მიზეზი და შედეგი.



2. მეტაკოგნიტური სტრატეგიები

მეტაკოგნიცია სიტყვასიტყვით ნიშნავს კოგნიციას (ცოდნა, შემეცნება) კოგნიციის შესახებ – ან ცოდნას ცოდნისა და სწავლის შესახებ. ეს მეტაკოგნიტური ცოდნა უმაღლესი რიგის კოგნიციაა, რომელიც გამოიყენება კოგნიტური პროცესების მონიტორინგისა და რეგულირებისათვის ისეთებისა, როგორებიცაა ლოგიკური აზროვნება, გაგება-გაანალიზება პრობლემის გადაჭრა, სწავლა და ა.შ. ვინაიდან ადამიანები განსხვავდებიან თავიანთი მეტაკოგნიტური ცოდნისა და უნარის მიხედვით, ისინი განსხვავდებიან სწავლის ხარისხისა და სისწრაფის მიხედვითაც.

მეტაკოგნიცია მოიცავს სამი სახის ცოდნას:

(1) **დეკლარაციულ ცოდნას** საკუთარი თავის, როგორც მსწავლელის შესახებ, იმფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს შენს სწავლასა და მეხსიერებაზე და გარკვეული დავალების შესრულებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე, სტრატეგიებსა და რესურსებზე.

(2) **პროცედურული ცოდნა** ან იმისცოდნა, როგორ გამოიყენო სტრატეგიები.

(3) **პირობისეული ცოდნა დავალების დასრულების უზრუნველსაყოფად** – იმის ცოდნა, როდის და რატომ გამოიყენო სტრატეგიები და პროცედურები.

მეტაკოგნიცია არის ამ დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის სტრატეგიული გამოყენება მიზნების მისაღწევად და პრობლემების დასაძლევად.

მეტაკოგნიტური ცოდნა გამოიყენება აზროვნებისა და სწავლის რეგულირებისათვის. არსებობს სამი არსებითი უნარი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ეს პროცესი. ესენია: დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება.

დაგეგმვა გულისხმობს იმის გადაწყვეტას, რა დრო უნდა დაეთმოს დავალებას, რა სტრატეგიები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორ უნდა დაიწყოს დავალების შესრულება, რა რესურსები უნდა შეგროვდეს, რა თანმიმდევრობას უნდა მივყვეთ, რაზე არ დავკარგოთ დიდი დრო, რას მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ.

მონიტორინგი არის მოცემული მომენტის აღქმა, გაცნობიერება იმისა, „რას ვაკეთებ“. მონიტორინგი მოიცავს კითხვას: „გამოდის აქედან რაიმე აზრი? ზედმეტად ხომ არ ვჩქარობ? საკმარისად ვისწავლე?“

შეფასება მოიცავს აზროვნების, სწავლის პროცესებისა და შედეგების შესახებ შეფასებების გაკეთებას. „სტრატეგიის შეცვლა ხომ არ იქნება უპრიანი? დახმარება ხომ არ ვითხოვო? დავნებდე? არის ეს ნაშრომი დასრულებული?“

გამოყოფენ სტრატეგიათა შემდეგ სახეებს:

| სტრატეგიის ტიპი | მაგალითი |
|---|---|
| **მასალის გამეორების მარტივი სტრატეგიები** | ფაქტობრივი მონაცემების რამდენჯერმე გამეორება |
| **მასალის გამეორების რთული სტრატეგიები** | ტექსტში მნიშვნელოვანი პუნქტების ხაზგასმა |
| **ინფორმაციის დამუშავების მარტივი სტრატეგიები** | ასოციაციების ფორმირება: |
| **ინფორმაციის დამუშავების რთული სტრატეგიები** | ანალოგიების ფორმირება, პერიფრაზირება, შედეგების შეჯამება, დაკავშირება |
| **ინფორმაციის ორგანიზების მარტივი სტრატეგიები** | დაჯგუფება, კლასიფიკაცია |
| **ინფორმაციის ორგანიზაციის რთული სტრატეგიები** | ძირითადი იდეის იდენტიფიკაცია, განზოგადებული ცნებების ამსახველი ცხრილების დამუშავება. |
| **მასალის გაგების, შემოწმების სტრატეგიები** | შეკითხვები თვითკონტროლისათვის, ძირითადი პუნქტების, თეზისების ჩამოთვლა, მიზნების დასახვა და ამ მიმართულებით საკუთარ წინსვლაზე თვალის მიდევნება. |
| **აფექტური და მოტივაციური სტრატეგიები** | შინაგანი მოტივაციის გამოყენება, „მე შემიძლია ამის გაკეთება უბრალოდ, დრო მჭირდება, ემოციათა მართვის ტექნიკები, დადებითი განწყობის შემუშავება“. |

**3. სოციალური სტრატეგია** როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი სტრატეგიები ურთიერთთანამშრომლობაზეა აგებული. გთავაზობთ ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო მეთოდურ რეკომენდაციებს.

### ჯგუფური მუშაობა

**ჯგუფში მუშაობის დაგეგმვა**

- ჯგუფში მუშაობისთვის აუცილებელია, რომ მოსწავლეები ხედავდნენ ერთმანეთს და ესმოდეთ ერთმანეთის; საჭიროა დავურიგოთ მასალა ჯგუფებს; სასწავლო საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
- სამუშაო ფურცელზე მითითებები უნდა იყოს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე და ზუსტად ფორმულირებული, რათა მათი შესრულება შესაძლებელი იყოს მასწავლებლის გარეშე.
- ჯგუფში მუშაობისას უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ სასწავლო მიზნების მიღწევებზე, არამედ თანამშრომლობის უნარის განვითარებაზეც.

**თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები**

- ჯგუფის წევრებმა უნდა მოუსმინონ თანაჯგუფელებს, თითოეული უნდა მონაწილეობდეს მუშაობაში, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ითხოვდეს და იღებდეს დახმარებას.
- მასწავლებელი თვალს ადევნებს, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეასრულოს განსაზღვრული როლი (ორგანიზატორ-ლიდერის, გამომსვლელის, განმაზოგადებლის, დროის მაკონტ-

როლებლის და ა.შ.), ამასთანავე სხვადასხვა დავალების დროს როლები უნდა შეიცვალოს.

**როგორ დავყოთ ჯგუფებად?**

- ჯგუფის ოპტიმალური სიდიდე – 4-5 მოსწავლე; დიდი მოცულობის დავალებისთვის, რომელიც დაყოფილია რამდენიმე სავარჯიშოდ, შესაძლებელია უფრო დიდი ჯგუფების შექმნაც.
- ჯგუფები მუდმივად ცვალებადი უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფისათვის მიცემული დავალება რამდენიმე დღის ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. კლასის დაყოფამ უცვლელ ჯგუფებად შეიძლება ჩაშალოს ამგვარი მუშაობის პრინციპი, რადგან ყველა მოსწავლემ აქტიურად უნდა იმუშაოს.

**რას აკეთებს მასწავლებელი იმ დროს, როცა მოსწავლეები მუშაობენ?**

- თვალი ადევნეთ ჯგუფების მუშაობას, მაგრამ არ უხელმძღვანელოთ მათ. მოსწავლეები მუშაობენ დამოუკიდებლად პირადი პასუხისმგებლობის განცდით. შეგიძლიათ მიეხმაროთ ჯგუფებს – გაცვალოთ ინფორმაცია მუშაობის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. მუშაობისას შეეცადეთ, მიაწოდოთ ახალი იდეები.
- სთხოვეთ მოსწავლეებს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები, მოუსმინონ სხვებს და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები.
- მუშაობის დროს გააკეთეთ კომენტარები. ინფორმაცია მოსწავლეთა გამოსვლის შესახებ უნდა იყოს კონკრეტული. ნუ მოერიდებით ხშირად, კონკრეტულად და ღიად კომენტირებას. ეს უნდა გააკეთოთ როგორც ჯგუფებად მუშაობის დროს, ასევე მიღებული შედეგების შეჯამებისას.
- თუ ჯგუფები ძნელად გასაკონტროლებელი ხდება, შეწყვიტეთ მუშაობა და განიხილეთ ეს საკითხი.
- მიუთითეთ, როგორი საქციელი ქმნის პრობლემებს, რომელი მოსწავლე არ ასრულებს თავის როლს და განმარტეთ, რომ ყველა პასუხისმგებელია დავალების შესრულებაზე. თითოეულ ჯგუფს 5 წუთით დაუნიშნეთ დამკვირვებელი. მოგვიანებით ეს დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებს. ჯგუფის მოქმედება მთელმა კლასმა უნდა განიხილოს.

**4. რესურსებზე დაფუძნებული სტრატეგია** ბუნებრივია ამ კომპონენტის აქტიურად გამოყენების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სწავლების მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. უბრალოდ საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილის ჩატარება. გთავაზობთ რამდენიმე სახის რესურსის გამოყენებისათვის საჭირო მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

**წერილობით წყაროებზე მუშაობა**

წერილობითი წყაროები მოსწავლის წიგნის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. მათი დამუშავება ხელს უწყობს მოსწავლის კვლევით-ანალიტიკური უნარის განვითარებას, და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს რადგან მოიცავს ცოდნის როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ კატეგორიას.

წერილობითი წყარო არის ის ძირითადი რესურსი საიდანაც მოიპოვება ისტორიული ცოდნა და მათი დამუშავების შედეგად შესაძლებელი ხდება წარსულის სურათის რეკონსტრუირება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ წყაროს ანალიზი, ტექსტის კარგად გააზრებას გულისხმობს, რადგან პასუხების დიდი ნაწილი ტექსტშივეა. წყაროზე მუშაობა გულისხმობს პასუხის ძიებას შეკითხვებზე რომელიც მის მიმართ ჩნდება.

- ვინ არის ავტორი? როდის ცხოვრობდა? საკუთარი გამოცდილების საფუძველზე წერდა თუ რაიმე სხვა ინფორმაციით საზრდოობდა? შეიძლებოდა თუ არა მოეხდინა ვინმეს/რამეს გავლენა ავტორზე, როდესაც ტექსტს ქმნიდა?
- რა სახის ნაწერებთან გვაქვს საქმე? მაგ. ქრონიკა, ნარატიული თხზულება, ლიტერატურული ნაწარმოები, სახელმწიფო დოკუმენტი, მოგზაურობის დღიური თუ სხვ.?
- სად და როდის ვითარდება წყაროში აღწერილი მოვლენები? რაზეა იქ საუბარი? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?
- როგორია ავტორის თხრობის ტონი? რა მიზანს ისახავს ავტორი ამბის გადმოცემით? შეიცავს თუ არა ტექსტი ავტორისეულ შეფასებებს? იჩენს თუ არა მიკერძოებას? რისი თქმა სურს მკითხველისთვის?

გარდა ამ ზოგადი ინფორმაციისა, თითოეული წყარო ინფორმაციას გვაწვდის, კონკრეტულ ეპოქაზე, კონკრეტულ მეფეზე, სახელმწიფო თუ საეკლესიო მოღვაწეზე, რაიმე კონკრეტულ ბრძოლაზე ან თუნდაც ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზე. ამიტომ თითოეული წყარო მოითხოვს ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე კითხვის დასმას.

**ილუსტრაციაზე მუშაობა**

ილუსტრაციაზე მუშაობა და მისი ანალიზი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც ემსახურება ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

ილუსტრაცია არის ნებისმიერი ვიზუალური სახის ნაბეჭდი, მაგ. კარიკატურა, პოსტერი, ნახატი, ფოტო, პლაკატი, საფოსტო მარკა და ა.შ.

ილუსტრაცია ყოველთვის ძვირფასი წყაროა, რადგან ზედ დატანილი შეიძლება იყოს, ისტორიული პირი, თარიღი, რამე ისტორიული მოვლენა/პროცესი. მოსწავლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს ილუსტრაციაზე გამოსახულ ყველა დეტალს. ილუსტრაციის ზოგად სიუჟეტს, თარიღებს, წარწერის ენასა და შინაარს. როგორც წყაროს ილუსტრაციასაც აქვს ზოგადი, უნივერსალური კითხვები:

- როდის არის შექმნილი ილუსტრაცია?
- რა პერიოდის ისტორიულ პერიოდს აღწერს ილუსტრაცია?
- ვინ არის ილუსტრაციის შემქმნელი და რა მოტივი ამოძრავებდა როდესაც ქმნიდა მას?

**რუკაზე მუშაობა**

რუკაზე მუშაობაც მოსწავლის წიგნისა და რვეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ემსახურება უპირველეს ყოვლისა ისტორიულ სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარებას.

რეკომენდებულ სავარჯიშოთა შორისაა ისტორიულ და თანამედროვე პოლიტიკურ რუკებზე ერთდროულად მუშაობა, მათი შედარება. დადგენა ძველი სახელმწიფოების, იმპერიების ადგილას დღეს რომელი სახელმწიფოები მდებარეობენ.

გარდა ამისა, ისტორიული რუკა ბევრ ინფორმაციას გადმოგვცემს, ზედ დატანილია საზღვრების ცვლილებები, მიგრაციები. რუკაზე მუშაობა კი მოითხოვს მიღებული თეორიული მასალის დაკავშირებას პრაქტიკულ მუშაობასთან.

სანამ მოსწავლეები რუკაზე რუკებზე მუშაობას დაიწყებენ, აუცილებელია რუკის ლეგენდის განხილვა.

# თემატური მატრიცები

| თემა: გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები | |
|---|---|
| **თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები** |
| • რომაული სამართალი და მმართველობის სისტემა საფუძვლად უდევს თანამედროვე ევროპულ/დასავლურ სამართალსა და მმართველობის სისტემას;<br>• იმპერატორ კონსტანტინეს დროიდან რომში ქრისტიანობა მთავარ რელიგიად იქცა;<br>• გვიანანტიკურ ხანაში ხშირი იყო საეკლესიო განხეთქილებები (მაგალითად, მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის); სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა;<br>• რომის იმპერია გერმანული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა. შუა საუკუნეებს რომის იმპერიის დაცემის შემდგომ პერიოდს უწოდებენ;<br>• ქრისტიანობა და ისლამი მონოთეისტური რელიგიებია;<br>• შუა საუკუნეებში ხშირი იყოს განხეთქილება ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის; სადავო საკითხები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე წყდებოდა;<br>• შუა საუკუნეებში მონასტრები საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ;<br>• შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელია ფეოდალიზმი („სამწევროვანი საზოგადოება“ ევროპაში), | • რა მიზეზებმა განაპირობა რომის იმპერიის კრიზისი?<br>• რატომ მოიპოვა ქრისტიანობამ უპირატესობა რომის იმპერიაში მიუხედავად სასტიკი დევნისა?<br>• როგორ შეიცვალა ევროპის პოლიტიკური და ეთნიკური რუკა რომის იმპერიის დაცემის შემდეგ?<br>• როგორ აჯობა ფრანკთა სამეფომ დანარჩენ გერმანულ სამეფოებს და როგორ შექმნა ვრცელი ევროპული იმპერია?<br>• რატომ აერთიანებდა ბიზანტიის იმპერატორი საერო და სასულიერო ხელისუფლებას?<br>• რატომ მიიჩნევა იუსტინიანე დიდის მმართველობა ოქროს ხანად?<br>• რა განსაკუთრებული მახასიათებლები გამოარჩევდა სასანიანთა ირანს?<br>• რა შედეგი მოუტანა ირანსა და ბიზანტიას ომებმა?<br>• როგორ მოახერხა ჰერაკლე კეისარმა სასანური ირანის დამარცხება?<br>• როგორ გახდა მუჰამედი ახალი რელიგიისა და სახელმწიფოს მეთაური?<br>• რა იყო არაბთა დაპყრობების შედეგი?<br>• რა გავლენა მოახდინა ისლამურმა ცივილიზაციამ ქრისტიანულ ევროპაზე?<br>• როგორ გაძლიერდა ფრანკთა სამეფო და რამ გამოიწვია მისი დაშლა?<br>• როგორ ურთიერთობდნენ ერთმანეთში სხვადასხვა სოციალური ჯგუფები ფეოდალიზმის ხანაში?<br>• როგორ შეცვალა ნორმანთა დაპყრობითმა ომებმა ევროპა?<br>• რა შედეგით დასრულდა საშინაო და საგარეო პრობლემები ბიზანტიაში?<br>• როგორ მოახერხეს მაკედონელთა დინასტიის მმართველებმა ბიზანტიის იმპერიის გაძლიერება?<br>• რატომ გაიყო ქრისტიანული სამყარო ლათინურ და ბერძნულ სივრცეებად? |

| კომპლექსური დავალებები (დასახელება) | სამიზნე ცნებები და ქვეცნებები | საკითხები | საკვანძო შეკითხვები |
|---|---|---|---|
| 1. ორსვეტიანი ცხრილის შექმნა | ცნება/ცნებები:<br>ძალაუფლება, დრო<br>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>ისტორიული ეპოქა, მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეფორმა | დიოკლეტიანეს რეფორმები | როგორ წარმოვადგინო ორსვეტიანი ცხრილის საშუალებით რომი კრიზისულ ეპოქაში და ის, თუ როგორ განამტკიცა იმპერია დიოკლეტიანემ თავისი რეფორმებით? |
| 2. წერილობითი მოხსენების შექმნა | ცნება/ცნებები<br>სივრცე, საზოგადოება<br><br>ქვეცნება:<br>ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; სოციალური ფენები | ბიზანტიისა და სასანიდური ირანის დაპირისპირება VI საუკუნეში | როგორ წარმოვადგინო წერილობითი მოხსენების საშუალებით VI ს-ში ბიზანტია-სასანიდურ ირანს შორის არსებულ დაპირისპირებაში გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობა და ომის არეალში მცხოვრები საზოგადოებების ეთნიკური, ეკონომიკური და რელიგიური მახასიათებლები? |
| 3. ქართლის ერისმთავრის სახელზე წერილის შექმნა | ცნება/ცნებები:<br>ისტორიული მოვლენა; საზოგადოება<br><br>ქვეცნება:<br>ბრძოლა/ომი, ყოველდღიურობა | არაბთა დაპყრობები | როგორ წარმოვადგინო ქართლის ერისმთავრის სახელზე დაწერილ წერილში არაბთა დაპყრობების შედეგები და მათი დამოკიდებულება დაპყრობილი ხალხების მიმართ? |
| 4. მოკლე ქრონიკის შექმნა | ცნება/ცნებები:<br>წყარო/ინტერპრეტაცია<br><br>ქვეცნება:<br>ნარატიული წყარო | ბიზანტია IX საუკუნეში | როგორ წარმოვადგინო მოკლე ქრონიკის საშუალებით ბიზანტიელი ავტორების მიერ შექმნილი წერილობით წყაროების კრიტიკა IX საუკუნეში ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ? |
| 5. მოკლე ქრონიკის შექმნა | ცნება/ცნებები:<br>ძალაუფლება; საზოგადოება<br><br>ქვეცნება:<br>მმართველობის ფორმები; ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება | ფრანკთა იმპერია | როგორ წარმოვადგინო ქრონიკების საშუალებით შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმები და საზოგადოება? |

<table>
<tr>
<td>გრძელვადიანი მიზანი<br><br>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/ქვესაკითხები:<br>დიოკლეტიანეს რეფორმები<br><br>ქვეცნებები:<br>ისტორიული ეპოქა, მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეფორმა</td>
<td>საკვანძო კითხვა/შეკითხვები<br>როგორ წარმოვადგინო ორსვეტიანი ცხრილის საშუალებით რომი კრიზისულ ეპოქაში და ის, თუ როგორ განამტკიცა იმპერია დიოკლეტიანემ თავისი რეფორმებით?</td>
<td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td>
</tr>
<tr>
<td>ძალაუფლება<br>1. ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>2. ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>3. ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>4. ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის;<br>5. დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპზები (რესურსები, აქტივობები):<br><br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br>განსახილველი საკითხისა და კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს, რა ფორმით წარმოადგენს დავალებას. შესაძლებელია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით<br>ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქტის განხილვა.<br><br>რესურსები/აქტივობები<br>1.ორსვეტიანი ცხრილის ნიმუში<br><table><tr><th>პრობლემები</th><th>პრობლემის გადაჭრის გზები</th></tr><tr><td></td><td></td></tr></table><br>დავალების პირობისა და შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობის შემდეგ მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს გამოწვევის ფაზის მინი ფორმატში გამოყენება შეკითხვებით:<br>1. თუ შეგისრულებიათ დავალება ორსვეტიანი ცხრილის გამოყენებით?<br>2. რა მახასიათებლებზე ამახვილებთ ყურადღებას საკითხის შესწავლის დროს ორსვეტიანი ცხრილის გამოყენებით?<br>3. რატომ არის მნიშვნელოვანი საკითხი შეისწავლოთ ორსვეტიანი ცხრილის გამოყენებით?</td>
<td>წარმოიდგინე, რომ იმპერატორ დიოკლეტიანესთან დაახლოებული პირი, მისი მრჩეველი ხარ. იმპერატორმა მასშტაბური რეფორმების გატარება გადაწყვიტა და რჩევისათვის მოგმართა. უნდა შექმნა ორსვეტიანი ცხრილი, რომელშიც ერთ მხარეს წარმოდგენილი იქნება რომის იმპერიაში მესამე საუკუნეში არსებული საგარეო და საშინაო პრობლემები. მეორე მხარეს კი – შენი რეკომენდაციები და რჩევები იმპერატორს, თუ როგორ შეიძლება საიმპერიო ხელისუფლებამ ეს პრობლემები გადაჭრას. გამოკვეთილი უნდა იყოს არანაკლებ 5 მნიშვნელოვანი პრობლემა, ისე რომ ეპოქა კარგად იყოს წარმოჩენილი.<br><br>ცხრილში ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• როგორ შეიცვალა რომის იმპერია ეპოქის ცვლილებასთან ერთად და რა გამოწვევების წინაშე დგას, შედარებით მშვიდი II საუკუნის შემდეგ. (დრო. მკ. წ. 1)</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>დრო<br><br>1. ისტორია დროში მიმდინარე ცვალებადობის შემსწავლელი დარგია;<br>2. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებად და პერიოდებად იყოფა;<br>3. სხვადასხვა ხალხებს დროის აღრიცხვის განსხვავებული სისტემები ჰქონდათ.</td>
<td>4. შეასრულეთ პრაქტიკული დავალება: გაიხსენეთ შესაწავლი მასალა და ორსვეტიანი ცხრილის საშუალებით იმსჯელეთ პერიკლეს ხანაში ათენში არსებული პრობლემების შესახებ;<br>მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკული დავალების შესრულებაში.<br><br>II II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი<br>ნაბიჯი 1. როგორ შეიცვალა რომის იმპერია ეპოქის ცვლილებასთან ერთად და რა გამოწვევების წინაშე დგას, შედარებით მშვიდი II საუკუნის შემდეგ. (დრო. მკ. წ. 1)<br>რა ძირითადი მახასიათებლებითა და გამოწვევებით ხასიათდება III საუკუნე, როგორც ეპოქა, რომის იმპერიისათვის. (დრო. მკ. 2)<br><br>მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები<br>• სახელმძღვანელო: პარაგრაფი 33, 34, 35;<br>• რომი იმპერიის ხანაში #ტელესკოლა https://youtu.be/973jDZ1G6kM<br>• რომის იმპერია https://youtu.be/xeGg3iL_18w<br><br>1. როგორ იწყება რომის იმპერიაში ცვლილებები ეპოქის ცვლილებასთან ერთად II საუკუნეში?<br>2. რატომ შეიცვალა რომის იმპერიაში სტაბილური ეპოქა კრიზისული ეპოქით?<br>3. რა ფაქტორები განაპირობებდა რომში სტაბილური ეპოქის კრიზისული ეპოქით ცვლილებას?<br>4. რა გამოწვევების წინაშე დადგა რომი III საუკუნის დასაწყისში?<br>5. როგორ აისახა რომში დაწყებული ცვლილებები ეპოქაზე?<br>6. რა ძირითადი მახასიათებლებით ხასიათდება რომის იმპერიაში III საუკუნე, როგორც ეპოქა?<br>7. რა პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განხორციელდა რომში III საუკუნეში, რომელმაც იგი სამხედრო დიქტატურად აქცია?<br>8. რატომ გართულდა რომის საზღვრებთან მდგომარეობა III საუკუნის დასაწყისში?<br>9. როგორ აისახებოდა კრიზისული ეპოქა რომის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე?<br>10. როგორ აისახა რომში დაწყებული კრიზისული ეპოქა სასანიდურ ირანზე და ქართლის სამეფოზე?</td>
<td>• რა ძირითადი მახასიათებლებითა და გამოწვევებით ხასიათდება III საუკუნე, როგორც ეპოქა, რომის იმპერიისათვის. (დრო. მკ. 2)<br>• როგორ უნდა შეიცვალოს და რა ფაქტორებს უნდა დაემყაროს იმპერატორის ძალაუფლება, რომ ის მეტად ეფექტური გახდეს პრობლემების გადასაჭრელად, უნდა იყოს ერთპიროვნული თუ განაწილდეს სუბიექტებზე. (ძალ. მკ. წ. 2. მკ. წ. 3 მკ. წ. 4)</td>
</tr>
</table>

11. რა ცვლილებები გამოიწვია გლობალურმა კრიზისმა მსოფლიოსა და რომის ისტორიაში?
12. რა კრიტერიუმები შეგიძლია დაახასიათო ახალ ეპოქა რომის და მსოფლიოს ისტორიაში?
13. რატომ მიიჩნევენ თანამედროვე ისტორიკოსები III საუკუნეს ახალი ისტორიული ეტაპის, გვიანანტიკურობის დასაწყისად?
14. რატომ დავობენ ისტორიკოსები სხვადასხვა ისტორიული პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღებსა და კრიტერიუმებზე?

ნაბიჯი 2. როგორ უნდა შეიცვალოს და რა ფაქტორებს უნდა დაემყაროს იმპერატორის ძალაუფლება, რომ ის მეტად ეფექტური გახდეს პრობლემების გადასაჭრელად, უნდა იყოს ერთპიროვნული თუ განაწილდეს სუბიექტებზე. (ძალ. მკ. წ. 2. მკ. წ. 3 მკ. წ. 4)

**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფი 36;
- რომი იმპერიის ხანაში #ტელესკოლა https://youtu.be/973jDZ1G6kM
- რომის იმპერია https://youtu.be/xeGg3iL_18w
- დიოკლეტიანეს რეფორმები https://youtu.be/Y6M9zc7LSC4?t=451

1. გაიხსენე, რატომ იდგა რომი დაშლის პირას?
2. რამდენად შეძლებდა რომი არსებობას აურელიანუსს რომ არ გაემარჯვა?
3. როგორ გადაანაწილა დიოკლეტიანემ ძალაუფლება?
4. რეფორმების განხორციელების დროს ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის, რა საშუალებებს ეყრდნობოდა დიოკლეტიანე?
5. როგორ დაასრულა დიოკლეტიანემ რომში შიდა ბრძოლები ძალაუფლებისთვის?
6. როგორ აისახა დიოკლეტიანეს საგარეო პოლიტიკა კავკასიაზე, მათ შორის ქართლის სამეფოზე?
7. რამდენად შეეძლო დიოკლეტიანეს მის მიერ განხორციელებული რეფორმების გზით გადაეჭრა ის პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც რომი იდგა?
8. გაიხსენე რა მიზეზებმა განაპირობა რომში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რამდენად შეეძლო დიოკლეტიანეს ამ პრობლემების გადაჭრა?

| | | |
|---|---|---|
| | 9. რატომ იყვნენ ქრისტიანები მიუღებლები რომაული მმართველობისათვის? რამდენად შესაძლოა ეს დევნა წარმატებული ყოფილიყო? გაავლე ისტორიული პარალელები<br>10. რა ფაქტორებს უნდა დაემყაროს იმპერატორის ძალაუფლება, რომ ის მეტად ეფექტური გახდეს პრობლემების გადასაჭრელად?<br>11. გამოკვეთე ხუთი მნიშვნელოვანი პრობლემა და შეიმუშავე ამ პრობლემების გადაჭრის შენეული ვერსიები.<br><br>**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები**<br><br>• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;<br>• აღწერე რა პროდუქტი შექმენი;<br>• რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?<br>• ახსენი, რატომ შექმენი ორსვეტიანი ცხრილი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?<br>• შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?<br>• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?<br>• შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? | |

| გრძელვადიანი მიზანი<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/ქვესაკითხები:**<br>**ბიზანტიისა და სასანიდური ირანის დაპირისპირება VI საუკუნეში**<br><br>**ქვეცნებები:**<br>**ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია; სოციალური ფენები** | **საკვანძო კითხვა/შეკითხვები**<br>როგორ წარმოვადგინო წერილობითი მოხსენების საშუალებით VI ს-ში ბიზანტია-სასანიდურ ირანს შორის არსებულ დაპირისპირებაში გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობა და ომის არეალში მცხოვრები საზოგადოებების ეთნიკური, ეკონომიკური და რელიგიური მახასიათებლები? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
|---|---|---|---|
| **სივრცე**<br>1. გეოგრაფიული გარემო და გეოგრაფიული ცოდნა გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე;<br><br>2. კომუნიკაციის სიხშირე დიდი/მცირე ზომის სოციალურ-კულტურული სივრცეების ჩამოყალიბებას განაპირობებს;<br><br>3. კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალებს გარკვეული ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.<br><br>**საზოგადოება**<br><br>1. ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>**როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?**<br>განსახილველი საკითხისა და კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს, რა ფორმით წარმოადგენს დავალებას. შესაძლებელია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით<br>ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქტის განხილვა<br><br>**რესურსი/აქტივობა**<br>დავალების პირობისა და შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობის შემდეგ მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს გამოწვევის ფაზის მინი ფორმატში გამოყენება შეკითხვებით:<br>• რა არის მოხსენება?<br>• რა მიზნით ამზადებენ მოხსენებას?<br>• რა ფორმით შეიძლება მოხსენების წარდგენა?<br>• მონაცემების მიხედვით წერილობითი მოხსენების რა ფორმები არსებობს?<br>• ვენის დიაგრამის გამოყენებით შეადარეთ სასწრაფო, არასასწრაფო და შემაჯამებელი წერილობითი მოხსენების მახასიათებლები (სქემა 1)<br>• როგორ უნდა შევადგინოთ წერილობითი მოხსენების ტექსტი?<br>• გაქვთ თუ არა წერილობითი მოხსენების მომზადების გამოცდილება?<br>• დავალების პირობიდან გამომდინარე ჩვენ რომელი ფორმის წერილობით მოხსენებაზე იმუშავებთ?<br>მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებინებს რესურსს N1 და ვენის დიაგრამის გამოყენებით ამახვილებს ყურადღებას წერილობითი მოხსენების ფორმასა და მახასიათებლებზე, ხოლო თვალსაჩინოებისათვის სთავაზობს რესურსს N2. | | წარმოიდგინე, რომ იუსტინიანეს ეპოქაში მოღვაწე სამხედრო სტრატეგი ხარ. იმპერატორმა სასახლეში მიგიწვია და გაცნობა, რომ იმპერიის აღმოსავლური ჯარების სარდლად დაინიშნე. მან იმპერიის აღმოსავლური საზღვრების დეტალური შესწავლა დაგავალა, რაც გულისხმობს სასანიანთა სპარსეთის სამხედრო პოტენციალის აღწერას, ასევე სასაზღვრო რეგიონში მცხოვრები ხალხების მახასიათებლების შესწავლას.იმპერატორს უნდა წარუდგინო **წერილობითი მოხსენება,** რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი შენი იდეები: აღმოსავლეთში რომელი სასაზღვრო ტერიტორიაა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და რატომ; ასევე ინფორმაცია, თუ ვინ ცხოვრობს ამ არეალში, რატომაა მნიშვნელოვანი ამ ხალხების მხარდაჭერა და როგორ უნდა მიიმხროთ ისინი. რატომ უნდა გააკეთოს იმპერატორმა მთავარი აქცენტი აღმოსავლეთზე. მოხსენებას თან უნდა დაურთო რუკა შესაბამისი აღნიშვნებით. |

<table>
<tr>
<td>
ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;<br>
2. საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;<br>
3. პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;<br>
4. საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.
</td>
<td>
1.წერილობითი მოხსენება<br>
https://bit.ly/3fxQqol<br>
<br>
2.წერილობითი მოხსენების ნიმუში<br>
http://legionerebi.com/failebi/salute.pdf<br>
<br>
ვენის დიაგრამის გამოყენებით სასწრაფო, არასასწრაფო და შემაჯამებელი წერილობითი მოხსენების მახასიათებლების შედარება<br>
<br>

<br>
<br>
II ეტაპი. კომპლექსური დავალების შინაარსი<br>
<br>
ნაბიჯი1. ის გეოგრაფიული სივრცე, რომელიც ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დაპირისპირების საგანია. (სივრცე. მკ. წ. 1. მკ. წ. 3)<br>
<br>
მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები<br>
სახელმძღვანელო: პარაგრაფები- 43,44, 45, 46<br>
• ბიზანტია IV-VII საუკუნეებში #ტელესკოლა https://youtu.be/smijg81s9Cs<br>
• ისტორია - ბიზანტია და სასანიანთა ირანი - EL.GE https://youtu.be/CWFBJNE6Lw0<br>
<br>
1. რომელი გეოგრაფიული არეალის დაპყრობას ცდილობდა ბიზანტია და რა იყო ამ გადაწყვეტილების მოტივი?
</td>
<td>
მოხსენებაში ხაზგასმით წარმოადგინე:<br>
• ის გეოგრაფიული სივრცე, რომელიც ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დაპირისპირების საგანია. (სივრცე. მკ. წ. 1. მკ. წ. 3)<br>
• ამ სივრცეში მცხოვრები საზოგადოებების ეთნიკური, რელიგიური მახასიათებლები, რა საერთო აქვს მათ თქვენთან; გეგმა, როგორ უნდა მიიმხროთ ისინი. (საზოგადოება. მკ.წ. 1. მკ. წ2. მკ. წ 4)<br>
• რომელი ქალაქები და სტრატეგიული ობიექტები უნდა დაიკავოს ბიზანტიის იმპერიამ და რატომ. (სივრცე. მკ. წ. 3)
</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | 2. რომელ გეოგრაფიულ სივრცეს მოიცავდა სასანიანთა ირანი და მოიაზრებოდა თუ არა ამ სივრცის ნაწილად საქართველოს ტერიტორია?<br>3. გამოყავი ბიზანტია-სასანიდური ირანის დაპირისპირების გეოგრაფიული არეალი და იმსჯელე მისი გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ?<br>4. რა სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა იმ გეოგრაფიულ სივრცეს, რომლის გაკონტროლებასაც ბიზანტია ცდილობდა?<br>5. როგორ იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია ბიზანტია-სასანიდური ირანის ომების შედეგად III-VI საუკუნეების მანძილზე?<br>6. იმსჯელე რატომ უწყობდა გეოგრაფიული ფაქტორები ირანის ტერიტორიაზე სავაჭრო გზების არსებობას?<br>7. რატომ ცდილობდა ბიზანტიაცა და ირანიც კავკასიის გაკონტროლებას, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ სივრცეს?<br>8. შეარჩიე გეოგრაფიული სივრცე, სადაც განახორციელებ სასანიდური ირანის წინააღმდეგ შეტევას;<br><br>**ნაბიჯი 2. ამ სივრცეში მცხოვრები საზოგადოებების ეთნიკური, რელიგიური მახასიათებლები, რა საერთო აქვს მათ თქვენთან; გეგმა, როგორ უნდა მიიმხროთ ისინი. (საზოგადოება. მკ.წ. 1. მკ. წ2. მკ. წ 4)**<br><br>**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**<br>სახელმძღვანელო: პარაგრაფები - 43, 44, 45, 46<br>• ბიზანტიისა და სასანიანთა ირანის დაპირისპირება VI -VII საუკუნეებში<br>• https://youtu.be/fMUHtHZn9L0<br>• დოკუმენტური ფილმი: დარასთან ბრძოლა, 530 წ.<br>• https://youtu.be/9GR_VRMq88Y<br><br>1. რომელი სოციალური ფენებისაგან შედგებოდა როგორც ბიზანტიის, ასევე სასანიანთა ირანის საზოგადოება და რა ნიშნით ხდებოდა ფენათა დაყოფა?<br>2. როგორ აისახა ქრისტიანობის შიგნით არსებული ორი მიმდინარეობის (დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს) შორის არსებული დაპირისპირება ომის არეალში მცხოვრები საზოგადოების ყველა სფეროზე? რა იყო მათ შორის მთავარი განსხვავება?<br>3. იმსჯელე რა ძირითადი საზოგადოებრივი პრობლემები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიას იუსტინიანეს ეპოქაში. რა ძირითად ჯგუფებად იყოფოდა ბიზანტიური საზოგადოება?<br>4. ახსენი, რატომ ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს იუსტინიანე ქრისტიანული ერესებისადმი? | |

| | | |
|---|---|---|
| | 5. რა იყო იუსტინიანეს შიდა პოლიტიკის მთავარი მიზანი - რა ჯგუფებად იყოფოდა მისი იმპერიის საზოგადოება და როგორ ცდილობდა იგი მის გაერთიანებას.<br>6. შეაფასე იუსტინიანეს მოღვაწეობა, გამოკვეთე მისი მმართველობის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევები და შედეგები, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი და კულტურული კუთხით;<br>7. რა მნიშვნელობა ჰქონდა მონოთეისტურ რელიგიას ირანული საზოგადოებისთვის და რა ტიპის საქმიანობა იქცა სპარსულ საზოგადოებაში წამყვანად?<br>8. რა იყო ირანული საზოგადოების მთავარი გამაერთიანებელი, რას ეფუძნებოდა მათი იდენტობა და ინტერესები?<br>9. რა ადგილი ეკავათ ქრისტიანებს ირანულ საზოგადოებაში?<br>10. როგორ აისახება სავაჭრო გზების არსებობა ირანულ საზოგადოებაზე?<br>11. რატომ იქცა ირანი კულტურათა შეხვედრის ადგილად? და როგორ შეუწყო ხელი განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობამ ირანული საზოგადოების განვითარებას?<br>12. როგორ უწყობდა საქალაქო ცხოვრება ხელს ეკონომიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას?<br>13. შენ, როგორც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური ჯარების სარდალი სპარსული საზოგადოების რომელ სოციალურ ფენას მიიმხრობ და როგორ?<br><br>**ნაბიჯი 3. რომელი ქალაქები და სტრატეგიული ობიექტები უნდა დაიკავოს ბიზანტიის იმპერიამ და რატომ. (სივრცე. მკ. წ. 3)**<br><br>**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**<br>სახელმძღვანელო: პარაგრაფები - 43, 44, 45, 45<br>• დოკუმენტური ფილმი: დარასთან ბრძოლა, 530 წ.<br>• https://youtu.be/9GR_VRMq88Y<br>• სამხედრო ხელოვნება შუა საუკუნეებში<br>• https://files.fm/f/eakbftaty | |

| | | |
|---|---|---|
| | უპასუხე კითხვებს და შექმენი წერილობითი მოხსენება:<br>1. რა პრობლემა უნდა გადაჭრას ბიზანტიამ?<br>2. რა ტერიტორიის დაკავებას აპირებს ბიზანტია? რატომ არის ამ ტერიტორიის დაკავება მნიშვნელოვანი?<br>3. დაასახელე ის ქალაქები, რომელთა აღებასა და ტერიტორიების დაკავებასაც გეგმავ, გაანალიზე როგორც ის გეოგრაფიული გარემო, რომელიც გავლენას მოახდენს საბრძოლო მოქმედებებზე, ასევე საკუთარი და მტრის სამხედრო ძალები, საზოგადოების შემადგენლობა, ეკონომიკა, კულტურა.დაასაბუთე ამ ქალაქების დაკავების მნიშვნელობა;<br>4. იმსჯელე SWOT ანალიზის განხორციელების შედეგებზე;<br>5. თეზისების სახით ჩამოწერე ის რჩევები, რომელთა შესახებაც გაამახვილებ ყურადღებას წერილობითი მოხსენების შექმნის დროს;<br><br>**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები**<br><br>• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;<br>• აღწერე რა პროდუქტი შექმენი;<br>• რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?<br>• ახსენი, რატომ შექმენი ლაშქრობის გეგმა? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?<br>• რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად ლაშქრობის გეგმაა?<br>• შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?<br>• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?<br>• შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? | |

| გრძელვადიანი მიზანი<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/ქვესაკითხები**<br>**არაბთა დაპყრობები;**<br>**არაბთა დამოკიდებულება დაპყრობილი ხალხების მიმართ**<br><br>**ქვეცნებები:**<br>**ბრძოლა/ომი, ყოველდღიურობა** | **საკვანძო კითხვა/კითხვები**<br>როგორ წარმოვადგინო ქართლის ერისმთავრის სახელზე დაწერილ წერილში არაბთა დაპყრობების შედეგები და მათი დამოკიდებულება დაპყრობილი ხალხების მიმართ? | **შუალედური სასწავლო მიზანი**<br><br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
|---|---|---|---|
| **ისტორიული მოვლენა**<br><br>1. ყველა ისტორიულ მოვლენას აქვს საკუთარი მიზეზი / მიზეზები და შედეგი / შედეგები;<br>2. ისტორიკოსები ხშირად კამათობენ ისტორიული მოვლენების მიზეზების, შედეგებისა და მნიშვნელობის შესახებ;<br>3. ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას ლოკალური, ზოგს კი გლობალური მნიშვნელობა აქვს;<br>4. ისტორიული ფაქტები და მოვლენები ტიპოლოგიურად შეიძლება დაჯგუფდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ნიშნით.<br><br>**საზოგადოება**<br>1. ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):**<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>**როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?**<br><br>განსახილველი საკითხისა და კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს, რა ფორმით წარმოადგენს დავალებას. შესაძლებელია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით<br>ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქტის განხილვა.<br><br>**რესურსები და აქტივობები**<br><br>დავალების პირობისა და შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობის შემდეგ მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს გამოწვევის ფაზის მინი ფორმატში გამოყენება შეკითხვებით:<br>1. გაქვთ თუ არა წერილის დაწერის გამოცდილება?<br>2. როგორ დავწეროთ წერილი?<br>3. რა რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ წერილის დაწერის დროს?<br>ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს კლასშივე უხსნის წერილობითი პროექტის მახასიათებლებს, ხოლო გასააზრებლად სთავაზობს რესურსებს.<br><br>1.რეკომენდაციები წერილის შექმნისათვის<br>https://files.fm/f/r8289d48g | | წარმოიდგინე, რომ VII საუკუნეში მცხოვრები ქართველი მეომარი ხარ. იბრძოდი ბიზანტიის მხარეზე იარმუკის ბრძოლაში და შემდეგ შენი თვალით იხილე, თუ როგორ დაიპყრეს არაბებმა სირია და პალესტინა. პალესტინის ქართული სავანიდან – ჯვრის მონასტრიდან თანამემამულეების ინფორმირების მიზნით უნდა **დაწერო წერილი ქართლის ერისმთავრის** სახელზე და მიაწოდო მას ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც სირიასა და პალესტინაში იხილე; აღუწერო ახალი ხალხი, რომელთაც მსოფლიო წესრიგი შეცვალეს, მათი წარმომავლობა, რელიგია, მახასიათებლები. აჯობებს, ერისმთავარს წერილში ისიც ურჩიო, რა პოლიტიკა აწარმოოს არაბებთან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ქართლში გამოჩნდებიან. შენი ვარიანტი დაასაბუთე.<br><br>წერილში ხაზგასმით წარმოაჩინე:<br><br>• რა მიზეზებმა განაპირობა არაბთა მიერ სირია-პალესტინის დაპყრობა და რა მნიშვნელობა შეიძინა ამ მოვლენამ რეგიონისა და გარე სამყაროსთვის. |

ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;
2. საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;
3. პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;
4. საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.

2.ისტორიული წერილის ნიმუში





**მოცემული რესურსების უკეთესად გააზრების მიზნით შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:**

| წერილის შექმნის ეტაპები | მახასიათებლები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |

II ეტაპი. კომპლექსი დავალების შინაარსზე მუშაობა

**ნაბიჯი 1. რა მიზეზებმა განაპირობა არაბთა მიერ სირია-პალესტინის დაპყრობა და რა მნიშვნელობა შეიძინა ამ მოვლენამ რეგიონისა და გარე სამყაროსთვის. (ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, 3)**

**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფები -50, 51, 52
- არაბობა და არაბთა სახალიფო #ტელესკოლა
- https://youtu.be/LEGLmYSrDfU

1. რა გამოწვევების წინაშე იდგნენ არაბები მუჰამედის სიკვდილის შემდეგ - რა იყო მათი გამომწვევი მიზეზები?

(ისტორიული მოვლენა/პროცესი 1, 3)

- როგორ შეიცვალა არაბთა გამოჩენის შემდეგ აღნიშნულ სივრცეში მცხოვრები ხალხების მდგომარეობა რელიგიური და პოლიტიკური კუთხით. (ისტორიული მოვლენა/პროცესი 4, საზოგადოება 1)
- ვინ არიან არაბები, რა აერთიანებთ მათ და როგორი დამოკიდებულება აქვთ დაპყრობილი ხალხების მიმართ. (საზოგადოება 1, 4)

2. როგორ აისახებოდა გეოგრაფიული გარემო არაბთა პოლიტიკასა და ეკონომიკაზე
3. რა ისტორიულმა მოვლენებმა და ფაქტორებმა შეუწყო ხელი არაბთა სახალიფოს შექმნას და მათი აგრესიული პოლიტიკის ჩამოყალიბებას
4. როგორ და რატომ უწყობდა ხელს სახალიფოს პოლიტიკა ისლამის გავრცელებას
5. რა ფაქტორებმა გაუადვილა არაბებს ახლო აღმოსავლეთის სწრაფი დაპყრობა?
6. როგორ ისარგებლეს არაბებმა ბიზანტია-ირანის დაპირისპირებით?
7. იმსჯელე, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა გლობალური დაპყრობების წარმოება ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გარეშე
8. როგორ შეიცვალა პოლიტიკური ვითარება არაბებსა და სასანიანებს შორის მიმდინარე ომების შემდეგ?
9. გაიხსენე წინა მასალა და იმსჯელე, რა სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტეს და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს?
10. როგორ შეიცვალა ვითარება აღმოსავლეთი იარმურქის ბრძოლის შემდეგ?
11. რა ფაქტორებმა გაუადვილა არაბებს დაეპყროთ სირია, პალესტინა და ეგვიპტე?
12. რა ფაქტორებმა შეუწყო არაბთა ხალიფატის ფარგლებში ერთიანი პოლიტიკურ-კულტურული სივრცის შექმნას.

**ნაბიჯი 2. როგორ შეიცვალა არაბთა გამოჩენის შემდეგ აღნიშნულ სივრცეში მცხოვრები ხალხების მდგომარეობა რელიგიური და პოლიტიკური კუთხით. (ისტორიული მოვლენა/პროცესი 4, საზოგადოება 1)ვინ არიან არაბები, რა აერთიანებთ მათ და როგორი დამოკიდებულება აქვთ დაპყრობილი ხალხების მიმართ. (საზოგადოება 1, 4)**

**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფები -50, 53
- არაბობა და არაბთა სახალიფო #ტელესკოლა
- https://youtu.be/LEGLmYSrDfU

1. იმსჯელე, რატომ ჩამოყალიბდა კულტურულ „სხვად“ ანტიკური პერიოდის ცივილიზაცია ბიზანტიისთვის
2. როგორ ახდენდა გეოგრაფიული გარემო გავლენას არაბთა ცხოვრების წესსა და საზოგადოებაზე?
3. რა სოციალურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა იქონია გავლენა მუჰამედზე?

| | | |
|---|---|---|
| | 4. იმსჯელე ისლამის ძირითად პრინციპებზე – რა ფასეულობებზე იყო დაფუძნებული მუსლიმური საზოგადოება;<br>5. იმსჯელე არაბთა საზოგადოებაზე ისლამის მიღების შემდეგ, რა იყო მათი საერთო ნიშნები. რა ძირითად ჯგუფებად იყოფოდა და რა კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება მათი დაყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად<br>6. შეადარე არაბული საზოგადოება ისლამის მიღებამდე და მისი მიღების შემდეგ - როგორ შეიცვალა ის, რა განსხვავებული ჯგუფები გამოიკვეთა არაბულ საზოგადოებაში.<br>7. იმსჯელე, რატომ სურდათ არაბებს თავის საზოგადოებაში მეცნიერებების განვითარება<br>8. შეადარე ბიზანტიის და არაბთა დამოკიდებულება სხვა საზოგადოებებისა და კულტურის მიმართ.<br>9. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი არაბული ხალიფატის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის ცენტრად ქცევას?<br>10. გაიხსენე წინა პარაგრაფებში მიღებული ცოდნა და იმსჯელე, როგორ უწყობს ხელს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება საზოგადოების და ეკონომიკის პროგრესს.<br>11. რა დამოკიდებულება ჰქონდათ არაბებს კულტურული „სხვის“ მიმართ?<br>12. რამდენად უწყობს ხელს სამოქალაქო ცხოვრების დაწინაურებული განვითარებული საზოგადოების შექმნას. რატომ?<br>13. როგორ შეძლეს არაბებმა გეოგრაფიული და კულტურული ცოდნის შეთვისებით საკუთარი საზოგადოების განვითარება<br>14. არაბთა სახალიფოს მასშტაბიდან გამომდინარე, რამდენად აუცილებელი იყო ერთდროულად რამდენიმე ცენტრის არსებობა და რა სტრატეგიული, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდათ მათ?<br>15. რომელი კულტურებისა და ხალხების მემკვიდრეობა იყო იმ ტერიტორიებზე, რომელიც არაბული სახალიფოს სივრცეში მოექცა და როგორ აისახა ის არაბულ კულტურაზე?<br><br>**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები**<br><br>• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;<br>• აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;<br>• რა საკითხს შეეხება შენ მიერ მომზადებული დავალება?<br>• ახსენი, რატომ შექმენი წერილობითი პროექტი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? | |

<table>
<tr><td></td><td colspan="2"><ul><li>რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად წერილობითი პროექტია?</li><li>შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?</li><li>რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?</li><li>რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?</li><li>მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?</li><li>შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?</li></ul></td><td></td></tr>
<tr><td>გრძელვადიანი მიზანი<br><br>სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td>საკითხი/ საკითხები<br>ბიზანტია IX საუკუნეში<br><br>ქვეცნებები:<br>ნარატიული წყაროები</td><td>საკვანძო კითხვა/შეკითხვები<br>როგორ წარმოვადგინო მოკლე ქრონიკების საშუალებით ბიზანტიელი ავტორების მიერ შექმნილი წერილობით წყაროების კრიტიკა IX საუკუნეში ბიზანტიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ?</td><td>შუალედური სასწავლო მიზანი<br><br>კომპლექსური დავალების პირობა</td></tr>
<tr><td>წყარო<br><br><ol><li>ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ;</li><li>წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან;</li><li>ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის.</li><li>წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია,</li></ol></td><td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):<br><br>I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა<br>როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?<br>განსახილველი საკითხისა და კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს, რა ფორმით წარმოადგენს დავალებას. შესაძლებელია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით<br>ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქტის განხილვა<br><br>რესურსები და აქტივობები<br>დავალების პირობისა და შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობის შემდეგ მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს გამოწვევის ფაზის მინი ფორმატში გამოყენება შეკითხვებით:<ol><li>რა გსმენიათ მოკლე ქრონიკების შესახებ? შეგიქმნია თუ არა მსგავსი შემოქმედებითი პროდუქტი?</li><li>როგორ უნდა დაიწეროს ქრონიკების ოპოზიციური ტექსტი?</li><li>რა უნდა გავითვალისწინოთ მოკლე ქრონიკების შექმნისას?</li><li>რა ძირითადი მახასიათებლებისგან შედგება ქრონიკები?</li></ol></td><td>წარმოიდგინე, რომ IX საუკუნის ბიზანტიელი პოლიტიკოსი ხარ. დაახლოებული იყავი იმპერატორ მიქაელ III-სთან და ბასილი I-ის მიერ მოწყობილი შეთქმულებისა და იმპერატორის მკვლელობის შემდეგ, გაქცევა მოგიწიათ. თავი შეაფარე ფრანკებს. უნდა შექმნა მოკლე ქრონიკა. სადაც წარმოადგენ თეოფანე გამგრძელებელისა და იოანე სკილიცეს (გვ. 208) მიერ შექმნილი წერილობითი წყაროების ერთგვარ ოპოზიციურ ტექსტს. გააკრიტიკე თეოფანეს მიერ მოტანილი ცნობა ბასილის წარმომავლობის შესახებ და დაასაბუთე შენი აზრი – თუ რატომ იტყუება ის. დაუპირისპირდი მათ და წარმოადგინე იოანე სკილიცეს მიერ</td></tr>
</table>

ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია.

5. რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ისტორიკოსისათვის ქრონიკების ოპოზიციური ტექსტები, როგორც წყაროს გამოყენება?

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს კლასშივე უხსნის ქრონიკების მახასიათებლებს, ხოლო გასააზრებლად სთავაზობს რესურსებს

1. – როგორ სწავლობენ ისტორიკოსები ისტორიას
https://files.fm/f/4as8bxnad

2. – რას ვაკეთებთ ისტორიული წყაროების დამუშავებისას
https://files.fm/f/2e95nmkt9

მოცემული რესურსის დამუშავების შემდეგ იმსჯელეთ და მსჯელობის შედეგები გადაიტანეთ საანალიზო ცხრილში

| ისტორიული წყაროები | მახასიათებლები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

აღწერილი შეთქმულების წინაპირობებისა და ბასილის რეფორმების შესახებ არსებული ინფორმაციის საპირისპირო ინტერპრეტაციები.

**ქრონიკის ოპოზიციურ ტექსტში ხაზგასმით წარმოაჩინე**

- წყაროს რომელ ტიპს განეკუთვნება შენი ქრონიკა და რა არის შენი მოტივაცია მისი შექმნისას (მკ. წ. წყარო 1; 2)
- რა განსაზღვრავს შენ მიერ შექმნილი წყაროს სანდოობას, რატომ უნდა დაგიჯერონ შენ და არა სხვა წყაროებს. (მკ. წ. წყარო 3)
- სამომავლო ინტერპრეტაციის დროს რა ფაქტორებს უნდა მიაქციონ ყურადღება შენი წყაროსა და ბასილის მომხრეთა წყაროებს შორის წარმოქმნილ დისკუსიაში. (მკ. წ. წყარო 4)

მოცემული რესურსი გაიაზრეთ ქვემოთ მოცემული კოგნიტური სქემის გამოყენებით:




II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

**ნაბიჯი 1. წყაროს რომელ ტიპს განეკუთვნება შენი ქრონიკა და რა არის შენი მოტივაცია მისი შექმნისას (მკ. წ. წყარო 1; 2)**

**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფი : 62-63, 64-65
- შუა საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფია
- https://youtu.be/30tqfgJuGls

1. რა ტიპის წყაროებს იყენებენ ისტორიკოსები ისტორიული მოვლენის შესწავლისას?
2. როგორ ეხმარება ისტორიკოსებს ოპოზიციური ქრონიკები ისტორიული მოვლენის შესწავლის პროცესში?
3. რა მახასიათებლებით გამოირჩევა წყაროები, რომლებიც IX საუკუნის ბიზანტიურ რეალობას, პოლიტიკურ და რელიგიურ პროცესებს ასახავს?
4. რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ ინფორმაცია თეოფანეს „მეფეთა ცხოვრებიდან" ბასილის წარმომავლობის შესახებ და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს მისი დაკავშირება არშაკიდების დინასტიასთან? არგუმენტებით განამტკიცეთ თქვენი პოზიცია.
5. რამდენად სანდოდ მიგაჩნიათ იოანე სკილიცეს მიერ შექმნილი წერილობითი წყარო? არგუმენტებით განამტკიცეთ თქვენი პოზიცია
6. წარმოადგინეთ საპირისპირო ინტერპრეტაციები იოანე სკილიცეს მიერ მოტანილი შეთქმულების წინაპირობების და ბასილის რეფორმების შესახებ.
7. რომელმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა მოვლენების გამო მიაჩნიათ ისტორიკოსებს, მაკედონიური დინასტიის პერიოდი, ბიზანტიის იმპერიის ყველაზე ბრწყინვალე ეპოქად?
8. იმსჯელე რა ტიპის წყაროები გვაქვს ბიზანტიის საგარეო პოლიტიკის შესახებ და რამდენად დამაჯერებელია ისინი
9. რა ტიპის წყაროს წარმოადგენს კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ნაშრომი და რა კუთხითაა ის საინტერესო მკვლევართათვის?
10. როგორ გამოიყენებთ თქვენს მიერ შესწავლილ წყაროებს ოპოზიციური ქრონიკების შესაქმნელად?

**ნაბიჯი 2. რა განსაზღვრავს შენ მიერ შექმნილი წყაროს სანდოობას, რატომ უნდა დაგიჯერონ შენ და არა სხვა წყაროებს. (მკ. წ. წყარო 3)**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფი : 31-32
- შუა საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფია
- https://youtu.be/30tqfgJuGls

1. ვინ არიან წარმოდგენილი წყაროების ავტორები?
2. როგორ და რა ვითარებაში იწერებოდა და იქმნებოდა ეს წყაროები?
3. შეადარეთ თქვენს მიერ შექმნილი ოპოზიციური ქრონიკები ბიზანტიელი ავტორების ნაშრომებს და იმსჯელეთ განსხვავებებზე?

| | | |
|---|---|---|
| | 4. რა არგუმენტებით განამტკიცებთ თქვენს მიერ შექმნილი ოპოზიციური ქრონიკის შინაარსის სანდოობას?<br>5. რატომ უნდა დაუჯეროს მომავალმა თაობამ თქვენს მიერ შექმნილი ოპოზიციურ ქრონიკას და არა ბიზანტიელ ავტორებს?<br><br>• **ნაბიჯი 3. სამომავლო ინტერპრეტაციის დროს რა ფაქტორებს უნდა მიაქციონ ყურადღება შენი წყაროსა და ბასილის მომხრეთა წყაროებს შორის წარმოქმნილ დისკუსიაში. (მკ. წ. წყარო 4)**<br><br>• სახელმძღვანელო: პარაგრაფი : 31-32<br>• შუა საუკუნეების ევროპული ისტორიოგრაფია<br>• https://youtu.be/30tqfgJuGls<br><br>1. რა ფაქტორებს უნდა მიაქციოს ყურადღება ქრონიკების ავტორმა ოპოზიციურ ნაშრომზე მუშაობის პროცესში?<br>2. რა ფაქტორები განაპირობებდა შენს მიერ განხილული ბიზანტიური ავტორების ნაშრომების ტენდენციურობას? მოსაზრება გაამყარე არგუმენტებით;<br>3. შეადარე შენს მიერ შექმნილი ოპოზიციური ქრონიკები ბასილის მომხრეთა დაწერილ წყაროებს და იმსჯელე მათ შორის არსებულ განსხვავებებზე; მოსაზრებები გაამყარე არგუმენტებით;<br>4. რა მიზანს ისახავდი, როდესაც ქმნიდი ოპოზიციურ ქრონიკებს?<br>5. რა პასუხისმგებლობა აკისრია ავტორს, როდესაც ქმნის ოპოზიციურ ქრონიკებს? გაავლე პარალელები შესწავლილ წყაროებზე დაყრდნობით;<br><br>**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები**<br><br>• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;<br>• აღწერე რა პროდუქტი შექმენი;<br>• რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?<br>• ახსენი, რატომ შექმენი ოპოზიციური ქრონიკა? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?<br>• რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად ოპოზიციური ქრონიკაა?<br>• შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?<br>• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?<br>• შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? | | |
| **გრძელვადიანი მიზანი**<br><br>**სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/ქვესაკითხები:**<br>**ფრანკთა იმპერია**<br>**ქვეცნებები:**<br>**მმართველობის ფორმები; ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება** | **საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები**<br>როგორ წარმოვადგინო ქრონიკების საშუალებით შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმები და საზოგადოება? | **შუალედური მიზანი**<br>**კომპლექსური დავალების პირობა** |
| **ძალაუფლება**<br>1. ძალაუფლებისთვის ბრძოლა ისტორიის განუყოფელი ნაწილია;<br>2. ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს როგორც პიროვნებებს, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ბრძოლისას ისინი იყენებენ ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურებს;<br>3. ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელი საშუალებებია რესურსების (ფინანსები, ადამიანური რესურსები) ფლობა, სიმბოლოები იდეოლოგია;<br>4. ზოგიერთ საზოგადოებაში ძალაუფლებას ერთპიროვნულად ფლობენ, ზოგან კი იგი დანაწილებულია ადამიანებს/საზოგადოებრივ | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპზები (რესურსები, აქტივობები):**<br><br>**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა**<br>**როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით?**<br><br>განსახილველი საკითხისა და კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br>I ეტაპზე ყველა მოსწავლემ უნდა მიიღოს დავალება და შეათანხმოს, რა ფორმით წარმოადგენს დავალებას. შესაძლებელია კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების მიხედვით<br>ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს შემოქმედებითი პროდუქტის განხილვა.<br><br>**რესურსები და აქტივობები**<br>დავალების პირობისა და შემოქმედებითი პროდუქტის გაცნობის შემდეგ მასწავლებლის მიერ უნდა მოხდეს გამოწვევის ფაზის მინი ფორმატში გამოყენება შეკითხვებით:<br>1. რა გსმენიათ ქრონიკების შესახებ? გაქვთ თუ არა შესაბამისი გამოცდილება?<br>2. რა საკითხები უნდა გავითვალისწინოთ ქრონიკების შექმნის დროს?<br>3. როგორ უნდა შევქმნათ ქრონიკა?<br>4. რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება მსგავსი პროდუქტის შექმნისთვის?<br>5. როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი მასში ფაქტორები, რომელსაც დაემყარება ძალაუფლება? სოციალური ფენები? სამხედრო და ეკონომიკური სისტემა?<br><br>ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს კლასშივე უხსნის ქრონიკების არსს (რესურსი 1), ხოლო გასააზრებლად სთავაზობს ქრონიკის ნიმუშს (რესურსი 2, 3), კლასშივე წააკითხებს რესურსიდან ნაწყვეტებს, რომლის შედეგად მოსწავლეები | | წარმოიდგინე, რომ IX საუკუნეში ტურში მოღვაწე სასულიერო პირი ხარ. შენ თვალწინ მიმდინარეობს პროცესი, სადაც აშკარაა, რომ კარლოს დიდის მიერ შექმნილი სახელმწიფოს მართვის სისტემა მოიშალა. სახელმწიფოს თავს ესხმიან ნორმანები და აუცილებელია სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურების რეფორმირება. შექმენი **ქრონიკა**, რომელშიც აღწერ, თუ როგორი იყო ფეოდალური სისტემა კარლოს დიდის დროს, როგორ შეიცვალა სამყარო ნორმანების გამოჩენის შემდეგ და როგორ უნდა გარდაიქმნას ფეოდალური სისტემა იმისთვის, რომ ფრანკთა სახელმწიფომ ნორმანებთან გამკლავება შეძლოს.ქრონიკაში აღწერილი უნდა იყოს, რა ფაქტორებს უნდა დაემყაროს საიმპერიო ძალაუფლება; რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებზე უნდა გაკეთდეს აქცენტები და როგორ უნდა გარდაიქმნას სამხედრო და ეკონომიკური სისტემა. |

ჯგუფებს შორის;

5. დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლების წყაროა ხალხი.

**საზოგადოება**

1. ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე;
2. საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად;
3. პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ;
4. საზოგადოების წევრებს აქვთ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მრავალფეროვნების მიმართ.

გამოყოფენ ქრონიკის მახასიათებლებს.

1. რა არის ქრონიკა
http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=46&t=4410

2.



3.მესხური დავითნის ქრონიკა
https://bit.ly/3fuvgaQ

მოცემული რესურსების დამუშავების შემდეგ განსაზღვრეთ ქრონიკის მახასიათებლები და მის შესაქმნელად საჭირო ნაბიჯები. დამუშავებული ინფორმაცია წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით.

| ქრონიკის მახასიათებლები | ნაბიჯები |
|---|---|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**ქრონიკაში** ხაზგასმით წარმოაჩინე:

- მმართველობის რომელი ტიპია აღნიშნული ეპოქისთვის დამახასიათებელი და რას უნდა დაუკავშიროს იმპერატორმა ძალაუფლება, რომ ქვეშევრდომები ისევ უპირობო ერთგულებაში ჰყავდეს. (ძალაუფლება 3, 4, 2)
- რამდენ ფენადაა დაყოფილი საზოგადოება და რომელმა ფენამ რა უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ ნორმანებს ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ. (საზოგადოება 2, 3)
- რა სტრუქტურები დაგჭირდება საიმისოდ, რომ შენმა სამეფომ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესი განიცადოს (ფინანსურ და სამხედრო სფეროში). (ისტ. მ. 2, 4)

**II ეტაპი. კომპლექსი დავალების შინაარსზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1**. მმართველობის რომელი ტიპია აღნიშნული ეპოქისთვის დამახასიათებელი და რას უნდა დაუკავშიროს იმპერატორმა ძალაუფლება, რომ ქვეშევრდომები ისევ უპირობო ერთგულებაში ჰყავდეს. (ძალაუფლება 3, 4, 2)

**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**

- სახელმძღვანელო: პარაგრაფები -53, 55, 56
- მეროვინგების და კაროლინგების ფრანკთა სამეფო
- https://youtu.be/OHivjjXIHV8

1. როგორ და რატომ შეიცვალა ევროპა რომის დაცემის შემდეგ?
2. იმსჯელე ძალაუფლების სტრუქტურაზე ფრანკთა სამეფოში? ვის ხელში იყო ძალაუფლება და რა წარმოადგენდა ძალაუფლების წყაროს?
3. რატომ წარმოადგენდა რომის პაპი ძალაუფლების და სამეფო ლეგიტიმაციის წყაროს?
4. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი კაროლინგთა დინასტიის შექმნას?
5. რატომ უსვამდა კარლოსი ხაზს, ომების წარმოებისას ქრისტიანულ მოტივებს და რატომ იყო მნიშვნელოვანი ავარებისა და საქსების გაქრისტიანება?
6. რა იდეოლოგიურ და საზოგადოებრივ პოლიტიკურ სტრუქტურებს ემყარებოდა კარლოს დიდის ბრძოლა იმპერატორის ტიტულისთვის და სიმბოლოები განასხვავებდა მას მეფის ტიტულისაგან.
7. რა ვითარებაში მიღო კარლოს დიდმა იმპერატორის ტიტული და რა შეიცვალა ძალაუფლების ლეგიტიმაციის კუთხით?
8. რატომ წარმოადგენდა რელიგია ძალაუფლების წყაროს და რა მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ ლეგიტიმაციას ამ ეპოქის მმართველთათვის?
9. გაიხსენე განვლილი მასალა და იმსჯელე რა ტიპის ძალაუფლების მოდელი არსებობდა ფრანკთა სამეფოში. შეადარე ეს მოდელი სხვა შენთვის უკვე ცნობილ მმართველობის ფორმებს ანტიკური სამყაროდან?
10. რა მიზანს ემსახურებოდა კარლოსის აქტიური ჩარევა რელიგიურ საკითხებში?
11. შეადარე, თუ როგორ მიჯნავს თანამედროვე დასავლური სამყარო ერთმანეთისგან რელიგიას და პოლიტიკურ ძალაუფლებას. იმსჯელე ამის გამომწვევ მიზეზებზე.
12. რატომ შეიძლებოდა ნდომებოდათ რომის პაპსა და კარლოს დიდს რომის იმპერიის აღდგენა?

| | | |
|---|---|---|
| | 13. რატომ იყო შეუძლებელი აღედგინათ რომის იმპერია?<br>14. რა მიზნით იყენებდა კარლოსი რელიგიურ ფაქტორს საზოგადოებრივი და სახელმწიფო რეფორმების დროს?<br>15. როგორ გადაანაწილა ძალაუფლება კარლოსმა ადმინისტრაციული რეფორმების საშუალებით?<br>16. ძალაუფლების რომელი ტიპი იყო გაბატონებული ფეოდალურ ეპოქაში ერთპიროვნული თუ დანაწილებული?<br>17. აირჩიე მმართველობის ის ტიპი, რომელიც შესაბამისობაში მოვა აღნიშნულ ეპოქასთან და დაუკავშირებ შენს ძალაუფლებას<br><br>**ნაბიჯი 2. რამდენ ფენადაა დაყოფილი საზოგადოება და რომელმა ფენამ რა უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ ნორმანებს ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიონ. (საზოგადოება 2, 3) რა სტრუქტურები დაგჭირდება საიმისოდ, რომ შენმა სამეფომ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესი განიცადოს (ფინანსურ და სამხედრო სფეროში). (ისტ. მ. 2, 4**)<br>**მკვიდრი წარმოდგენის დასამუშავებლად აუცილებელი რესურსები**<br>• სახელმძღვანელო: პარაგრაფები : 57, 58, 59<br>• შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოება #ტელესკოლა<br>• https://files.fm/f/pk3rxnsdb<br><br>1. რა ძირითადი საზოგადოებრივი ფენები გამოიყოფა შუა საუკუნეების ევროპაში - რა იყო მათი გამაერთიანებელი, მათი საქმიანობა, ინტერესები და ფასეულობები?<br>2. როგორ იყო ძალაუფლება განაწილებული შუა საუკუნეების ევროპაში? რა ტიპის ძალაუფლებას ფლობდა ეკლესია შუა საუკუნეების საზოგადოებაში? რატომ იყო ეკლესია ძალაუფლების ერთ-ერთი წყარო?<br>3. რა მნიშვნელობა ჰქონდა მიწის ფლობას შუა საუკუნეების საზოგადოებაში - როგორ უკავშირდებოდა მიწის ფლობა ძალაუფლებას?<br>4. რას ეფუძნებოდა და როგორ მუშაობდა ფეოდალური სისტემა?<br>5. რა განსაზღვრავდა პიროვნებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების ძალაუფლებას და როგორ იბრძოდნენ ისინი მის მოსაპოვებლად?<br>6. რა იყო, ფეოდალურ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების უმთავრესი რესურსი?<br>7. რომელ მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად იყოფოდა ფეოდალური საზოგადოება და რა საერთო ნიშნები, საზრუნავი, ქცევის წესები, ინტერესები ჰქონდათ ფეოდალურ საზოგადოებაში შემავალ სხვადასხვა სოციალურ ფენებს? | |

| | | |
|---|---|---|
| | 8. რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდათ საზოგადოების წევრებს სხვა სოციალური ფენების მიმართ?<br>9. რა განსაზღვრავდა ქალთა და მამაკაცთა არათანაბარ საზოგადოებრივ ფუნქციას შუა საუკუნეებში? ეს იყო ხელოვნურად შექმნილი სისტემა, თუ ბუნებრივი მოცემულობა.<br>10. რამდენად განსხვავებული იყო დიდგვაროვანი და უბრალო წარმოშობის ქალთა ცხოვრება შუა საუკუნეების საზოგადოებაში.<br>11. რატომ ქნიდნენ რაინდები ძალაუფლების წყაროს ფეოდალებისთვის? როგორ იყვნენ ისინი ფეოდალებზე დამოკიდებულები<br>12. შეადარე, თუ როგორ მიჯნავს თანამედროვე დასავლური სამყარო ერთმანეთისგან რელიგიას და პოლიტიკურ ძალაუფლებას. იმსჯელე ამის გამომწვევ მიზეზებზე.<br>13. რა ფაქტორები განსაზღვრავდა ფეოდალური ხანის საზოგადოების აზროვნებას და ცხოვრების წესს?<br><br>**მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები**<br><br>• აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;<br>• აღწერე რა პროდუქტი შექმენი;<br>• რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?<br>• ახსენი, რატომ შექმენი წერილობითი პროექტი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?<br>• რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი პროდუქტი ნამდვილად წერილობითი პროექტია?<br>• შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?<br>• რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?<br>• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?<br>• მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?<br>• შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? | |

# ავტორის კომენტარები

## ავტორის რეკომენდაციები მასწავლებელს:

**პარაგრაფი §33-34-35 – რატომ აღმოჩნდა რომის იმპერია კრიზისში?**

პარაგრაფის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება. შევახსენოთ მოსწავლეებს, რა ვითარება იყო რომის იმპერიაში I-II საუკუნეებში და შემდეგ გადავიდეთ III საუკუნეში მომხდარ ცვლილებებზე. ხაზი გაესვას კომოდუსის რეფორმების მნიშვნელობას სენატის უფლებების შესუსტების თვალსაზრისით.
მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს რომის იმპერიის წინაშე მდგარი პრობლემები და იმპერატორების მიერ გატარებული რეფორმები. გამოიკვეთოს, რომელი რეფორმა იყო წარმატებული და რამ განაპირობა ეს წარმატება, რომელმა რეფორმამ ვერ გადაჭრა პრობლემა და რატომ. საგარეო პოლიტიკურ ნაწილზე მთავარია ყურადღების გამახვილება ორ გეოგრაფიულ მონაკვეთზე – დუნაისპირეთსა და სირიაზე.
შესთავაზეთ მსჯელობა, თუ რომელ გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა სადავო ტერიტორიები რომსა და სასანიანთა სპარსეთს შორის და როგორ წარიმართა დაპირისპირება. რომის იმპერიაში იმპერატორის ძალაუფლების დასუსტება და ჯარის როლი იმპერატორების დანიშვნა გადაყენების პროცესში. გაამახვილეთ ყურადღება თუ რა გავლენა მოახდინა იმ ეპოქის მსოფლიოზე კლიმატურმა ცვლილებებმა და კონკრეტულად რა სახით აისახა ის რომის იმპერიაში.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- II საუკუნე რომის ისტორიაში სტაბილურ და ბედნიერ ეპოქას წარმოადგენდა, III საუკუნეში სიტუაცია შეიცვალა და ეს იყო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებით აღსავსე ეპოქა. (დრო)
- იმპერატორ კომოდუსის მმართველობამ და თვითნებურმა რეფორმებმა რომაული ინსტიტუტების მოშლა და პოლიტიკური არასტაბილურობა მოიტანა. (ძალაუფლება)
- III საუკუნის დასაწყისში სენატის პოლიტიკური ხელისუფლება შესუსტდა და ძალაუფლება ხელში ჯარმა აიღო, იმპერატორთა წინააღმდეგ აჯანყებები და მათი მკვლელობები სისტემატური გახდა. (დრო; ძალაუფლება)
- III საუკუნეში რომის იმპერიაში ძალაუფლება, ტრადიციული რომაული არისტოკრატიისაგან პროვინციებიდან ჩამოსული თანამდებობის პირების ხელში გადავიდა. (ძალაუფლება)
- საგარეო პოლიტიკური კუთხით ყველაზე აქტიურ გეოგრაფიულ სივრცეს დუნაისპირეთი და სირია წარმოადგენდა. დუნაის რეგიონს გერმანული ტომები უტევდნენ, ხოლო აღმოსავლეთით სასანიანთა ირანი გააქტიურდა. (ისტორიული მოვლენა; სივრცე)

**პარაგრაფი §36 – როგორ შეაჩერა დიოკლეტიანემ რომის კრიზისი?**

აღნიშნული პარაგრაფის შესწავლისას მნიშვნელოვანია წინარე პარაგრაფში შესწავლილი მასალისა და წინარე ცოდნის გააქტიურება. გამოკვეთილი უნდა იყოს რომის იმპერიაში არსებული ზოგადი სურათი ხელისუფლებაში დიოკლეტიანეს მოსვლამდე. საგაკვეთილო განხილვებში უნდა იყოს წარმოდგენილი დიოკლეტიანეს მმართველობის ზოგადი მოზაიკური სურათი, რა ტიპის გამოწვევების წინაშე იდგა რომის იმპერია საშინაო პოლიტიკის კუთხით და რომელი გეოგრაფიული არეალი იყო ყველაზე მეტად აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისას.
აღნიშნულ პარაგრაფშიც მთავარია განისაზღვროს რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა და სასანიანთა ირანთან დაპირისპირების მიზეზები, გეოგრაფიული არეალი და ზოგადი ტენდენცია. აქ შეიძლება შემოტანა ქართული სამყაროს კონტექსტისაც. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას დიოკლეტიანეს მიერ ავგუსტუსის პერიოდიდან მოყოლებული პრინციპატის დომინატით ჩანაცვლებას და ასევე ტეტრარქიის ჩამოყალიბებას. განისაზღვროს ამ რეფორმათა მიზეზები და მისი ხასიათი.
აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება ქრისტიანების ფაქტორზეც. რატომ წარმოადგენდნენ ქრისტიანები საფრთხეს რომის საიმპერიო ხელისუფლებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაჭრელად. ბოლოს ვთხოვოთ მოსწავლეებს რომ შეაფასონ დიოკლეტიანე, როგორც რეფორმატორი იმპერატორი.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- III საუკუნეში რომის იმპერიის წინაშე არსებული მრავალმხრივი პრობლემების გადაჭრა, იმპერატორმა დიოკლეტიანემ რეფორმების საშუალებით სცადა. (დრო)
- 293 წელს იმპერატორმა დიოკლეტიანემ რომის იმპერია 4 ადმინისტრაციულ ნაწილად გაყო, რათა მისი მართვა უფრო ეფექტურად ყოფილიყო შესაძლებელი. ამ მოვლენას ტეტრარქია ეწოდა. (ისტორიული მოვლენა)
- თუ წინა იმპერატორების მთავარი და არასტაბილური დასაყრდენი ჯარი იყო, დიოკლეტიანემ იმპერატორის ძალაუფლების საყრდენად გამართული ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული აპარატი აქცია. (ძალაუფლება)
- სასანიანთა ირანის წინააღმდეგ დიოკლეტიანეს წარმატებული სამხედრო კამპანიების შემდეგ, ქართლი და არმენია რომაული გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც ქრისტიანობის გავრცელებას ხელი შეუწყო აღნიშნულ სივრცეში. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- დიოკლეტიანეს ეპოქა ქრისტიანთა სასტიკი დევნითა და რეპრესიებით ხასიათდება, თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას რომაულ საზოგადოებაში. (დრო; საზოგადოება)

**პარაგრაფი §37 – რატომ შეცვალა იმპერატორმა კონსტანტინემ პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ რომის იმპერიაში?**

აღნიშნულ პარაგრაფზე მუშაობისას, სასურველია ძირითადი აქცენტი გაკეთდეს, ქრისტიანობის, როგორც ახალი რელიგიის განსხვავებულ ხასიათზე. ხაზი გაესვას ქრისტიანობის როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ხასიათს. რას ქადაგებდა ის და რითი განსხვავდებოდა ტრადიციული რომაული რელიგიისაგან. სასურველია მოაწყოთ დისკუსია, თუ რა ტიპის პრობლემებს ქმნიდნენ ქრისტიანები რომის იმპერიის მმართველი წრეებისათვის და რითი შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეული მათ წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის წარმოება და დევნა. ისაუბრეთ, თუ რა ფაქტორების გამო იქნებოდა ქრისტიანობა მიმზიდველი რომაული საზოგადოებისათვის. რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავდა. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რას ქადაგებდა ქრისტიანობა და რატომ იქნებოდა ის მისაღები საზოგადოების დაბალი ფენებისათვის. ნათლად გამოკვეთეთ ის ფაქტორი, რომ დიდი ისტორიული მოვლენა, ბევრი მიზეზის ერთიანობითაა განპირობებული და კონსტანტინე დიდი ს გადაწყვეტილებასაც, ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ, მრავალი მიზეზი განაპირობებდა.

დიდი ყურადრება უნდა დავითმოთ მილანის ედიქტს და მოსწავლეებს ვთხოვოთ იმსჯელონ, რა მნიშვნელობის მატარებელი იყო ეს დოკუმენტი. უნდა გამოიკვეთოს მისი მიღების რამდენიმე მიზეზი და დავსვათ საკითხი, თუ როგორ შეცვალა ამ დოკუმენტმა მსოფლიოს ისტორიის მომავალი განვითარება.

სასურველია, გამოკვეთოთ რომაული სამყაროც ცენტრის აღმოსავლეთში გადატანისა და კონსტანტინოპოლის დაარსების პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა. რითი იყო განპირობებული ეს გადაწყვეტილება და რა შედეგი მოიტანა საბოლოოდ.

გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- იესო ქრისტეს მოღვაწეობა და ახალი რელიგიის, ქრისტიანობის, დაბადება რომის აღმოსავლურ პროვინცია იუდეას უკავშირდება, რამაც რომის იმპერიისა და მსოფლიოს მომავალი შეცვალა. (ისტორიული მოვლენა; სივრცე)
- ქრისტიანობა რომის საზოგადოებას აზროვნებისა და ცხოვრების წესის ცვლილებებისაკენ უბიძგებდა რასაც რომის საიმპერიო ხელისუფლება სასტიკი მეთოდებით დაუპირისპირდა. (საზოგადოება; ისტორიული მოვლენა)
- ქრისტიანობა ქადაგებდა ადამინათა დაბადებით თანასწორობასა და ქველმოქმედებას, რითაც ძალიან სწრაფად მოიგო იმპერიის დაბალი სოციალური ფენების გული. (საზოგადოება)
- 313 წლის მილანის ედიქტით, ქრისტიანებმა რომის იმპერიაში თავისუფალი აღმსარებლობის უფლება მიიღეს, ეს მოვლენა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, ერთის მხრივ კონსტანტინეს პოლიტიკურმა ინიციატივამ, მეორეს მხრივ ქრისტიანთა ისედაც გაძლიერებულმა პოზიციებმა. (ისტორიული მოვლენა)
- 325 წელს ნიკეის საეკლესიო კრების მოწვევა, ქრისტიანთა შორის საღვთისმეტყველო დავის გადაჭრას ემსახურებოდა, რადგან ქრისტიანთა შორის დაპირისპირება, რომის იმპერიაში დიდ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს შექმნიდა. (ისტორიული მოვლენა)

- აღმოსავლურ პროვინციებში ქრისტიანთა პოზიციები უფრო ძლიერი იყო, ასევე მეტი სტაბილურობა ახასიათებდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად, სწორედ ამიტომ კონსტანტინემ პოლიტიკური ცენტრი აღმოსავლეთით გადაიტანა და კონსტანტინოპოლი დააარსა. (სივრცე, საზოგადოება, ისტორიული მოვლენა)

**პარაგრაფი §38-39. რატომ დაეცა დასავლეთ რომის იმპერია?**

აღნიშნულ პარაგრაფზე მუშაობისას აქცენტი უნდა გაკეთდეს IV საუკუნის მიწურულს რომის იმპერიის ორ ნაწილად გაყოფის მიზეზებზე და თითოეული იმპერიის გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მახასიათებლებზე. განვუმარტოთ მოსწავლეებს, თუ რა ტიპის პრობლემების წინაშე დადგა ორივე იმპერია. დეტალურად უნდა განიმარტოს, „ხალხთა დიდი გადასახლება" რა მოვლენასა და პროცესს აღნიშნავს. რა მახასიათებლები აქვს მომთაბარულ საზოგადოებას. მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ხალხთა დიდი გადასახლების მიზეზები და იმსჯელეთ მის შედეგებზე.
გაკვეთილის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს იმ მიზეზების და შედეგების მკაფიოდ წარმოჩენა და გაანალიზება, თუ რამ გამოიწვია დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. ვაჩვენოთ გერმანელ ტომთა მოტივაცია, როდესაც ისინი რომი იმპერიის საზღვრებს კვეთდნენ და რომაელთა დამოკიდებულება მათ მიმართ, განსაკუთრებით წყარო N10-ში წარმოდგენილი მასალის განხილვა. მნიშვნელოვანია, მკვეთრად და ნათლად გაესვას ხაზი რომაული სამყაროს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს დანარჩენი საზოგადოებების მიმართ და რომ ეს სტერეოტიპები ხშირად არ შეესებამებოდა ისტორიულ რეალობას, აქცენტი გაკეთდეს ასპექტებზე, თუ რატომ არის ეს პრობლემური. მოსწავლეებს შესთავაზეთ შედარება, რატომ დაეცა დასავლეთ რომის იმპერია და რატომ შეინარჩუნა პოზიციები ალმოსავლეთ რომმა.
უმნიშვნელოვანესია იმის ჩვენება, თუ რა შედეგი მოიტანა რომის იმპერატორის ჩამოგდებამ და რომის იმპერიის პოლიტიკურმა აღსასრულმა. თუმცა უნდა განემარტოს მოსწავლეებს, რომ პოლიტიკური აღსასრული, არ ნიშნავდა რომაული სამყაროს სრულ გაქრობას და ის ქმნიდა ევროპის რელიგიურ და კულტურულ წესრიგს.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- IV საუკუნის ბოლოს იმპერატორმა თეოდოსიუსმა რომის იმპერია ორ ნაწილად გაყო, რომლის შემდეგაც დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიები განსხვავებულ სამყაროებად ჩამოყალიბდნენ და განსხვავებული გზით განვითარდნენ. (ისტორიული მოვლენა; სივრცე)
- ძვ. წ. II – ახ. წ. IV საუკუნეები ცნობილია, როგორც ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქად. ამ პერიოდში კლიმატური ცვლილებებისა და მომთაბარე ტომთა გადაადგილების გამო, ხალხთა დიდი მასა გადაადგილდებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპის მიმართულებით და აწყდებოდა რომის იმპერიის საზღვრებს. (ისტორიული მოვლენა; დრო)
- გერმანულ ენოვანი ტომების დასავლეთით მიგრაციას და რომის იმპერიის ტერიტორიებზე შემოჭრას დასავლეთ რომის იმპერიის დასუსტება და საბოლოო დაცემა მოჰყვა. (ისტორიული მოვლენა)
- V საუკუნეში ქალაქი რომი სამჯერ აიღეს გერმანელმა ტომებმა, საბოლოოდ კი მისი პოლი-

ტიკური არსებობა, ოსტგოთების ბელადმა ოდოაკრმა 476 წელს დაასრულა. (დრო; ისტორიული მოვლენა)

- მიუხედავად რომის იმპერიის პოლიტიკური აღსასრულისა, რომი დარჩა დასავლური სამყაროს კულტურულ, რელიგიურ და ეკონომიკურ ცენტრად და დასავლური სივრცის მომავალი, სწორედ რომაულმა მემკვიდრეობამ განაპირობა. (სივრცე)
- თანამედროვე ევროპულ სამყაროს საფუძველი სწორედ ამ ეპოქაში ჩაეყარა, ის რომაული მემკვიდრეობის გერმანული ელემენტისა და ქრისტიანობის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)

**პარაგრაფი §40-41. როგორ ჩამოყალიბდა ბარბაროსული სამეფოები რომის დაცემის შემდეგ და როგორ აღზევდა ფრანკთა ფეოდალური მონარქია?**

აღნიშნული პარაგრაფის დამუშავებისას სასურველია პროვოცირებული იქნას მსჯელობა საკითხზე, თუ რა ტიპის ქაოსი შეიძლება გამოიწვიოს ცენტრალური ხელისუფლების მოშლამ. შესაბამისად რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, რა ტიპის წესრიგი მოიშალა ევროპაში და რა გზით იყო შესაძლებელი ამ პროცესის დასტაბილურება. მნიშვნელოვანი დეტალია, რომ კარგად განემარტოს მოსწავლეებს განსხვავება საზოგადოების ტომობრივ სტადიასა და სახელმწიფოებრივ სტადიას შორის. რა გზა გაიარეს გერმანულმა ტომებმა, როდესაც გერმანულ სამეფოებს ქმნიდნენ რომაულ კულტურასთან დაახლოების შემდეგ.
ძირითადი აქცენტი შეიძლება გაკეთდეს იმაზე, რა მემკვიდრეობა დაუტოვა რომაულმა სამყარომ ევროპულ საზოგადოებებს. ასევე აღმოსავლეთ რომის იმპერიის პოლიტიკური მნიშვნელობის ჩვენებას გერმანელი მონარქებისათვის. როგორი იყო ლეგიტიმაციის საშუალებები და საიდან იღებდნენ მას.
პარაგრაფის მთავარი იდეაა არის იმ განსაკუთრებული მახასიათებლების გამოკვეთა რისი მეშვეობითაც ფრანკებმა შეძლეს ეჯობნათ დანარჩენი გერმანული სამეფოებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხლოდვიგის გაქრისტიანებისა და კათოლიკური მრწამსის მიღების იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-პრაქტიკულ მნიშვნელობას. როგორ შეუწყო ხელი ფრანკების სამეფოში ეკონომიკის განვითარებას, გეოგრაფიულმა ფაქტორმა და როგორ ჩაეყარა საფუძველი ფეოდალიზმის სისტემას.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, აღნიშნულ გეოგრაფიულ სივრცეში, რომაული მემკვიდრეობის გავლენით გერმანული სამეფოების ჩამოყალიბდა. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- რომის დაცემის შემდეგ, მან დაკარგა პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია, თუმცა შეინარჩუნა ქრისტიანული სამყარო რელიგიური ცენტრის დატვირთვა. (ისტორიული მოვლენა)
- გერმანულ სამეფოებს შორის ყველაზე წარმატებულები ფრანკები აღმოჩნდნენ, რაც დიდწილად, მათი მეფის, ხლოდვიგის პოლიტიკური გათვლების შედეგი იყო. (ისტორიული მოვლენა)
- ხლოდვიგმა ქრისტიანული სარწმუნოება აირჩია თავისი სამეფოს საყრდენად და განსხ-

ვავებით სხვა გერმანული ტომებისაგან, ის კათოლიკედ მოინათლა, რითიც რომის პაპისა და ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერა მოიპოვა. (ისტორიული მოვლენა, ძალაუფლება)

- კათოლიკური სარწმუნოების მიღების შემდეგ, ფრანკებს გაუადვილდათ რომის იმპერიის ტერიტორიების დაკავება, სადაც კათოლიკური რწმენის, რომის მოქალაქეები ცხოვრობდნენ. (საზოგადოება; სივრცე)

**პარაგრაფი §42. როგორ გაგრძელდა რომის იმპერიის უწყვეტი ტრადიცია აღმოსავლეთში?**

ალნიშნული პარაგრაფის მიზანია, ბიზანტიის იმპერიაში მმართველობის ტიპის, იმპერატორის უნიკალური მმართველობის მოდელისა და მისი მახასიათებლების განხილვასა და შესწავლას. უმნიშვნელოვანესი იქნება წინარე შესწავლილი მასალის გააქტიურება, კერძოდ ანტიკური ხანის რომის იმპერატორის მმართველობის ლეგიტიმაციის საშუალებებისა და სხვა მახასიათებლების შეხსენება და იმის ფონზე ჩვენება, თუ როგორ გარდაიქმნა ის შუა საუკუნეებში.
გამოსაყოფია სამი უმნიშვნელოვანესი დეტალი. საიმპერატორო ხელისუფლების ლეგიტიმაციის საშუალებების ტრანსფორმაცია ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ასევე სამი საზოგადოებრივი ჯგუფის – სენატი, ჯარი და ხალხის როლი ახალი იმპერატორის არჩევის საქმეში და ასევე იმპერატორის ხელისუფლების გადაცემის დამკვიდრებული წესი. მნიშვნელოვანია მსჯელობა საკითხზე, რა გავლენას ახდენდა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ის გარემოება, რომ იმპერატორის თანამდებობა დინასტიური მემკვიდრეობის ფორმით არ გადაეცემოდა. პარაგრაფში ძირითადი ფოკუსი უნდა გაკეთდეს ორ ასპექტზე. ბიზანტიური მმართველობის სისტემის ცვლილებაზე VII საუკუნის შემდეგ. უმნიშვნელოვანესია ხაზგასმა იმ დეტალზე, რომ ბიზანტიის იმპერიაში სასულიერო ხელისუფლება, საერო ხელისუფლების გავლენის ქვეშ იყო. იმპერატორი თავის თავში აერთიანებდა უმაღლეს სასულიერო და საერო ხელისუფლებას. ხაზი უნდა გაესვას განსხვავებას ბიზანტიასა და დასავლეთში დამკვიდრებულ მმართველობის სტილზე.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- ბიზანტიის იმპერიისათვის დამახასიათებელი იყო უნიკალური მმართველობის ფორმა, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები. (ძალაუფლება; საზოგადოება)
- ბიზანტიამ პირველ ეტაპზე ხელუხლებლად დატოვა ანტიკური ხანის მმართველობის სისტემები, VI საუკუნეში რომაული სამართალი იმპერატორმა იუსტინიანემ ქრისტიანული საზოგადოების ცხოვრების სტილს მოარგო. (დრო; ისტორიული მოვლენა; ძალაუფლება)
- ბიზანტიის იმპერატორის არჩევა, სამი საზოგადოებრივი ჯგუფის – სენატის, ჯარისა და კონსტანტინოპოლის მოსახლეობის პრეროგატივას წარმოადგენდა. (საზოგადოება; ძალაუფლება)
- ბიზანტიის იმპერიაში პოლიტიკური უფლებებისათვის ორი საზოგადოებრივი ჯგუფი – ვენეტები (ლურჯები) და პრასინები (მწვანეები) უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ლურჯები ძირითადად მსხვილი მიწათმოქმედები იყვნენ, ხოლო მწვანეები მდიდარ ვაჭრებს წარმოადგენდნენ. (საზოგადოება)

- ბიზანტიის იმპერატორი, თავისი ხელისუფლების ქვეშ აერთიანებდა როგორც საერო ასევე სასულიერო ხელისუფლებას. (ძალაუფლება)

**პარაგრაფი §43-44. როგორ სცადა იუსტინიანემ ანტიკური რომის იდეის აღდგენა?**

აღნიშნული პარაგრაფის შესწავლისა და დამუშავების პროცესში მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითად ასპექტზე ფოკუსირება. კერძოდ იუსტიანიანეს რეფორმებზე, ომებსა და მის შესახებ არსებული წყაროების განსხვავებულ ინტერპრეტაციებზე. სასურველია თავდაპირველად მოსწავლეების ყურადღება გავამახვილოთ ქალკედონის კრებაზე, განსხვავებაზე დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის და იმპერიის მმართველთა პოლიტიკაზე განსხვავებული რელიგიური ჯგუფების მიმართ. სასურველია მსჯელობა, თუ რა ტიპის პრობლემებს ქმნიდა ბიზანტიაში რელიგიური შეუმწყნარებლობა.
უმნიშვნელოვანესი და საყურადღებო ნაწილია იუსტინიანეს სამართლებრივი რეფორმები და კანონთა კრებულის რედაქტირება. ამ შემთხვევაშიც სასურველია მსჯელობა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს გამართულ საკანონმდებლო სისტემას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს იუსტიანეს საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად მიმართულებაზე და საგარეო პოლიტიკურ მიზანზე აღედგინა რომის იმპერია ანტიკური ხანის გეოგრაფიულ საზღვრებში. ომის მიმდინარეობაზე დასავლეთით გოთებთან და ვანდალებთან, ხოლო აღმოსავლეთით სპარსელებთან.
გვერდს ვერ ავუვლით უნიკალურ შემთხვევას, რომელსაც პროკოფი კესარიელის წყაროებიდან ვიღებთ. ოპოზიციური ხასიათისა და შინაარსის მონაკვეთები წყაროებიდან რომელიც მოსწავლის წიგნშია წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია ამ მონაკვეთებზე დაყრდნობით სხვადასხვა ტიპის ინტერაქციული აქტივობის ორგანიზება.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- იმპერატორ იუსტიანიანეს მმართველობის ეპოქას – 527-565 წლებს, ბიზანტიის იმპერიაში ოქროს ხანას უწოდებენ ბევრი გარემოების გამო. (დრო)
- იმპერატორი იუსტინიანეს ინიციატივით, შეიქმნა სამოქალაქო კოდექსების კრებული, რომელიც შეიცავდა 5 ათასამდე რომაულ კანონს, რომლებიც შეერწყა ქრისტიანულ მსოფლმხედველობას. (ისტორიული მოვლენა, საზოგადოება)
- იუსტინიანეს ეპოქაში, იმპერია ომს აწარმოებდა აფრიკაში ვანდალების, იტალიაში ოსტგოთების და აღმოსავლეთში ირანელების წინააღმდეგ, საბოლოო ჯამში წარმატებულად. ( სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- იუსტინიანეს მმართველობა გრანდიოზული მშენებლობებით ხასიათდება, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო წმინდა სოფიას (აია სოფია) ტაძრის მშენებლობა. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- იუსტინიანეს ეპოქისა და მმართველობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად პროკოფი კესარიელი გვაწვდის, რომლის ჩანაწერები ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარს შეიცავს და სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. (წყარო)

**პარაგრაფი § 45. როგორ შეიქმნა სასანიანთა ირანი? რა როლს ასრულებდა რეგიონის სავაჭრო ურთიერთობებში?**

ალნიშნული პარაგრაფის განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლა მნიშვნელოვანია რამდენიმე დეტალის გამო. პირველი ეს გახლავთ ზოგადად ირანული სივრცისა და სამყაროს უდიდესი კულტურული და პოლიტიკური როლის წარმოჩენა, III-VII საუკუნეების მსოფლიოში. მეორე კი ის გარემოება, რომ სასანიანთა ირანი იყო სახელმწიფო, რომელსაც ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და გავლენა ჰქონდა ქართველურ სივრცეზე.
სასურველია პარაგრაფის შესწავლისას ყურადღება გამახვილდეს სასანიანთა ირანის რელიგიაზე და მის უნიკალურ ხასიათსა და მახასიათებლებზე. ზოგადად ზოროასტრიზმის დაპირისპირებაზე ქრისტიანობასთან და მის გავლენებზე ირანულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია ფოკუსირება იმ გეოგრაფიულ სივრცეზე და მის მახასიათებლებზე, რომელზე კონტროლის დასამყარებლადაც საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს ბიზანტია და სასანიანები.
მნიშვნელოვანია გეოგრაფიული არეალისა და მისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის განსაზღვრა. თუ რა განაპირობებდა ირანის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას და რა როლი ჰქონდა მასში გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს. რა განსაკუთრებული მახასიათებლები ჰქონდა სასანიანთა სახელმწიფოს და მის საზოგადოებას, ასევე სასურველია განხილვა სასანიანთა ირანის რელიგიური პოლიტიკისა და ქართულ სამყაროზე მისი ასახვის შესახებ.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს ალნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- ახ. წ. III-VII საუკუნეებში აღმოსავლური სამყაროს მთავარ პოლიტიკურ და კულტურულ ძალას სასანიანთა ირანი წარმოადგენდა. (დრო)
- გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ფაქტორებმა რომ მის ტერიტორიაზე წინა ეპოქებში მრავალი ცივილიზებული სახელმწიფო და საზოგადოება
- არსებობდა, ასევე აღმოსავლეთ დასავლეთს შორის არსებული სავაჭრო გზებიც მასზე გადიოდა, ის ეკონომიკურად და კულტურულად ძლიერ სახელმწიფოდ აქცია. (სივრცე)
- სასანიანთა ირანის რელიგია, მონოთეისტური სარწმუნოება ზოროასტრიზმი იყო, რომლის თაყვანისცემის ობიექტს მზე და ცეცხლი წარმოადგენდა. (საზოგადოება)
- სასანიანთა ირანის საზოგადოება 4 ძირითად ფენად იყოფოდა, რომელთა სოციალურ დიფერენციაციას, მათი საქმიანობის განაწილება განაპირობებდა. (საზოგადოება)
- სასანიანთა ირანი საუკუნეების განმავლობაში უპირისპირდებოდა ჯერ რომის იმპერიას, შემდეგ კი ბიზანტიას, სირიისა და მესოპოტამიის, ასევე კავკასიის რეგიონში გაბატონებისათვის. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)

**პარაგრაფი §46. რატომ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სასანური ირანი და ბიზანტიის იმპერია?**

ალნიშნული პარაგრაფის დამუშავებისას ძალიან მნიშვნელოვანია წინა პარაგრაფებში მიღებული მასალის გახსენება და წინარე ცოდნის გააქტიურება. უნდა გამოიკვეთოს ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა ირანის მახასიათებლები, სასურველია ეს ორსვეტიან ფორმატში მოხდეს, როგორც შედარება. სახელმწიფოთა მმართველობის სტილის, საზოგადოების ფენ-

ების, რელიგიისა და იდეოლოგიის და რაც მთავარია საერთო ინტერესის სფეროსი. შედარების შემდეგ გამოიკვეთოს ის ასპექტი, რაც განაპირობებდა საუკუნოვან თითქმის პერმანენტული ხასიათის დაპირისპირებას ამ ორ ძალას შორის.

განსაკუთრებული ყურადღება სასურველია გავამახვილოთ იმ გეოგრაფიული სივრცის მახასიათებლებზე, რომელიც წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიასა და სასანიანთა ირანს შორის მიმდინარე ომების ეპიცენტრსა და სადაო სივრცეს – სირია, მესოპოტამია და კავკასია. შევთავაზოთ მოსწავლეებს მსჯელობა თემაზე, თუ რატომ იყო ეს გეოგრაფიული სივრცე მნიშვნელოვანი ამ ორი პოლიტიკურად დომინანტი სახელმწიფოსთვის.

მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ის დეტალები, თუ როგორ აისახებოდა ეს დაპირისპირება ბიზანტიურ და ირანულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და რა გავლენას ახდენდა ის დაპირისპირების ეპიცენტრში მცხოვრებ საზოგადოებებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დეტალებზე ხაზგასმა, რომ მათი დაპირისპირების ერთ-ერთი აქტიური ეპიცენტრი ეს იყო ქართული სივრცე და დაპირისპირების რეზულტატი დიდ გავლენას ახდენდა იბერიისა და ეგრისის საზოგადოების განვითარებაზე.

გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- III-VII საუკუნეებში თითქმის განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს ბიზანტიის იმპერია და სასანიანთა ირანი, სირია-მესოპოტამიასა და კავკასიის რეგიონზე პოლიტიკური გავლენის მოპოვებისათვის. (დრო; სივრცე)
- განსაკუთრებით აქტიური სამხედრო კონფლიქტები VI საუკუნეში იუსტინიანესა და ხოსრო I ანუშირვანის მმართველობის პერიოდს უკავშირდება. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ბიზანტიისა და სასანიანების დავის სფერო კულტურულად და ეკონომიკურად მდიდარი სირიისა და პალესტინის რეგიონი წარმოადგენდა, ასევე კავკასიაც, რადგან ყველა აღმოსავლეთში გაბატონებული სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი იყო კავკასიონის გადმოსასვლელებზე კონტროლის დაწესება და ამ გზით სავაჭრო გზებისა და ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)

### პარაგრაფი §47-48. რა პოლიტიკური ვითარება დადგა იუსტინიანე I დიდის მმართველობის შემდეგ?

აღნიშნული პარაგრაფის გააზრებისა და დამუშავების პროცესში მნიშვნელოვანია, წინარე ცოდნის გააქტიურება. იუსტინიანეს პერიოდის დახასიათებისა და ზოგადად ეპოქის მახასიათებლების მიმოხილვის შემდეგ, უნდა მოიხაზოს ის ზოგადი კონტურები იმ გამოწვევებისა, რის წინაშეც აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერია. აღნიშნულ პარაგრაფში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება 2 ძირითად ასპექტზე. პირველი ეს გახლავთ იმპერიის წინაშე წამოჭრილი საგარეო პოლიტიკური პრობლემები, აქტიური გეოგრაფიული სივრცეები და სიმწვავის ხარისხი. ასევე იმპერიის ტრანსფორმაცია იმპერატორ მავრიკიოსის ეპოქაში.

სასურველია აქცენტის გაკეთება, თუ რა ტიპის პოლიტიკური საფრთხეების წინაშე აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერია იუსტინიანეს მმართველობის შემდეგ და რა რადიკალურად შეიცვალა იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება. რამ გამოიწვია იმპერიის ეკონომიკური დაუძლურება და ბალკანურ სივრცეში იმპერიის პროვინციების მუდმივი დარბევა ავარებისა

და სლავების მიერ. სასურველია გაიმართოს მსჯელობა ძირითად საკითხზე, თუ რატომ დაუძლურდა იმპერია ასე სწრაფად. ბალკანური სივრცის შემდეგ მნიშვნელოვანია განხილვა, როგორ წარიმართა სასანიანებთან დაპირისპირება იუსტინიანეს შემდგომ.
პარაგრაფის შესწავლის დროს მთავარი კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ ცვლილებებზე საიმპერიო კუთხით, რაც განხორციელდა იმპერატორ მავრიკიოსის ეპოქაში. როგორ შეიცვალა საიმპერიო იდეა და მიდგომა, როგორ ტრანსფორმირდა ბიზანტიის იმპერია. მნიშვნელოვანია ასევე შედარებითი ანალიზის გამოყენება, მავრიკიოსსა და იუსტინიანეს შორის. სასურველი იქნება დრო დაეთმოს იმ დეტალებს, თუ როგორ მოახერხა მავრიკიოსმა, ირანელებისა და ავარების წინააღმდეგ წარმატებული პოლიტიკის გატარება.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- იუსტინიანეს მმართველობის შემდგომ ბიზანტიის იმპერია რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. (დრო)
- იუსტინიანეს მემკვიდრეების პერიოდში მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენდა ბალკანური სივრცე, სადაც იმპერიის პროვინციებს ავარები და სლავები უტევდნენ და ასევე აღმოსავლეთით სირია და მესოპოტამია, სადაც ტრადიციულად გააქტიურდნენ სასანიანები. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- იმპერატორ მავრიკიოსის პერიოდი, ხასიათდება ავარებისა და სასანიანთა მიერ შექმნილი პრობლემების გადაჭრითა და იმპერიის ტრანსფორმაციით. (დრო)
- VI-VII საუკუნეების მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერია ენობრივი და კულტურული კუთხით მეტად ბერძნული იყო, ვიდრე რომაულ-ლათინური, ეს საზოგადოების ყველა ფენას შეეხებოდა. (ისტორიული მოვლენა; საზოგადოება)
- მავრიკიოსმა დახმარება აღმოუჩინა სასანიან უფლისწულ ხოსროს, რათა დაეკავებინა ირანის ტახტი, შესაბამისად ირანთან არსებული პრობლემები დროებით მოგვარდა, მავრიკიოსის მკვლელობის შემდგომ, ირანის შაჰმა განაცხადა, რომ მას სურდა ტახტზე დაესვა მავრიკიოსის ვაჟი თეოდოსიუსი და ამ მიზეზით დაიწყო ომი ბიზანტიის იმპერიასთან. (ისტორიული მოვლენა; ძალაუფლება)
- მავრიკიოსის ეპოქაში დასრულდა რომის იმპერიის ანტიკური ფორმა და დაიბადა შუა საუკუნეების ბერძნული იმპერია. (დრო; ისტორიული მოვლენა)

### პარაგრაფი §49. რატომ ებრძოდა ჰერაკლე კეისარი სასანურ ირანს?

აღნიშნული პარაგრაფი, წარმოადგენს წინა პარაგრაფის თეორიულ და ქრონოლოგიურ გაგრძელებას, გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება და იმ გარემოებათა გახსენება, თუ რა ვითარებაში იკავებს საიმპერატორო ტახტს ჰერაკლე კეისარი. მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტის გამოკვეთა, უპირველესად სასანიანთა ირანის მიერ აღმოსავლეთის პროვინციების სამხედრო გზით დაკავება და იერუსალიმის აღების მნიშვნელობა ბიზანტიური საზოგადოებისათვის. იმ ეპოქის საზოგადოების რწმენისა და მსოფლმხედველობის კარგად წარმოსაჩენად მნიშვნელოვანი იქნება ყურადღების გამახვილება მოსწავლის წიგნში წარმოდ-

გენილ წყაროთა მონაკვეთებზე, რომელიც იძლევა ინფორმაციას, თუ რა მიზეზებით ხსნიან ბიზანტიელები წარმოქმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების წინაპირობებს. მნიშვნელოვანი დეტალია კონსტანტინოპოლის ალყა სასანიანებისა და ავარების მიერ და მისი გამკლავების საშუალებები და მნიშვნელობა. განიხილოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო, იმ ეპოქაში ჰერაკლეს ფიგურა და რა საშუალებით მოახერხა მან სიტუაციის შემოტრიალება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჰერაკლეს ლაშქრობას კავკასიაში და თბილისზე შეტევას, რა მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის რეგიონს ბიზანტიისათვის და რა პოზიცია ეკავა ქართულ სამყაროს.
სასურველია კარგად მოიხაზოს ის პოლიტიკური კონტურები, რაც მოიხაზა ჰერაკლეს ომისა და დაზავების შემდგომ აღმოსავლეთში. რადგან მნიშვნელოვანია ამ დეტალის ხაზგასმა, თუ რა ვითარებაში გამოჩნდნენ არაბები აღმოსავლეთში.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- VII საუკუნის დასაწყისში საიმპერატორო ხელისუფლების ძალისმიერი გზით ცვლილებებმა გამოიწვია პოლიტიკური არეულობები, ამას დაერთო სასანიანთა შეტევა აღმოსავლეთიდან რის შემდეგაც იმპერია კატასტროფის წინაშე დადგა, სწორედ ამ დროს დაიკავა ტახტი ჰერაკლე კეისარმა. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- VII საუკუნის 20-იან წლებში კონსტანტინოპოლს უტევდნენ სასანიანები და მათი მოკავშირე ავარები და სლავები, თუმცა ქალაქმა გაუძლო და იმპერია კონტრშეტევაზე გადავიდა. (ისტორიული მოვლენა; დრო)
- ირან-ბიზანტიის დაპირისპირების ერთ-ერთი აქტიური ფაზა კავკასიაში კერძოდ კი ქართლში გაიმართა, სადაც ბიზანტიის მხარეს ომში ჩაება ხაზართა სახელმწიფო. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- VII საუკუნის 30-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში ახალი მძლავრი ძალა გამოჩნდა არაბების სახით, ბიზანტია და სასანიანთა ირანი ხანგრძლივი ომისაგან დასუსტებულები ახალი მტრის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ. (დრო, სივრცე; ისტორიული მოვლენა)

### პარაგრაფი §50. როგორ შეცვალა ისლამმა არაბული საზოგადოება?

აღნიშნული პარაგრაფი სასურველია გაანალიზდეს, რამდენიმე ასპექტზე ხაზგასმით. უპირველესად მასში კარგად უნდა იქნას განხილული, მონოთეისტური რელიგიის, ისლამის მახასიათებლები. რას ქადაგებს ის და როგორ შეცვალა ისლამმა, არაბი ხალხების მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი. უმნიშვნელოვანესია არაბული საზოგადოების მახასიათებლების გამოკვეთა ისლამამდე და როგორ შეიცვალნენ ისინი ისლამის მიღების შემდეგ.
უმნიშვნელოვანესია არაბეთის ნახევარკუნძულის გეოგრაფიული მახასიათებლების განხილვას და გამოკვეთას, ასევე ხაზგასმას იმ საკითხის თუ რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო საზოგადოების განვითარებაზე. უმნიშვნელოვანესია ასევე მუჰამედის ფიგურისა და ისლამის როგორც ახალი რელიგიის მახასიათებლების დეტალურად განხილვა. ისლამის მსგავსება და განსხვავება ქრისტიანობასთან. რა ღირებულებათა სისტემას ემყარებოდა ისლამის რელიგი-

ის მსოფლმხედველობა, მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი წყაროთა მონაკვეთებში დაცულ ინფორმაციებზე დაყრდნობით.
აუცილებელია განხილვა ისეთი დეტალებისა, თუ რამ განაპირობა ისლამური რელიგიის წარმატება, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მუსლიმთა მიდგომების საკითხი არამუსლიმური საზოგადოების მიმართ. როგორ შეცვალა რელიგიისა და ზოგადად ისტორიის შემდგომი განვითარება ისლამის დაბადებამ და არაბთა დაპყრობებმა. როგორ იყოფოდა არაბული საზოგადოება და რა ფაქტორებს ემყარებოდა ფენათა დიფერენციაცია.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- ისლამის დაბადებამდე არაბები, მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც შემგროვებლურ ეკონომიკას მისდევდნენ და არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი არეალი. (დრო; საზოგადოება)
- გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე არაბეთის ნახევარკუნძულზე მდიდარი სავაჭრო გზები გადიოდა, რამაც ადგილობრივი ტომების სავაჭრო საქმიანობაში ჩართვა და მეზობელ ხალხებთან კავშირების გაზრდა განაპირობა. (სივრცე; საზოგადოება)
- სარწმუნოება ისლამის ჩამოყალიბება და ქადაგება, ქალაქ მექაში მცხოვრები ვაჭრის მუჰამედის სახელს უკავშირდება. (ისტორიული მოვლენა)
- მუჰამედის მიხედვით სამყარო ერთმა ღმერთმა შექმნა, რომელსაც თაყვანს სცემენ იუდეველები და ქრისტიანები, მათ დაამახინჯეს მისი რწმენა და ის ქადაგებდა ღმერთის სიტყვას და იყო მისი მოციქული. (ისტორიული მოვლენა)
- ისლამური საზოგადოების მსოფლმხედველობას ისლამური რელიგია განსაზღვრავდა და მის წყაროს წმინდა წიგნი ყურანი წარმოადგენს. (საზოგადოება)

**პარაგრაფი §51-52. რატომ დაიწყეს არაბებმა დაპყრობითი ომები?**

აღნიშნული პარაგრაფის დამუშავებისას, ძალიან მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება, რადგან სანამ არაბთა დაპყრობების გაანალიზება მოხდება, მანამდე აუცილებელია იმ პოლიტიკური ვითარებისა და ბალანსის გახსენება, რაც დადგა სირია მესოპოტამიის რეგიონში არაბთა გამოჩენის წინ და რა ვითარება იყო ბიზანტიასა და სასანიანთა ირანში, რომელთაც საკუთარ თავზე მიიღეს. ასევე სასურველია გავახსენოთ მოსწავლეებს ისლამის მახასიათებლები და რა ზეგავლენა მოახდინა ახალმა რელიგიამ არაბთა დაპყრობებზე.
საგაკვეთილო აქტივობებში უმთავრესი ფოკუსი უნდა გაკეთდეს არაბთა დაპყრობების მიზეზებზე, ასევე მათი წარმატების განმაპირობებელ ფაქტორებზე. სასურველია ყურადღება გამახვილდეს იმაზე თუ როგორ შეცვალა ისლამმა არაბული საზოგადოება და რა მიზეზებმა განაპირობა მათი დაპყრობების დაწყება. მნიშვნელოვანია აქცენტი გეოგრაფიულ და კლიმატურ ფაქტორებზე, თუ რატომ იყო აუცილებელი გაერთიანებული არაბული ტომებისათვის ახალი ტერიტორიების ათვისება. მნიშვნელოვანია არაბთა დაპყრობებში ისლამის როლის წარმოჩენა. სასურველია სასწავლო პროცესში მოხდეს აქტივობის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც განხილული და ჩამოთვლილი იქნება ის ძირითადი ასპექტები, რამაც განაპირობა არაბთა

დაპყრობების წარმატება და ისლამის სწრაფი გავრცელება. გამოიკვეთოს მიზეზები, თუ რატომ გაუადვილდათ არაბებს ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციების, (სირია, პალესტინა, ეგვიპტე) დაპყრობა და შენარჩუნება. ასევე რატომ ვერ შეძლო ძლიერმა სასანიანთა ირანმა არაბთა დაპყრობებს გამკლავებოდა. მნიშვნელოვანია დაისვას კითხვა – როგორ შეცვალა არაბთა დაპყრობებმა მსოფლიოს შემდგომი განვითარება?
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- მუჰამედის სიკვდილის შემდეგ, „ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას“ დროს იწყება არაბთა დაპყრობები, რომელმაც სამი კონტინენტის, აზიის, ევროპისა და აფრიკის ტერიტორიები მოიცვა. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- არაბების ისლამისა და ხალიფას ძალაუფლების ირგვლივ გაერთიანების შემდეგ, აუცილებელი გახდა ახალი მიწების დაპყრობა, რომელიც ერთის მხრივ ისლამის გავრცელების იდეას, ხოლო მეორეს მხრივ ეკონომიკურმა საჭიროებებმა განაპირობა. (ისტორიული მოვლენა)
- VII საუკუნის 30-იან წლებში, არაბებმა გაანადგურეს სასანიანთა ირანი და დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური პროვინციები, ეგვიპტე სირია და პალესტინა. (სივრცე; დრო)
- თავდაპირველად არაბები შედარებით შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდნენ დაპყრობილი ხალხების მიმართ, რამაც მათი წარმატება განაპირობა. (საზოგადოება)
- არაბთა სახალიფოს თავდაპირველად 4 მართლმორწმუნე ხალიფა მართავდა, შემდეგ ხელისუფლება დამასკოს უმაიანთა ხალიფებმა აიღეს, ისინი კი ბაღდადის აბასიანთა ხალიფებმა ჩაანაცვლეს. (ძალაუფლება; ისტორიული მოვლენა)

### პარაგრაფი §53. რა არის ისლამური ცივილიზაცია?

აღნიშნული პარაგრაფი წარმოადგენს წინა ორი პარაგრაფის თემატურ შევსებასა და მის გაგრძელებას. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია მოსწავლეთა ყურადღების რამდენიმე ასპექტზე გამახვილება. არაბული და ზოგადად ისლამური ცივილიზაცია ეს ფართო სპექტრში დასამუშავებელი საკითხია. უპირველესად ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ გარემოებებზე, თუ როგორი იყო ისლამისა და შესაბამისად არაბული საზოგადოების დამოკიდებულება განათლების მიმართ და გამოიკვეთოს მეცნიერების ის დარგები რომლებიც განსაკუთრებით განვითარდა ისლამურ სამყაროში.
სასურველია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს იმ გარემოებებზე, რამაც განაპირობა არაბული კულტურისა და ისლამური ცივილიზაციის განვითარება. ერთი მხრივ, განვიხილოთ, თუ რა მემკვიდრეობა მიიღეს არაბებმა და შეითვისეს დაპყრობილი ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოებებისაგან ირანის პალესტინის, ეგვიპტის და სხვა. ასევე რა ახალი განსაკუთრებული მახასიათებლები შესძინა არაბულმა კულტურამ მიღებულ მემკვიდრეობას და რა განსაკუთრებული მახასიათებლები გამოარჩევს მას. მოსწავლეებს შევთავაზოთ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა მემკვიდრეობა დაუტოვა შემდეგ საზოგადოებებსა და თანამედროვე საზოგადოებას არაბულმა სამყარომ.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის

შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- არაბთა დაპყრობების შემდეგ, არაბულმა ენამ, ისლამურმა რელიგიამ და არაბული კულტურის მახასიათებლებმა მყარად მოიკიდა ფეხი, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ესპანეთში. აღნიშნულ ფაქტორებს ამ სივრცეზე გავლენა, ერთიანი სახალიფოს პოლიტიკური კოლაფსის შემდეგაც არ დაუკარგავს. (საზოგადოება; სივრცე)
- მუჰამედის მოძღვრების მიხედვით მუსლიმისათვის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად ითვლება ცოდნის მიღება, ამ ფაქტორმა ხელი შეუწყო არაბების მიერ სხვადასხვა ხალხების მიღწევების გაცნობასა და შეთვისებას. (საზოგადოება; ისტორიული მოვლენა)
- არაბებმა, ირანული, ბერძნული და ლათინური კულტურის გაცნობის შედეგად, შექმნეს თავიანთი ისლამთან ადაპტირებული კულტურა და მიღებული ცოდნა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. (ისტორიული მოვლენა)
- არაბულ საზოგადოებაში განსაკუთრებით განვითარდა მეცნერების ისეთი დარგები, როგორებიც გახლდათ: მედიცინა, ასტრონომია და მათემატიკა. (საზოგადოება)
- არაბული ენა, ისლამური რელიგია და არაბული კულტურა, დღესაც განსაზღვრავს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის. ასევე მსოფლიოში მცხოვრები მრავალი ხალხისა თუ ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ცხოვრებას. (დრო; სივრცე)
- არაბული სამყაროს კულტურული და პოლიტიკური ცენტრები იყვნენ ქალაქები: მექა, მედინა, დამასკო, ბაღდადი, კაირო, კორდობა, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა არაბულ სამყაროში თბილისსაც. (სივრცე)

### პარაგრაფი §54-55. რა პრობლემები ჰქონდა ბიზანტიის იმპერიას VIII-IX საუკუნეებში?

აღნიშნულ პარაგრაფში გამოკვეთილი ისტორიული საკითხები მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიმართულებით. ერთის მხრივ პოლიტიკური, ხოლო მეორეს მხრივ რელიგიური პროცესების აღწერისა და გააზრების კუთხით. პარაგრაფში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომლებიც ისავრიელთა დინასტიის ეპოქას უკავშირდება. ამჯერადაც სასურველი და მნიშვნელოვანია წინარე ცოდნის გააქტიურება და მოსწავლეთათვის შეხსენება, თუ როგორ შეიცვალა ბიზანტიის იმპერიის საზღვრები და პოლიტიკური პოზიციები VII საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა დაპყრობების შედეგად.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტორები, თუ რომელი ტერიტორიები დაკარგა ბიზანტიამ არაბთა გამოჩენის შემდეგ და რა ეკონომიკური და რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლურ პროვინციებს იმპერიის პოლიტიკური და რელიგიური წრეებისათვის. სასურველია განისაზღვროს საგარეო პოლიტიკური პოლიტიკური პრობლემების რამდენიმე მიმართულება. სასურველია საგაკვეთილო პროცესში განვიხილოთ არაბთა ლაშქრობების მნიშვნელობა და ის გარემოებები, როგორ მოახერხა ისავრიელმა იმპერატორებმა არაბული საფრთხისაგან კონსტანტინოპოლის დაცვა. ასევე იმსჯელეთ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის იმპერიისა და ზოგადად ქრისტიანული სამყაროსთვის იმ ფაქტს, რომ არაბებმა ვერ მოახერხეს კონსტანტინოპოლის აღება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხატმებრძოლეობის სახელით ცნობილ მოვლენას.

სქემის სახით უნდა წარმოვადგინოთ საგაკვეთილო პროცესში ის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მიზეზები, რამაც გამოიწვია ხატმებრძოლეობის დაწყება. რა არგუმენტები ჰქონდათ იმპერატორებს, რომელთაც დაიწყეს ეს რელიგიური რეფორმა და რა მოტივები ჩანდა მის უკან. მნიშვნელოვანია განხილვა იმ ასპექტის, თუ რა ხასიათის იყო ეს მოვლენა და შემოიფარგლებოდა თუ არა მხოლოდ რელიგიური სფეროთი. შესთავაზეთ მსჯელობა მოსწავლეებს საკითხზე – რა პოლიტიკურ სარგებელს მისცემდა საიმპერიო ხელისუფლებას ხატების აკრძალვა და ბერმონაზვნური ცხოვრების დისკრედიტაცია.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- ისავრიელთა დინასტიის წარმომადგენლები ბიზანტიას VIII-IX საუკუნეებში მართავდნენ და ეს ეპოქა დიდი პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის მოვლენებით ხასიათდება. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ისავრიელთა დინასტიას უკავშირდება არაბთა წინააღმდეგ წარმატებული ომების წარმოება და რელიგიური რეფორმა, რომელიც ხატმებრძოლეობის სახელითაა ცნობილი. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ისვრიელმა იმპერატორებმა ხატები არაქრისტიანულად, კერპთაყვანისმცემლობის გადმონაშთად გამოაცხადეს და ბრძანეს ეკლესიებიდან მათი გატანა, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ქრისტიანულ სამყაროშიც და საკუთრივ იმპერიის შიგნითაც. (ისტორიული მოვლენა; საზოგადოება)
- ხატმებრძოლეობას, გარდა რელიგიურისა ჰქონდა პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივებიც. ეკლესიის ქონება და შემოწირულებები სახელმწიფო ხაზინაში შევიდოდა, ასევე ეკლესია ეკონომიკურად დასუსტდებოდა და საიმპერიო ხელისუფლებაზე მეტად დამოკიდებული გახდებოდა. (საზოგადოება; ისტორიული მოვლენა)
- ისავრიელთა პოლიტიკური მოღვაწეობა წარმატებული იყო, მათ გაანეიტრალეს არაბული საფრთხე და ასევე გაიმყარეს პოზიციები მცირე აზიასა და ბალკანეთში. მათმა რელიგიურმა პოლიტიკამ კი ბიზანტიური საზოგადოება ორად გახლიჩა და დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან დააპირისპირა. (დრო; სივრცე; საზოგადოება)

**პარაგრაფი § 56-57. რატომ ითვლება მაკედონელთა დინასტიის მმართველობა ბიზანტიის აღმავლობისა და ძლიერების ხანად?**

აღნიშნულ პარაგრაფში მოცემულია საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიური პერიოდის ისტორიული მოვლენების აღწერა და დახასიათება. მაკედონელთა დინასტიის მმართველობის პერიოდი მნიშვნელოვანია რამდენიმე კუთხით. სასურველია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს იმ ასპექტზე, თუ როგორ შეიცვალა იმპერატორის არჩევისა და საიმპერატორო ძალაუფლების გადაცემის წესი მაკედონელთა პერიოდში და ასევე რა მოიტანა პოლიტიკური მემკვიდრეობის დინასტიური წესით გადაცემამ ბიზანტიის იმპერიაში.
მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტის წინა წამოწევა, სასურველია მსჯელობა საკითხზე, თუ რამ განაპირობა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის დამყარება მაკედონიელთა

პერიოდში და რა მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა სახალიფოში არსებულ დაპირისპირებას და საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებს. მნიშვნელოვანია იმპერატორ ბასილი პირველის ფიგურის განხილვა და შეფასება, ასევე მისი პოლიტიკის შედარება იუსტიანიანეს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსთან.
განსაკუთრებული აქცენტი სასურველია გაკეთდეს ბასილი II-ის მმართველობაზე და მის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურზე, მის დაპირისპირებაზე ბულგარეთის სახელმწიფოს-თან. მნიშვნელოვანია ქართული ფაქტორების განხილვა. კონკრეტულად დავით III ტაოელის როლი, ბასილის იმპერატორად გახდომისა და საიმპერიო ხელისუფლების შენარჩუნების საქმე-ში. გარდა ამისა სასურველია გამოიკვეთოს ის გეოგრაფიული არეალი, რომლის გამოც მოხდა დაპირისპირება ბიზანტიის იმპერიასა და ქართულ სახელმწიფოს შორის.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- მაკედონელთა დინასტია ბიზანტიის იმპერიას IX-XI საუკუნეებში მართავდა, ეს ეპოქა პოლი-ტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით გამოირჩეოდა. (დრო)
- მაკედონელთა დინასტიის იმპერატორებმა, იმპერატორის პოსტი მემკვიდრეობითი გახადეს, ძალაუფლება მამიდან შვილს გადაეცემოდა, რამაც პოლიტიკური სიტუაცია მეტად სტაბი-ლური გახადა, იმპერატორის ძალაუფლება კი უფრო გაამყარა. (ძალაუფლება)
- მაკედონელთა დინასტიის მმართველობის პერიოდში ბიზანტიის იმპერიის მიზანს, სამხრეთ იტალიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დაკარგული პოზიციების სამხედრო გზით აღდგენას ცდილობდნენ. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- დინასტიის წარმომადგენელმა იმპერატორმა კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა შექმნა ნაშრომი ,,იმპერიის მართვის შესახებ“, რომელიც ახასიათებს მაშინდელ მსოფლიოში მცხ-ოვრებ ხალხებსა და მათ ისტორიას, ასევე შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს ვისთან როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოოს მომავალმა იმპერატორმა. (წყარო)
- მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლის ბასილი II-ის მმართველობის პერიოდი, ბულგარ-ელებისა და ქართველების წინააღმდეგ ომებით ხასიათდება. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)

**პარაგრაფი §58-59-60 როგორ შექმნა კარლოს დიდმა ფრანკთა იმპერია?**

აღნიშნული პარაგრაფი მოცულობითია და მასში წარმოდგენილი თითოეული დეტალი უმნიშ-ვნელოვანესია, შესაბამისად სასურველია პედაგოგმა უყურადღებოდა არ დატოვოს საგაკვეთი-ლო პროცესის მიმდინარეობისას არცერთი ქვესაკითხი, ასევე ყურადღებით უნდა იქნეს განხი-ლული თითოეულ წყაროსა თუ ჩანართში დაცული ინფორმაცია. პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს წინარე ცოდნის გააქტიურება, გახსენება იმისა, თუ რას წარმოადგენდა ფრანკთა სამეფო და რა საშუალებებით მოახერხა მან გამხდარიყო ყველაზე მძლავრი სახელმწიფო დასავლეთში. უნდა გამოიკვეთოს ფეოდალიზმის, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელი გარემოებები და გაიმართოს მსჯელობა იმ საკითხზე, თუ რატომ ჩამოყალიბდა ფეოდალიზმი, პირველად ფრანკთა სამეფოში, რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ამ პროცესს.
შემდეგი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც სასურველია ფოკუსირება ეს გახლავთ კარ-ლოს მარტელისა და პიპინ მოკლეს ეპოქაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების განხილვა.

მაგალითად რა ტიპის პრობლემები ჰქონდა ცენტრალიზაციის კუთხით ფრანკულ მონარქიას და როგორ მოახერხა კარლოს მარტელმა მისი გადაჭრა. ასევე 732 წლის პუატიეს ბრძოლისა და არაბების დამარცხების მნიშვნელობა ფრანკთა სამეფოსა და ზოგადად ქრისტიანული სამყაროსათვის. პიპინის ნაწილში მნიშვნელოვანია მისი და რომის პაპის ურთიერთობებისა და მოტივაციების განხილვა. აქცენტირება მნიშვნელოვანია იმ საკითხზე, თუ რატომ დასჭირდა პიპინს პაპის მხარდაჭერა ძალაუფლების გაოფიციალურებაში, რაც ისედაც მის ხელში იყო.
კარლოს დიდის შესწავლისას მნიშვნელოვანია ყველა დეტალი, კონკრეტულად კი ფოკუსირება უნდა მოხდეს სამ ძირითად მიმართულებაზე, საგარეო პოლიტიკისა და მისი ომების მიმართულებისა და ხასიათის განსაზღვრასა და განხილვაზე. მის კულტურულ და საგანმანათლებლო პოლიტიკაზე და ბოლოს უმთავრესი, მის იმპერატორად კურთხევაზე და ამ აქტის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მნიშვნელობასა და შედეგებზე. სასურველია წარიმართოს მსჯელობა იმ საკითხზე, თუ რა როლი ჰქონდა კარლოს დიდს და ფრანკთა იმპერიას ევროპის მომავალი განვითარებისა გზაზე და რომელი სახელმწიფოები წარმოიშვა ერთიანი ფრანკთა იმპერიის წიაღიდან.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- რომის დაცემის შემდეგ, ევროპაში შექმნილი არსებული წესრიგი მოირღვა, რამაც პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე კულტურული ჩამორჩენა. ახალი წესრიგი კაროლინგურ ეპოქაში ფრანკებმა ჩამოაყალიბეს. (დრო; ისტორიული მოვლენა; სივრცე)
- V-IX საუკუნეების მანძილზე, ევროპის კონტინენტზე, პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოს ფრანკთა სამეფო/იმპერია წარმოადგენდა. (დრო; სივრცე)
- ფრანკთა სამეფოში ჩამოყალიბდა და განვითარდა ევროპული სამყაროსთვის დამახასიათებელი პოლიტიკურ, ეკონომიკური ფორმა ფეოდალიზმი. (საზოგადოება; ისტორიული მოვლენა)
- VIII საუკუნეში ფრანკთა სამეფოში ძალაუფლების სათავეში გავლენიანი კარისკაცები მაიორდომები აღმოჩნდნენ, მეფის ხელისუფლება კი დასუსტდა. მაირდომებისაგან გამორჩეული იყო კარლოს მარტელის,რომელსაც უკავშირდება ფეოდალური რეფორმა და ბენეფიციუმის შემოღება, მძიმედ შეჯავშნული არმიის შექმნა და არაბთა დამარცხება. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- 750 წელს, მაირდომმა პიპინ მოკლემ რომის პაპისაგან მიიღო თანხმობა და ლეგიტიმაცია, რის შემდეგაც თავი მეფედ გამოაცხადა, ასე ჩაეყარა საფუძველი კაროლინგურ დინასტიას. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ფრანკთა იმპერიის პოლიტიკური და კულტურული განვითარების მწვერვალი, კარლოს დიდის მმართველობის ეპოქას 768-814 უკავშირდება. (დრო)
- კარლოს დიდის ეპოქაში ფრანკები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ, ავარების, საქსონების, ლანგობარდებისა და ესპანელი არაბების წინააღმდეგ, ამ ომებს ძირითადად რელიგიური მოტივები განსაზღვრავდა. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)
- 800 წლის 25 დეკემბერს, რომში, კარლოს დიდი იმპერატორად აკურთხა რომის პაპმა. ამ ტიტულის მიღებით, კარლოს დიდმა თავი გამოაცხადა ქრისტიანულ სამყაროში უზენაეს პოლიტიკურ მმართველად, რასაც დიდი პროტესტი მოჰყვა ბიზანტიის იმპერატორების მხრიდან. (ძალაუფლება; ისტორიული მოვლენა)

- 843 წელს, ვერდენის ხელშეკრულების შედეგად, ფრანკთა იმპერია კარლოსის მემკვიდრეებს შორის სამ ნაწილად გაიყო და ასე წარმოიქმნა სამი ევროპული სახელმწიფო; საფრანგეთი, გერმანია, იტალია. (ისტორიული მოვლენა; სივრცე)

**პარაგრაფი §61-62-63 როგორი იყო შუა საუკუნეების საზოგადოება?**

აღნიშნული პარაგრაფში წარმოდგენილი თითოეული საკითხის გააზრება და გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია. ამჯერადაც დიდი მნიშვნელობა ექნება წინარე ცოდნის გააქტიურე-ბასა და შემდეგ ახალი მასალის მასზე დაშენებას. სასურველია შევახსენოთ მოსწავლეებს რა მახასიათებლები ჰქონდა საზოგადოებებს რომის იმპერიის ბოლო საუკუნეებში და რა ტიპის ტრანსფორმაცია განიცადა საზოგადოებამ რომის დაცემის შემდეგ.
შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების მახასიათებლების გასააზრებლად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ფეოდალური სტრუქტურის მახასიათებლები, რადგან ფეოდალური სისტემა, თავის თავში მოიცავდა შუა საუკუნეების საზოგადოების ყველა სფეროს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა აუცილებლობა არსებობდა ფეოდალური სტრუქტურის ჩამოყალიბების. სასურველია სქემების სახით განისაზღვროს, საზოგადოების ცხოვრების რომელ სფეროებს აერთიანებდა ფეოდალიზმი. რა როლი ჰქონდა მას სამხედრო, ადმინისტრაციული და რელიგიური სისტემების კუთხით, ასევე უნდა გამოიკვეთოს, ეკონომის რომელ ფორმაზე იყო დამყარებული ფეოდალური ურთიერთობები და სტრუქტურა.
სასურველია განისაზღვროს ფუნქციები, რომელიც ჰქონდა თითოეულ სოციალურ ფენას, ფეოდალურ სტრუქტურაში და როგორ იყო დანაწილებული საქმიანობის დარგები, ასევე რა განსაზღვრავდა თითოეული ფენის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრივილეგიას. მნიშვნელო-ვანია გამოიკვეთოს პოლიტიკური ლიდერის საზოგადოებრივი ფუნქცია, ასევე ლეგიტიმაციის საშუალებები. ასევე საზოგადოების ცალკეული ჯგუფების საქმიანობა და მათი ყოველდღი-ურობის აღწერა.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- რომის იმპერიის დაცემის შემდეგ მოიშალა ევროპულ სამყაროში ცენტრალური ხელისუ-ფლება და ეკონომიკურ და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა. ახალი სისტემა რომე-ლიც სამეფოთა ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ საჭიროებებს დააკმაყოფილებდა ფეოდალიზმის სახელითაა ცნობილი. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ფეოდალიზმი წარმოადგენდა მიწის მფლობელობაზე დამყარებულ სისტემას, მიწები სამხ-ედრო პირებს გადაეცემოდა და აგრარულ, მწარმოებლურ ეკონომიკასა და საგადასახადო სისტემას ემყარებოდა. (საზოგადოება; ისტორიული მოვლენა)
- ფეოდალური სტრუქტურა ფიცზე და პირობით დამოკიდებულებაზე იყო დამყარებული, ამ ფიცს კი ლეგიტიმაციას ეკლესია ანიჭებდა. (ძალაუფლება)
- ფეოდალური საზოგადოება დაყოფილი იყო ფენებად, ფენების დაყოფა კი მათი საზოგადოე-ბრივი საქმიანობის მიხედვით ხდებოდა, ვინ მართავს, ვინც ლოცულობს, ვინც იბრძვის და ვინც მუშაობს. (საზოგადოება)

- ფეოდალური ურთიერთობები ფენათა ურთიერთ საჭიროების პრინციპზე იყო აგებული, გლეხები მუშაობდნენ ფეოდალებისათვის, ფეოდალები იცავდნენ და მიწებს აძლევდნენ მათ. (საზოგადოება)
- შუა საუკუნეების საზოგადოების აზროვნებას და ცხოვრების სტილსა და წესს, რელიგიური რწმენები განსაზღვრავდა. (საზოგადოება)
- შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან ფენას რაინდები წარმოადგენდნენ, მათ განსხვავებული ცხოვრების წესი და ღირებულებათა სისტემა ჰქონდათ. (საზოგადოება)

**პარაგრაფი §64-65. რატომ დაიწყეს ნორმანებმა დაპყრობითი ომები?**

აღნიშნული პარაგრაფი, მნიშვნელოვანია მრავალი კუთხით, უპირველესად კი მოსწავლეთა მხრიდან დაინტერესების კუთხით, გამომდინარე იქიდან, რომ ნორმანებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი პოპულარულია მოსწავლეებში. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე ასპექტზე. სასურველია გამოიკვეთოს სამი ძირითადი მიმართულება, ნორმანთა საზოგადოების ჩამოყალიბება და მასზე გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატური ფაქტორის ზეგავლენა, ნორმანთა გამოჩენა და ევროპული სამეფოების შიგნით სამხედრო სფეროს გაძლიერება, ბოლოს კი ნორმანთა გაქრისტიანება და ნორმანული პოლიტიკური ერთეულების ფორმირება ევროპის კონტინენტის სხვადასხვა ადგილას.
სასურველია კარგად წარმოჩინდეს აღნიშნული პარაგრაფის საგაკვეთილო პროცესში, სასურველია დრო დაეთმოს სკანდინავიის ნახევარკუნძულისა და ნორმანთა თავდაპირველი განსახლების არეალის გეოგრაფიული და კლიმატური მახასიათებლების განხილვას. ასევე გამოიკვეთოს ის დეტალი თუ რა როლი შეიტანა გეოგრაფიულმა გარემომ ნორმანთა საზოგადოების განვითარებასა და მათ საქმიანობაზე. სასურველია ნორმანთა რელიგიისა ხასიათისა და მათი მსოფლმხედველობის განხილვაც. საქმიანობის რომელი დარგები იყო დამახასიათებელი ნორმანთა საზოგადოებაში და რატომ დაიწყო მათი მიგრაცია ევროპის ირგვლივ.
მნიშვნელოვანია სქემატურად იქნას წარმოდგენილი, ნორმანთა დაპყრობების ძირითადი მიზეზები, გეოგრაფიული გარემოს ცვლილების აუცილებლობა, მათი ცხოვრების წესი და ზღვაოსნობის კარგად ფლობა. ნორმანთა დაპყრობების გეოგრაფიული არეალის განხილვა და მათი როლი ევროპის შემდგომი განვითარების საქმეში. უნდა აღიწეროს და დახასიათდეს პროცესი, თუ როგორ ხდება ნორმანთა ქრისტიანიზაცია და მათი ინტეგრაცია ევროპულ ფეოდალურ სისტემაში.
გთავაზობთ შედეგებს. რა ცოდნა უნდა დარჩეს მოსწავლეს აღნიშნული პარაგრაფის შესწავლის შემდეგ, რომ შედეგები მიღწეულად ჩაითვალოს: **მკვიდრი წარმოდგენების** ფორმით:

- ნორმანებს უწოდებდნენ გერმანული მოდგმის ხალხებს, რომელთა განსახლების არეალი სკანდინავიისა და იუტლანდიის ნახევარკუნძულს მოიცავდა, არ განიცდიდნენ რომის პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას და ინარჩუნებდნენ ტრადიციულ რელიგიას. (სივრცე; საზოგადოება)
- ცივი კლიმატი, მთიანი და ტყიანი არეალი არ იძლეოდა მიწათმოქმედების განვითარების საშუალებას. ნორმანთა საქმიანობას, ომი და შემგროვებლური ტიპის ეკონომიკის დარგები წარმოადგენდა. (საზოგადოება; სივრცე)

- ნორმანთა შორის არ არსებობდა ჩამოყალიბებული მონარქიის ტიპი, მათი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო ძალაუფლების ტიპი, სადაც ხელისუფლება მებრძოლი ლიდერების ხელში იყო. (ძალაუფლება)
- ნორმანთა რელიგია ტრადიციულ გერმანულ პანთეონს განეკუთვნებოდა, გავრცელებული იყო პოლითეისტური ღვთაებები და მებრძოლის კულტი. ბრძოლა განსაზღვრავდა ნორმანთა აზროვნებასა და მსოფლმხედველობას. (საზოგადოება)
- ნორმანთა ლაშქრობები VIII-XI საუკუნეებს მოიცავს და სამ ძირითად ეტაპად იყოფა, პირველ ეტაპზე მათი ლაშქრობების მიზანს ძარცვა წარმოადგენდა, მეორე ეტაპზე სხვადასხვა მიწებზე დამკვიდრება, ხოლო ბოლო ეტაპზე ნორმანული სახელმწიფოები შეიქმნა. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- ნორმანთა ლაშქრობები გარდა ომებისა აღმოჩენებითაც ხასიათდება, მათ უკავშირდებათ გრენლანდიის, ისლანდიისა და ამერიკის ტერიტორიებზე ახალშენების დაარსება. (სივრცე; ისტორიული მოვლენა)

**პარაგრაფი §66. რატომ გაიყო ქრისტიანული სამყარო ორ ნაწილად XI საუკუნეში?**

აღნიშნული პარაგრაფი მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით. მასში აღწერილია დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ორად გაყოფის პროცესი, მისი მიზეზები და საბოლოო გაყოფის კონკრეტული მოტივები. აღნიშნული პარაგრაფის შესწავლისას, მნიშვნელოვანია მისი გააზრება მოხდეს ისტორიულ ჭრილში და საგაკვეთილო პროცესში არ იყო რელიგიური სიმპათიებისა და გრძნობების დემონსტრირებით შექმნილი უხერხულობა.
მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალები შეიცავს შედარებითობის მრავალ მაგალითს. გამოკვეთილია ასპექტები თუ რა განსხვავებული განვითარების გზა განვლო ბიზანტიურმა და დასავლეთ ევროპულმა ქრისტიანობას. რა პოლიტიკურმა, ლინგვისტურმა, კულტურულმა პროცესებმა იქონია გავლენა ამ ორი სამყაროს განვითარებაზე. მნიშვნელოვანია იმ ასპექტის გამოყოფა, თუ რა პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა დასავლური და ბიზანტიური სამყაროს ანტაგონისტური დამოკიდებულების ზრდა. განსაკუთრებით გამოსაყოფია, კარლოს დიდის იმპერატორად კურთხევის შემდგომი რეაქცია და პატრიარქ ფოტიოსის მოქმედებების გავლენა საეკლესიო სივრცის ერთიანობაზე.
ხაზი უნდა გაესვას ტრადიციულ დაპირისპირებას ბერძნულ და ლათინურ სამყაროებს შორის. ასევე ბიზანტიური სამყაროს ეთნოცენტრისტულ დამოკიდებულებას სხვა ხალხების მიმართ და მის უარყოფით გავლენას ქრისტიანული სივრცის ერთიანობაზე. სასურველია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს განყოფის პოლიტიკურ და ადამიანურ ფაქტორებზე. საგაკვეთილო პროცესს გაამრავალფეროვნებს სქემატური აქტივობა, რომელშიც ასახული იქნება მსგავსებები და განსხვავებები, რომაულ და ბერძნულ ქრისტიანობას შორის.

- დაპირისპირება რომსა და კონსტანტინოპოლს შორის რელიგიურ საკითხებზე, ჯერ კიდევ IV საუკუნეში იკვეთებოდა, რის შემდეგაც ეს დაპირისპირება დროთა განმავლობაში ღრმავდებოდა. (დრო; ისტორიული მოვლენა)
- დასავლურ ქრისტიანული სამყაროს რელიგიური კუთხით ერთიანი იყო და მას რომის პაპი

მეთაურობდა, ხოლო აღმოსავლურ ქრისტიანული სივრცე რამდენიმე ცენტრისაგან შედგებოდა. (სივრცე)

- ქრისტიანულ სამყაროში უზენაეს სასულიერო ხელისუფლად რომის პაპი, ხოლო საერო ხელისუფლად რომის/ბიზანტიის იმპერატორი ითვლებოდა, დაპირისპირება გააღრმავა რომის პაპის მიერ კარლოს დიდი იმპერატორად კურთხევამ, ასევე ბიზანტიის იმპერატორთა მიერ კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მსოფლიო პატრიარქად მოხსენიებამ. (სივრცე; ძალაუფლება)
- განხეთქილების მიზეზი, გარდა რელიგიურისა, პოლიტიკური, ენობრივი, კულტურული და ადამიანური ფაქტორებიც გახლდათ. (ისტორიული მოვლენა)
- ლათინურ და ბერძნულ ქრისტიანობას შორის, მთავარ სადაო თეოლოგიურ საკითხს „ფილიოკვე“ წარმოადგენდა. (ისტორიული მოვლენა)
- 1054 წლის დიდი სქიზმა იყო საუკუნეების განმავლობაში განვითარებული და გაღრმავებული პროცესის ლოგიკური დასასრული. (ისტორიული მოვლენა; დრო)